საკუთარი ქონების დეკლარაცია კამერების წინ A2

რა ფორმით შედის შინაგანი ჯარი თავდაცვის სამინისტროში? A3

უფასო იურიდიული კონსულტაცია B6-B7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ხუთშაბათი, 4 ნოემბერი, 2004 წელი. №262 (811) — ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### მრავალუცნობიანი ფინანსური ამნისტია



უცხოელი "მეგობრები" მოგაწვდიან სოლიდურ თანხას, ვთქვათ, 100 მილიონ დოლარს, თქვენ მოახდენთ მათ დეკლარირებას, ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხდით კანონით განსაზღვრულ ერთ პროცენტს და დანარჩენ 99 მილიონს "გაათეთრებთ".

A2

## ეკონომიკა

### დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი ფინანსური ამნისტიის დროულად ამოქმედებას ითხოვს



კომიტეტმა კანონპროექტს მხარი დაუჭირა და მეტიც - ფინანსური ამნისტიის ამოქმედების თარიღის შეცვლის ინიციატივით გამოვიდა.

A4

## უცხოეთი

### ბუშის ნიღაბმა კერის ნიღაბი აშკარად დაჯაბნა

აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების სკანდალები და კურიოზები

A5

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

B6-B7

## ამინდი

| | 4/11 | 5/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 10 | 13 |
| ქუთაისი | 14 | 19 |
| ბათუმი | 13 | 16 |
| სოხუმი | 13 | 17 |
| ფოთი | 15 | 18 |
| თელავი | 7 | 12 |
| ზუგდიდი | 14 | 19 |
| გორი | 7 | 11 |
| ახმეტა | 8 | 13 |
| ჭიათურა | 11 | 16 |
| გაგრა | 13 | 16 |
| სამტრედია | 14 | 18 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8250 |
| ევრო | 2.3172 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3544 |
| რუბლი | 0.0634 |

# ქვიშის საათად გადაქცეული ჭადრაკის ქრონომეტრი

## ბუში კვლავ აშშ-ს პრეზიდენტია




ჯორჯ ბუშმა დამაჯერებლად გაიმარჯვა.

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

იმ მომენტიდან, როცა ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე საარჩევნო უბნები იხურებოდა, ამერიკის საარჩევნო "ჭადრაკის საათი" "ქვიშის საათად" გადაიქცა. თუმცა, ერთი განსხვავებით. ჩვეულებრივ ქვიშის საათზე დაკვირვებისას გვეჩვენება, რომ თავიდან ქვიშა ნელა მოძრაობს და დროთა განმავლობაში უმატებს ტემპს. "საარჩევნო ქვიშის საათში" ყველაფერი პირიქით მოხდა - თავდაპირველად იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ქვიშის საათი ძალიან სწრაფად მუშაობდა, მოგვიანებით კი სულ უფრო და უფრო ნელდებოდა.

საღამოს ცხრა საათისთვის ბუში წინ იყო საარჩევნო კოლეგიის ხმების მიხედვით - 155-ით 112-ის წინააღმდეგ, თუმცა უნდა ითქვას, რომ 2000 წლის არჩევნებთან შედარებით არანაირი განსხვავება შტატებს შორის ხმების განაწილებაში არ ყოფილა. ერთადერთი, რაც ამ პერიოდისთვის, წლევანდელ არჩევნებს 2000 წლის ანალოგისგან განასხვავებდა, ის იყო, რომ წელს საარჩევნო ურნებთან და ელექტრონულ აპარატებთან გაცილებით მეტი ხალხი მივიდა. ამომრჩეველთა ასეთი მოზღვავება, ერთი მხრივ, კონსერვატიული ღვთისმოშიში ევანგელისტებით, ხოლო მეორე მხრივ - რასობრივ უმცირესობათა და ახალგაზრდების გააქტიურებით იყო გამოწვეული. თუ პირველებმა ბუშის სასარგებლოდ გააკეთეს არჩევანი, მეორენი - კერის მიემხრნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# კახვის გაკვეთილი - შეუიარაღებელი თვალით

დავით დარჩიაშვილი
ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი

3 ნოემბრის "24 საათი" იტყობინება - კეხვის ინციდენტი ამოწურულია. აღინიშნება, რომ რუსეთიდან დეპორტირებულ საქართველოს მოქალაქეთა როკის გვირაბით გადმომყვანი ავტობუსების მძღოლები გაათავისუფლეს. მგზავრებიც, მძღოლებიც - სახლში დაბრუნდნენ. უშიშროების თანამშრომლებმა მძღოლების (და, მით უმეტეს, მგზავრების - **დ.დ.**) საქციელში კანონდარღვევა ვერ დააფიქსირეს.

ძალიან კარგი, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. მაგრამ ექნებოდა თუ არა ამგვარი, მოქალაქეთა უფლებებზე ორიენტირებული დასასრული აღნიშნულ ისტორიას, რომ არა სახალხო დამცველის, პარლამენტის დეპუტატის აქტიურობა, თავად მგზავრების საპროტესტო აქცია და ამ პრობლემის პრეზიდენტის დონეზე განხილვა? ალბათ, არა. საქართველოს სამართალდამცველი და მის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურების ხელმძღვანელობა, ანუ ისინი, ვისაც ქვეყნის სასაზღვრო პოლიტიკის განხორციელება, კონფლიქტების მენეჯმენტი, მაგრამ იმავდროულად, მოქალაქეთა უფლებების დაცვაც უშუალოდ ევალებათ, რბილად რომ ითქვას, დიამეტრალურად განსხვავებულ პოზიციებს აფიქსირებდნენ ორიოდე დღით ადრე. იგივე შეხედულების გამომხატველი და უშუალო გამტარებელი, ადგილობრივ სამართალდამცველებთან ერთად, შიდა ქართლის გუბერნატორიც იყო.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ლევან კალაძის საქმეს წერტილი მაღალჩინოსანმა სამართალდამცველებმა დაუსვეს"

*რა კავშირია ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ დანაშაულს - ლევან კალაძის გატაცებასა და აფრასიძეების კრიმინალური კლანის წინააღმდეგ ჩატარებულ არანაკლებ გახმაურებულ სპეცოპერაციას შორის? მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე არაერთი ჭორი გავრცელდა, გუშინ პირველად გაკეთდა საჯარო განცხადება, რომლის თანახმადაც, სპეცოპერაციის მსვლელობისას, ერთ-ერთი ბოროტმოქმედის ლიკვიდაცია სწორედ კალაძის გატაცების დეტალების მიჩქმალვის სურვილით მოხდა. და, რაც მთავარია, ეს განცხადება გააკეთა პირმა, რომელიც, გიორგი ბარამიძის მინისტრობის დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალურად კალაძის გატაცებისა და სხვა გაუხსნელი გახმაურებული დანაშაულების გამოძიების მიზნით შექმნილ ოპერატიულ-სამძებრო სამმართველოს ხელმძღვანელობდა. შინაგან საქმეთა სამინისტროდან გათავისუფლებული ბათო საღინაძე ორი დღის წინ სახლიდანაც გამოასახლეს, რასაც ვიცე-პოლკოვნიკი კალაძის საქმესთან დაკავშირებული მაღალჩინოსანი სამართალდამცველების მხრიდან მასზე მორიგი ზეწოლის მცდელობით ხსნის.*

თამარ კაციტაძე

**"ბათო საღინაძე იძულებულია, იყვიროს,"** - განაცხადა გუშინ ღია ცის ქვეშ გამართულ პრესკონფერენციაზე შინაგან საქმეთა ოპერატიულ-სამძებრო სამმართველოს ყოფილი უფროსის ადვოკატმა ზურაბ დგებუაძემ, რომელიც ამავდროულად ლევან კალაძის ოჯახის ადვოკატიც არის.

### რატომ "ყვირის" ბათო საღინაძე

აფხაზეთის ომის შემდეგ, ვიცე-პოლკოვნიკი ბათო საღინაძე, რომელიც წლების განმავლობაში აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა, სამუშაოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გადავიდა და, როგორც იძულებით გადაადგილებული პირი, 1994 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილ კოტეჯებში შეასახლეს. მიუხედავად იმისა, რომ, საღინაძის თქმით, 1998 წლიდან აღნიშნული კოტეჯები შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩამოერთვა და იგი ქონების მართვის სამინისტროს ბალანსზე გადავიდა, საღინაძეების ოჯახი ამ წლების მანძილზე არავის შეუწუხებია.

გაგრძელება A7 გვერდზე

# "ჩუმი" კანონპროექტი, რომელიც დიდ ხმაურს გამოიწვევს

თამარ მჭედლიშვილი

*ორი დღის წინ, "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა" და "ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" ინიციატივით შეკრებილმა პოლიტიკოსებმა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა, რომელთაც საქართველოში ბოლო ერთ წელიწადში მიმდინარე საარჩევნო პროცესების თაობაზე უნდა ემსჯელათ, სრულიად მოულოდნელად, ერთი, ფრიად საინტერესო ფაქტის თაობაზე შეიტყვეს: როგორც გაირკვა, პარლამენტში უკვე არსებობს საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესის ახალი ვარიანტი და მას კანონპროექტის სახე აქვს. პროექტის ავტორი, ოფიციალურად, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილია, თუმცა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ზურაბ ნონიკაშვილის თქმით, ცესკო-ში "მანამდეც მიდიოდა მუშაობა საარჩევნო პროცესების ადმინისტრირების დახვეწის კუთხით და ძირითადი პრინციპების პრეზენტაცია ჯერ კიდევ თებერვალში მოეწყო" (ეს ინფორმაციაც სრულიად ახალი აღმოჩნდა). როგორც ლევან ბეჟაშვილი აცხადებს, ამ კანონპროექტის მთავარი მიზანი პროფესიული საარჩევნო ადმინისტრაციების შექმნაა.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# რა ვისწავლეთ იაპონელებმა ქართველ სუმოისტ ლევან ცაგურიასგან

იაპონელის თვალით დანახული საქართველო

A8



იუმიო აოკი (მარცხნიდან მესამე) ლევან ცაგურიას ოჯახთან ერთად.

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6-B7 პროექტი | B8 სხვადასხვა

# ხავსს მოქიდებული ხაჯიმბა და ურჩი ბაღაფში

ნინო გომართელი

რუსეთის ფედერაციის დედაქალაქში აფხაზეთის პრეზიდენტობის მსურველების დაბარებას და მათთან კონსულტაციებს ნაკლებად თუ მოჰყვა შედეგი. ოპოზიციის ლიდერი სერგეი ბაღაფში კვლავინდებურად მისი პრეზიდენტობის აღიარებას მოითხოვს, მთავრობის კანდიდატი, ყოფილი პრემიერი რაულ ხაჯიმბა კი - ხელახალი არჩევნების ჩატარებას.

ოფიციალური ინფორმაციით, მოსკოვში ვიზიტის მთავარი მიზეზი აფხაზეთში შექმნილი პოლიტიკური ჩიხიდან გამოსავალის მოძებნა იყო.

**"სერგეი ბაღაფშთან ერთად, ჩვენ განვიხილეთ აფხაზეთში შექმნილი კრიზისიდან გამოსავალი გზები. გადაწყვეტილებათა საძიებლად კი მოსკოვის კლიმატი შესაფერისია. მე მივხვდი, რომ ვითარებიდან გამოსავალი არსებობს, ყველაფერი ჩემსა და ბაღაფშზეა დამოკიდებული, ამასთან - ჩვენს მომხრეებზე, რომლებიც ჩვენს უკან დგანან,"** - განაცხადა ერთ-ერთ რუსულ გაზეთთან ინტერვიუში რაულ ხაჯიმბამ.

მანვე მაღალი შეფასება მისცა მოსკოვში გამართულ შეხვედრას და მიუთითა, რომ ის ნამდვილად არ იყო უშედეგო. **"არის იმედი, რომ კრიზისიდან გამოსავალს მივაგნებთ,"** - თქვა მან. შეკითხვაზე, თუ რა იქნება დეკემბერში - ხელახალი არჩევნები თუ ინაუგურაცია, რაულ ხაჯიმბამ ხაზგასმით აღნიშნა: **"დეკემბერში იქნება ის, რასაც პრეზიდენტმა არძინბამ მოაწერა ხელი."** ვლადისლავ არძინბამ კი, როგორც ცნობილია, არაღიარებულ რესპუბლიკაში ხელახალი არჩევნების ჩატარების შესახებ ბრძანებულებას მოაწერა ხელი.

ამ დროს კი, მისი ოპონენტი სერგეი ბაღაფში იმედოვნებს, რომ აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში პოლიტიკური ძალები თავად შეძლებენ კონსენსუსის მოძებნას და ამით ვითარება დარეგულირდება.

**"საჭიროა კონსენსუსი. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენთან მოლაპარაკების შემდეგ, სწორ გზას მივაკვლევთ,"** - მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ თავის მომხრეებთან შეხვედრაზე განაცხადა "ჩერნომორენერგოს" გენერალურმა დირექტორმა.

მანვე მიუთითა, რომ ვითარების სტაბილიზებისთვის გადაწყვეტილება რაულ ხაჯიმბასთან ერთად უნდა იქნეს მიღებული.

რაც შეეხება მოსკოვში გამართულ მოლაპარაკებებს, ბაღაფშის თქმით, საუბარი შედგა რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანთან იგორ ივანოვთან და უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელთან ნიკოლაი პატრუშევთან. **"ამის შემდეგ კი, ხაჯიმბასთან ერთად, ჩატარდა ერთობლივი შეხვედრა ყველა ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელთან,"** - დასძინა გამარჯვებულმა კანდიდატმა.

**"ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი დიდი მეგობრის - რუსეთის აზრი, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება ჩვენ თვითონ მოგვიწევს,"** - განაცხადა სერგეი ბაღაფშმა და დასძინა, რომ რუსეთი ხელახალი არჩევნების ჩატარებას ურჩევს აფხაზეთს.

**"ჩვენ გავიმარჯვეთ არჩევნებში. არის აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის, ასევე უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება, აფხაზეთის მოსახლეობის სურვილი, რასაც არ შეგვიძლია, რომ არ დავეთანხმოთ. ამიტომაც, რუსეთის ფედერაციის აზრს ვითვალისწინებთ, პატივს ვცემთ, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება აფხაზეთის შიდა საქმეა. იქნება დიალოგი, მაგრამ ფაქტი ერთია - ხელახალი არჩევნების ჩატარებაზე საუბარიც ზედმეტია. არსებობს მხოლოდ ერთი შესაძლებლობა - ჩვენ მზად ვართ, ვესაუბროთ ხაჯიმბას და მის მომხრეებს, რათა მოვძებნოთ კონსენსუსი. ვფიქრობ, ეს ყველაზე მთავარია,"** - განაცხადა მან.

ამ დროს, არაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული სერგეი ბაღაფშის თანამებრძოლი და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი სტანისლავ ლაკობა, სოხუმის მთავრობის პრემიერ-მინისტრად მოსკოვის მიერ დასმულ ნოდარ ხაშბას არჩევნებში დამარცხებული რაულ ხაჯიმბას მომხრეების აშკარა მხარდამჭერაში და აფხაზეთში არჩევნების შემდეგ დაძაბული პოლიტიკური ვითარების შენარჩუნებაში ადანაშაულებს.

ლაკობას განცხადებით, 6 ოქტომბერს მოსკოვის ინიციატივით პრემიერ-მინისტრად დანიშნული ნოდარ ხაშბას მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და მოქმედების ზედაპირული ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი საქმიანობა აფხაზეთში არა ვითარების განმუხტვისკენ, არამედ გამწვავებისკენ არის მიმართული.

**"აღმასრულებელი ხელისუფლება, პრემიერ ხაშბას ხელმძღვანელობით, ყველაფერს აკეთებს, რათა ხაჯიმბას მომხრეებმა არ შეწყვიტონ თავისი უაზრო აქციები, ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით,"** - აღნიშნავს ლაკობა. მისივე თქმით, სწორედ ხაშბას უმოქმედობით ახერხებენ ხაჯიმბას მომხრეები სახელმწიფო ორგანოების მუშაობის პარალიზებას.

ლაკობას განცხადებით, პრემიერ-მინისტრ ხაშბას შეუმჩნეველი რჩება ის ფაქტი, რომ ხაჯიმბას მომხრეთა აქტიურობის შედეგად, რესპუბლიკის გენერალური პროკურატურა ვერ იწყებს მოსამართლე გიორგი აკაბაზე ზეწოლის ფაქტთან დაკავშირებით აღძრული საქმის გამოძიებას, პარლამენტი კი საგანგებო სხდომას ვერ ატარებს.

# ჟვანია-კოკოითის შეხვედრას ეუთო-ს და ევროკავშირის წარმომადგენლებიც დაესწრებიან

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი 5 ნოემბრისთვის სოჭში დაგეგმილ შეხვედრაზე რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელებენ. მათ შორის არის კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია, ზამთარში მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება, გზის გახსნა როკის გვირაბიდან ფოთამდე და ტრანსკავკასიური მაგისტრალის ერთობლივი გაკონტროლება. "შეხვედრა გაიმართება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაზიარებული იქნება საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრინციპული მოთხოვნა, დღის წესრიგში ზოგიერთი საკითხის შეტანის თაობაზე, რაც რეგიონში ვითარების გამწვავების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გახდა. მათ შორის იგულისხმება კონტრაბანდის ალკვეთა და კომუნიკაციათა ერთობლივი კონტროლი, როგორც სამმხრივი სამშვიდობო ძალების, ასევე, ეუთო-ს მისიის მონაწილეობით," - ნათქვამია საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ოფიციალურ პრეს-რელიზში.

დღის წესრიგში შეტანილია, აგრეთვე, კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციის მიზნით ეკონომიკური პროექტების განხორციელების საკითხი. სოჭის შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავა, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის, ეუთო-სა და ევროკავშირის წარმომადგენლები. დაგეგმილია ჟვანია-კოკოითის პირისპირ მოლაპარაკების გამართვა.

საქართველოს დელეგაცია სოჭში 5 ნოემბერს, დილით გაემგზავრება და თბილისში იმავე დღეს დაბრუნდება.

*მედია-ნიუსი*

ყურადღება!

## წამლის სააგენტო გაფრთხილებთ

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წამლის სააგენტო გვაფრთხილებს, რომ შემდეგი მედიკამენტები ფალსიფიცირებულია:

**1. ერიტრომიცინი 0,25, ტაბ №10, სერია 120303, მწარმოებელი АКО Синтез ყურგანი;**

**2. ბისეპტოლი 480 მგ, №20, სერია 290303, მწარმოებელი Pabianickie პოლონეთი;**

**3. სუპრასტინი 25 მგ, №20, ტაბ სერია 21741003, მწარმოებელი უნგრეთი "ეგისი";**

**4. ლევომიცეტინი 0,5, №10, ტაბ სერია 17082002, მწარმოებელი "ტატქიმფარმპრეპარატი" ქ.ყაზანი;**

**5. რეტარპენი 2 400 000 მე, სერია 113261, მწარმოებელი "ბიოხემი" ავსტრია;**

**6. რეტაბოლილი 50 მგ, 1 მლ, ზეთოვანი ხსნარი სერია AIAI63A მწარმოებელი "გედეონ რიხტერი", უნგრეთი.**

# საკუთარი ქონების დეკლარაცია კამერების წინ

თამარ დვალი

*თბილისის საკრებულოს თავჯდომარის ზაზა ბეგაშვილის ქონებას, კიდევ ერთი აგარაკი მიემატა მცხეთაში. საკრებულოს თავჯდომარემ ამის შესახებ გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მართალია, ბეგაშვილი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ ეს ნაბიჯი მან გამჭვირვალობის მიზნით გადადგა, თუმცა ოპონენტები ამაში სხვა მიზეზებს ხედავენ.*



იური ლობოდინის ფოტო

*თბილისის საკრებულოს თავმჭდომარის გულახდილობა ოპოზიციას ეჭვებს აღუძრავს.*

**"პრესაში გამოქვეყნდა მასალა, რომელსაც თან ახლდა ბეგაშვილის აგარაკის სურათებიც. იქ ნათქვამი იყო, თუ როგორ იშენებდა საკრებულოს თავმჯდომარე ფეშენებელურ აგარაკს მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ხარჯზე. ჩვენი ინფორმაციით, სწორედ ამ წერილს "შეეწირა" კეთილმოწყობის სამსახურის უფროსიც. ამბობენ, რომ იგივე აგარაკზე გუშინ მიწისძვრით დაზარალებულებმა აქცია გამართეს. აქედან გამომდინარე, დღევადნელ პრესკონფერენციას ხალხისთვის ანგარიშის ჩაბარებას ვერ ვუწოდებთ. ეს, გავრცელებული ხმების გამო, პრეზიდენტთან თავის მართლებას უფრო ჰგავს,"** - მიიჩნევენ საკრებულოს ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლები.

ბეგაშვილის აგარაკზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარებას, "24 საათთან" საუბრისას, მერიის საქალაქო სამსახურის ყოფილი უფროსი შალვა ბებოშვილი კატეგორიულად უარყოფს: **"ეგ ინფორმაცია რომ სინამდვილეს შეეფერებოდეს, მაშინ სამსახურიდანაც ხომ არ გამომიშვებდნენ. ჩემი იქ მოღვაწეობის პერიოდში ფული არავის სახლის ასაშენებლად და გასარემონტებლად არ დახარჯულა."**

თავად ბეგაშვილი მის აგარაკზე გამართული აქციის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ფლობს და აცხადებს, რომ ეს ამბავი მათ მოიგონეს, ვისაც "ჰალუცინაციები აწუხებს". **"1997 წლამდე მოსკოვში ვმოღვაწეობდი და საკმაოდ კარგი შემოსავალიც მქონდა. მცხეთის აგარაკი თბილისში ოფისის გაყიდვის შემდეგ შევიძინე და იგი სამ სართულიანი კი არა, ერთ სართულიანია. ახლა შენობა კარკასულ მდგომარეობაშია და, თუკი იქ ევრორემონტი გაკეთდება, მაშინ შეუძლიათ მისაყვედურონ. აქამდე გარკვეული პირები ყურში ჩამსისინებდნენ, თითქოს მე უკანონო ქონებას ვფლობდი. საჯაროდ დეკლარირებით ამ მითქმა-მოთქმებს წერტილი დავუსვი. მე ეს ქონება სხვებივით გრანტების შეჭმით და სახელმწიფო ქონების მითვისებით არ შემიძენია,"** - აცხადებს ბეგაშვილი. მისივე თქმით, საკუთარი ქონების დეკლარირებას იგი ყოველ სამ თვეში გეგმავს, თუმცა არ აკონკრეტებს, ამას კამერების წინ გააკეთებს, თუ მათ მიღმა.

თბილისის საკრებულოს თავჯდომარის მიერ ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, მიმდინარე წლის მარტში შევსებული დეკლარაციის თანახმად, ბეგაშვილის კერძო საკუთრებაში შედის: თბილისში, წერეთლის გამზირზე მდებარე საცხოვრებელი ბინა, რომელიც 90 ათას ლარად არის შეფასებული; 25 ათას ლარად შეფასებული საცხოვრებელი ბინა ქეთევან წამებულის გამზირზე; გუდარეხის ქუჩაზე მდებარე 20 ათას ლარიანი ბინა; 20 ათას ლარიანი ავეჯი; 12 ათას ლარიანი ავტომანქანა "ოპელ-ვექტრა".

# სამხედრო კათედრები და რაიონული სამხედრო-სამედიცინო კომისიები უქმდება

*ამჟამად პარლამენტში მიმდინარეობს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა, რომელმაც შეიარაღებული ძალების კვალიფიციური კადრებითა და ბრძოლისუნარიანი რეზერვისტებით დაკომპლექტება უნდა უზრუნველყოს.*

გიორგი ასანიშვილი

კანონპროექტის მიხედვით, უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში არსებული სამხედრო კათედრები გაუქმებას ექვემდებარება. ასეთი ნაბიჯის გადადგმის მიზანშეწონილება იმით არის ახსნილი, რომ ამ კათედრების საქმიანობა **"არ არის ორიენტირებული შეიარაღებული ძალების თანამედროვე მოთხოვნილებებზე".** ამასთან, გაუმართლებლად არის მიჩნეული რესურსების ხარჯვა ისეთ ოფიცერთა მომზადებაზე, რომლებსაც ქართული ჯარი ვერაფერში გამოიყენებს.

**"შეიარაღებულ ძალებს არ ესაჭიროება იმ პროფილის სპეციალისტები და, მით უმეტეს, იმ რაოდენობით, რომელსაც სამხედრო კათედრები ამზადებენ"** - ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

ნავარაუდევია, აგრეთვე, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მიერ სამხედრო სამსახურის გავლის წესის შეცვლა. კერძოდ, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მათ ეძლევათ უფლება, თავდაცვის აკადემიაში, ეროვნულ გვარდიაში ან თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ რომელიმე სასწავლებელში გაიარონ რეზერვისტთა მომზადების სპეციალური პროგრამა. ერთწლიანი პრაქტიკული და თეორიულ მომზადების შემდეგ კი, მიენიჭებათ უმცროსი ლეიტენანტის წოდება და ჩაირიცხებიან რეზერვში.

ის უმაღლესდამთავრებულები, რომლებიც რეზერვისტთა მომზადების სპეციალური პროგრამის გავლაზე უარს განაცხადებენ, გაწვეულნი იქნებიან სავალდებულო სამხედრო სამსახურში (12 თვის ვადით) და მისი დასრულების შემდეგ ჩაირიცხებიან რეზერვში.

ამასთან, კანონპროექტი საქალაქო და რაიონული სამხედრო-სამედიცინო კომისიების გაუქმებასაც ითვალისწინებს. ეს იმით არის ახსნილი, რომ **"ამ კომისიების მუშაობა იყო არაეფექტური და წარმოადგენდა კორუფციის წყაროს, რასაც შედეგად მოსდევდა არასათანადო ჯანმრთელობის მქონე წვევამდელების მიერ სამხედრო სამსახურის გავლა".** აქვე, ალბათ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქალაქო და რაიონული სამედიცინო კომისიის გავლის შემდეგ, წვევამდელს მაინც უნდა გაევლო ცენტრალური გამწვევი კომისია, რასაც სახელმწიფოს მხრიდან ორმაგი ხარჯების გაწევა მოსდევდა.

ამიტომ, მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის წინ წვევამდელმა შემოწმება მხოლოდ ცენტრალურ სამხედრო-სამედიცინო კომისიაში გაიაროს.

# დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ოპტიმალური პირობები

ზაზა ფაჩუაშვილი



*ახალი აპარატურით ყველა კმაყოფილია.*

გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ლადო ჭიპაშვილს მეცნიერებათა აკადემიის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ს/კ ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ფრიდონ თოდუამ რამდენიმე წუთის მანძილზე 12 მადლობა გადაუხადა. ამის მიზეზი გამხდარა ის უნიკალური შემთხვევა, რომელიც, თურმე, საქართველოს კიდევ ერთხელ გამოარჩევს მთელ პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის სივრცეში. საქმე ეხება "სიმენსის" სუპერთანამედროვე მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფს, რომელიც ადამიანის მთლიანი ორგანიზმის გამოკვლევისათვის გამოიყენება და რომელსაც თბილისში 5-6 თვის შემდეგ "თოდუას ცენტრში" დაამონტაჟებენ. შესაბამის შეთანხმებას ხელი მოეწერა "სიმენსის" სამედიცინო დეპარტამენტის შესყიდვების მთავარ მენეჯერს, ჰანს ბურკესა და პროფესორ ფრიდონ თოდუას შორის. რაც შეეხება ლადო ჭიპაშვილს, მრავალი მხურვალე მადლობა იმისთვის დაუმსახურებია, რომ, პროფესორ თოდუას თქმით, დიდი მეცადინეობის შემდეგ დაურწმუნებია "სიმენსის" ხელმძღვანელობა, ესოდენ ძვირადღირებული აპარატურა წარმოუდგენლად იაფად მოგვყიდოს. შესაბამისად, გამოკვლევებიც იაფი იქნებაო, სულ - 200 ლარი (ევროპაში 1500 ევრომდე ღირებულა).

ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, მსგავსი აპარატურა 2000-2500 კმ. რადიუსით არავის გააჩნია. "სიმენსის" წარმომადგენლის თქმით კი, საქართველოსთვის ასეთი შეღავათი იმიტომ გაკეთდა, რომ აქ არის ისეთი ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც აპარატს წარმატებით ამუშავებს, რაც "სიმენსის" წარმომადგენლებს ძალიან გაუხარდებათ. როგორც ითქვა, ასეთ ურთიერთობას ხელს უწყობს მჭიდრო ისტორიული თანამშრომლობაც. "სიმენსი" საქართველოში 150 წლის წინათ შემოვიდა. ერთი სიტყვით, დღეს ყველა კმაყოფილია. დანარჩენს 6 თვის შემდეგ პაციენტებისგან შევიტყობთ.

მოკლედ

## საქართველოში მცხოვრები ამერიკელები ერთად აკვირდებოდნენ არჩევნებს

საქართველოში მცხოვრები ამერიკელები შეერთებულ შტატებში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებს, სპეციალური მონიტორის მეშვეობით, გუშინ დილიდან ერთად ადევნებდნენ თვალყურს. სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" ერთ-ერთ დარბაზში დამონტაჟებული იყო დიდი ეკრანი, სადაც შეკრებილი საზოგადოება ტელეკომპანია "CNN"-ს უყურებდა. აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობას, ამერიკელებთან ერთად, საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც აკვირდებოდნენ. "შერატონ მეტეხი პალასში" გუშინ თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები შეიკრიბნენ. თავად ამერიკის ელჩი რიჩარდ მაილსი ქვეყანაში არ იმყოფება. მის ნაცვლად "მეტეხში" დამონტაჟებულ მონიტორს თვალყურს მისი მოადგილე, ამჟამად ელჩის მოვალეობის შემსრულებელი პატრიცია მოლერი ადევნებდა. **ინტერ-პრესი**

## ზვიად ძიძიგურის პარტია ედპ-სთან გაერთიანებას არ აპირებს

"ეროვნულ ძალთა გაერთიანება - კონსერვატორების" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი ზვიად ძიძიგური კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაცის, თითქოს მისი პარტია ეროვნულ-დემოკრატებთან და ტრადიციონალისტებთან ერთად პოლიტიკური ალიანსის შექმნას აპირებს. "თუ ვინმეს წარმოუდგენია ჩვენი გაერთიანება ედპ-სთან, ის ადამიანი, ალბათ, ქართულ პოლიტიკასთან არავითარ კავშირში არ იმყოფება," - აცხადებს ძიძიგური. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა ასევე არა ადასტურებს ინფორმაციას ამ გაერთიანების შესახებ. **მედია-ნიუსი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** დღეს საგარეო პოლიტიკური უწყების 135 თანამშრომელი ატესტაციებს უცხო ენასა და ზოგად განათლებაში გაივლის. ატესტაცია გუშინ დაიწყო. ცოტა ხნის წინ, სამინისტროს 70-მდე თანამშრომელმა აღნიშნული ატესტაციების ჩატარება გააპროტესტა. თუმცა, მოგვიანებით, ატესტაციების ჩატარებას თანამშრომელთა დიდი ნაწილი დათანხმდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სამტრედია.** სამტრედიის რაიონში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. რაიონის გამგებელმა ავთანდილ სტურუამ გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა, რის შემდეგაც თანამდებობა გამგებლის პირველმა მოადგილემ დავით ქვირიამაც დატოვა.

სამტრედიის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციამ გუშინ კახა ვაშაკიძე წარადგინა, რომელიც წარმოშობით სამტრედიიდანაა და მანამდე საქართველოს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინ 24 ოქტომბერს ჩატარებული პარლამენტის შუალედური მაჟორიტარული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი დაამტკიცა. ოქმის თანახმად, კრწანისის რაიონში გამარჯვებულმა სახელისუფლებო პარტიის კანდიდატმა გიორგი ასანიძემ 3608 ამომრჩევლის ხმა მიიღო, ხოლო დიდუბეში ასევე "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა თემურ ჭეიშვილმა 5166 ამომრჩევლის მხარდაჭერით გაიმარჯვა. რაც შეეხება გორის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად გამარჯვებულ პოლიტიკური მოძრაობა "ერთობის" ლიდერს ჯუმბერ პატიაშვილს, მან 30 416 ამომრჩევლის ხმა მიიღო, ზესტაფონის ერთადერთ მაჟორიტარ კანდიდატს თემურ ცერცვაძეს კი ხმა 14 450 ამომრჩეველმა მისცა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენლები დღეს თბილისში, სასტუმრო "სიმპათიაში" სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დახმარებათა კოორდინაციისადმი მიძღვნილ რიგით მესამე კონფერენციას გამართავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტი" "სახალხო ბანკს" ქუთაისელი პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველი ფენის სხვა წარმომადგენლების მიმართ არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს. "ქუთაისში არსებული "სახალხო ბანკის" ყველა პუნქტი არაგამტარუნარიანია, რის გამოც ადამიანებს საათობით უწევთ რიგში დგომა", - განაცხადა ქუთაისში გუშინ გამართულ ბრიფინგზე "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა გოჩა ჩხეტიამ. მისი განმარტებით, არსებული ხელშეკრულების თანახმად, პენსიონერებს შეუძლიათ კუთვნილი თანხა ბინაზე მიტანით მოითხოვონ, რასაც "სახალხო ბანკი" კატეგორიულად არ აკეთებს. გოჩა ჩხეტიას განცხადებით, იგი "საქართველოს ერთიანი საპენსიო ფონდის" ხელმძღვანელს ზაზა სოფრომაძეს მიმართავს და პრობლემაში გარკვევისკენ მოუწოდებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, რომელმაც მოსკოვში ოფიციალური ვიზიტი დაასრულა, 3 ნოემბერს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გაემგზავრა. პარიზში ბურჯანაძე, აზერბაიჯანისა და სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარეებთან ერთად, საფრანგეთის სენატის თავმჯდომარემ კრისტიან პონსელემ მიიწვია. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა ნიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მრავალუცნობიანი ფინანსური ამნისტია

გიორგი ასანიშვილი

*თუ თქვენ კრიმინალური წარსული არ გამძიმებთ და საზოგადოებაში უმწიკვლო ადამიანის რეპუტაციით სარგებლობთ, ნუ გამორიცხავთ, რომ კოლუმბიის ან ტაილანდის დანაშაულებრივი დაჯგუფებებიდან დაგიკავშირდნენ და საქმიანი გარიგება შემოგთავაზონ. მაგალითად, ასეთი: უცხოელი "მეგობრები" მოგაწვდიან სოლიდურ თანხას, ვთქვათ, 100 მილიონ დოლარს, თქვენ მოახდენთ მათ დეკლარირებას, ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხდით კანონით განსაზღვრულ ერთ პროცენტს და დანარჩენ 99 მილიონს "გაათეთრებთ". ამ ოპერაციისთვის პირადად თქვენ რამდენს მიიღებთ, ეს უკვე შეთანხმების საკითხი იქნება.*



იური ლობოდინის ფოტო

*მიუხედავად მრავალი კითხვისა, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა ფინანსური ამნისტიის კანონს მხარი დაუჭირა.*

ზემოთ აღწერილი სცენარი რეალობად იქცევა, თუ საქართველოს პარლამენტი უცვლელი სახით მიიღებს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ორგანოში განსახილველად წარდგენილ კანონპროექტს "არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ".

ეს დოკუმენტი, რომელიც "ფინანსური ამნისტიის" სახელით არის ცნობილი, საფუძვლიან დახვეწას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, "შავი ფულის" "გათეთრება" საქართველოში უპრობლემოდ მოხდება და ამით ჩვენი ქვეყანა მთელი მსოფლიოს კრიმინალური სინდიკატებისთვის ნამდვილ სამოთხედ იქცევა.

ამასთან, ფულის "გათეთრებისთვის" ასეთი დიდი ხვრელის დატოვება ძალიან გააღიზიანებს ევროკავშირს, რომლის რეკომენდაციითაც საქართველოს პარლამენტმა გასული წლის ზაფხულში მიიღო კანონი "უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ".

ზემოთ აღნიშნული საფრთხეებისა და უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად, ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს აუცილებლად მიაჩნია ისეთი კონტრმექანიზმების შემუშავება, რომლებიც, ფინანსური ამნისტიის მიღების შემდეგ, ფულის "გათეთრების" წინააღმდეგ ბრძოლას ეფექტურს გახდის.

ამ კონტრზომებზე კი, ჯერჯერობით, ვერაფერს ამბობს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლექსო ალექსიშვილი, რომელიც ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე უფრო იმის განმარტებით იყო დაკავებული, რომ მთავრობის მიერ პარლამენტში შეტანილი კანონპროექტი "ფინანსურ ამნისტიას კი არა, დამალული ქონების ლეგალიზებას ითვალისწინებს". მისი მიღების აუცილებლობას ზურაბ ნოღაიდელის მოადგილე იმით ხსნის, რომ **"დამალული გადასახადებისა და შემოსავლების პოვნა სახელმწიფომ ვერ მოახერხა და ასეთ ვითარებაში, ყველაზე უკეთესი გზაა მათი ლეგალიზება და დაკანონება."**

ლექსო ალექსიშვილი ვერც იმას ამბობს, რა ფისკალური ეფექტი მოჰყვება დამალული ქონების ლეგალიზებას, რადგან "ამის განმსაზღვრელი ფაქტორები ყველა ქვეყანაში განსხვავებულია". გაურკვეველია ისიც, თუ რა რაოდენობის ადამიანებს შეეხებათ ფინანსური "შეწყალება".

**"გამოაკელით ქვეყნის მთელ მოსახლეობას 16 წლამდე ასაკის ბავშვები და სავარაუდო ციფრს მიიღებთ",** - რეალობასთან მიახლოებულ სურათს, მთავრობის წარმომადგენლის ნაცვლად, დავით ბაქრაძე წარმოაჩენს.

დეპუტატებს სხვა კითხვებიც აწვალებთ, რომლებზე პასუხსაც ისინი ვერავისგან იღებენ. მაგალითად, რატომ უნდა იყოს, რომ ერთი და იგივე ფინანსური დანაშაულის ჩადენისთვის ზოგს (ვის წინააღმდეგაც უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე) პასუხი მოეთხოვება, ზოგს - არა. ან კიდევ: ქონების წარმომავლობის შესწავლის გარეშე, როგორ დადგინდება, ის კანონიერი გზით არის ნაშოვნი თუ დანაშაულებრივით?..

სხვათა შორის, ლექსო ალექსიშვილიც ეთანხმება მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, ფინანსური ამნისტია შეიცავს რისკს, საზოგადოებაში გაჩნდეს ილუზია, რომ ფინანსური დანაშაული მომავალშიც ეპატიებათ და ამით, გადასახადების არგადახდის განწყობა კიდევ უფრო გაძლიერდება.

ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის წევრებმა ასეთ მრავალუცნობიან კანონპროექტს გუშინ, პირველი მოსმენით, მაინც დაუჭირეს მხარი.

# "ჩუმი" კანონპროექტი, რომელიც დიდ ხმაურს გამოიწვევს

პირველი გვერდიდან

**"კანონპროქტის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში საარჩევნო ადმინისტრაციის ცენტრალიზებული მართვის წესის განმტკიცებას, საარჩევნო სისტემის პროფესიული მუშაობის წესზე გადასვლას, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და პერსონალის კვალიფიკაციისა და ცოდნის დონის დახვეწას და ამაღლებას, აგრეთვე არჩევნების პროცესში შესაძლო დარღვევების მინიმუმადე შემცირებას. ნიშნადობლივია, რომ პროფესიული საარჩევნო კომისიების ჩამოყალიბების პარალელურად, კანონპროექტი ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა გაერთიანებების მონაწილეობას საარჩვენო ადმინისტრაციის დაკომპლექტებისა და არჩევნების მონიტორინგის სფეროში,"** - ნათქვამია განმარტებით ბარათში.

როგორც გუშინ გავარკვიეთ, კანონპროექტის არსებობის შესახებ პარლამენტში ან არაფერი იციან, ან მხოლოდ ზოგად დებულებებს იცნობენ. შესაბამისად, კომენტარებიც ზოგადია, მაგრამ პოლიტიკური შეფასებები ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება - თუკი ოპოზიციონერები აცხადებენ, რომ ამ კანონპროექტით, ხელისუფლებას ერთპარტიული საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნა და, შესაბამისად, მისი უზურპაცია სურს, მმართველი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები დარწმუნებულები არიან, რომ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, ჩვენ გვეყოლება პროფესიული საარჩევნო ადმინისტრაციები, რომლებიც პოლიტიკურ გარიგებებზე მეტად, ანგარიშს საარჩევნო კანონმდებლობას გაუწევენ.

კანონპროექტის შემუშავებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ მიმდინარე წლის დეკემბერში დღეს მოქმედ ცესკო-ს უფლებამოსილება უწყდება და, თუ არ იარსებებს ისეთი კანონმდებლობა, რომელიც პროფესიულ ადმინისტრაციებს მწვანე შუქს აუნთებს, საარჩევნო კომისიები კვლავ ვაჭრობა-გარიგებების არენად დარჩება.

ამასთან, იმის საშიშროებაც არსებობს, რომ პროფესიული ადმინისტრაციების შექმნის საბაბით, საარჩევნო კომისიები მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების სასურველი წევრებით დაკომპლექტდეს. ამ შემთხვევაში, ოპოზიციური სპექტრი ნებისმიერი არჩევნების დროს თამაშგარე მდგომარეობაში ბუნებრივად აღმოჩნდება, რადგან ყველასათვის შესანიშნავად ცნობილია, რომ არჩევნებს იგებს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ამომრჩეველთა ხმებს ითვლის.

ასე რომ, კანონპროექტში მითითებული ფორმირების წესი საკმაო ვნებათაღელვის საბაბი გახდება.

**"პროექტის მიხედვით, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სუბიექტების ფორმირება მოხდება პროფესიული ნიშნის მიხედვით. ცენტრალური საარჩევნო კომისია და საოქლო საარჩევნო კომისია დაკომპლექტდება შვიდშვიდი წევრის შემადგენლობით, საუბნო კომისიები კი - ცხრა წევრის შემადგენლობით. კანონპროექტის შესაბამისად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავდმჯომარეს დანიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო დანარჩენ 6 წევრს აირჩევს საქართველოს პარლამენტი,"** - გვამცნობს კანონპროექტი. ამასთან, პრეზიდენტს კომისიის წევრების კანდიდატურები შეუძლია წარუდგინოს ნებისმიერმა, ვინც კი ამ თემით დაინტერესდება. მათ დოსიეს თავად პრეზიდენტი შეისწავლის და პარლამენტს დასამტკიცებლად მინიმუმ 12, მაქსიმუმ 18 კანდიდატს წარუდგენს.

რაც შეეხება ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციებს. კანონპროექტის თანახმად და **"საარჩევნო ადმინისტრაციის ცენტრალიზებული წესით მართვის ინტერესებიდან გამომდინარე, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დანიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. დანარჩენ ექვს წევრს კი, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, აირჩევს ცენტრალური საარჩევნო კომისია. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების კანდიდატების დასახელების უფლება ექნებათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის 3-წევრიან ჯგუფს, არასამთავრობო ორგანიზაციას და ამომრჩეველთა 50-კაციიან ჯგუფს. საუბნო საარჩევნო კომისია შედეგება ცხრა წევრისგან. აღნიშნული კომისიის თავმჯდომარეს, ცენტრალიზებული წესით, დანიშნავს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ორ წევრს აირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია (აღნიშნული წევრების დასახელების უფლება ექნებათ საოქლო საარჩევნო კომისიის ორ წევრს, არასამთავრობო ორგანიზაციას და ამომრჩეველთა 10-კაციან ჯგუფს), ორ-ორ წევრს დანიშნავს ბოლო საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პოლიტიკურ პარტია ან ბლოკი."**

კანონპროექტში არსად არ არის მითითებული ის კრიტერიუმები, რომელსაც ესა თუ ის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს. აქედან გამომდინარე, იმავე ცესკო-ს შემთხვევაში, თუკი არ იარსებებს კონკრეტული დათქმა, პრეზიდენტს სრული უფლება ექნება, აირჩიოს და პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს მხოლოდ ის კანდიდატი, რომელსაც იგი, ელემენტარულად, პოლიტიკურად სანდოდ მიიჩნევს.

# რა ფორმით შედის შინაგანი ჯარი თავდაცვის სამინისტროში?

*1 ნოემბერს ამოიწურა საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოცხადებული ვადა, რომლის შემდეგაც ქვეყანაში ბოლო წლებში ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო რეფორმის გატარება უნდა განხორციელდეს. შინაგანი ჯარი, თავისი პირადი შემადგენლობითა და საბრძოლო ტექნიკით, შინაგან საქმეთა სამინისტროდან თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში უნდა გადავიდეს. საკუთარ წარსულთან გამოთხოვებას და ბიოგრაფიის ახალი ფურცლის გადაშლას კი შინაგანმა ჯარმა ფართომასშტაბიანი მანევრები მიუძღვნა ვაზიანის პოლიგონზე. თავად ხუთდღიანი სამხედრო სწავლება კი ისტორიას "ვარდი 2004"-ის სახელით შემორჩება.*

კობა ლიკლიკაძე,
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

"ვარდების რევოლუციის" წლისთავის შესახვედრად ყველა სახელმწიფო სტრუქტურა თავისებურად ემზადება, მაგრამ შინაგანი ჯარების სარდლობამ ყველას დაასწრო და 31 ოქტომბრიდან ვაზიანის პოლიგონზე ფართომასშტაბიანი სამხედრო მანევრები "ვარდი 2004" წამოიწყო. შეირაღება და საბრძოლო ტექნიკა, რომელიც სამხედრო სწავლებაში ღებულობს მონაწილეობას, შთამბეჭდავია. შინაგანი ჯარის სარდალმა, გენერალმა გიორგი თათუხაშვილმა, აღადგინა და მწყობრში ჩააყენა ყველა სახის მძიმე ტექნიკა, რაც აქამდე ან მხოლოდ აღლუმებზე გაყავდათ, ან უკვე გამზადებული იყო ჩამოსაწერად.

წვრთნებში მონაწილეობას ღებულობს 2000-მდე სამხედრო მოსამსახურე, შინაგანი ჯარების სატანკო ბატალიონი, საარტილერიო და ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონები, ზალპური ცეცხლის რეაქტიული დანადგარების - "გრადის" ბატალიონი...

ნიშანდობლივია, რომ 1 ნოემბრიდან შინაგანი ჯარების მთელი ეს საბრძოლო ტექნიკა და პირადი შემადგენლობა, თავდაცვის სამინისტროში გადავა და სახმელეთო ჯარების სახეობაში დაიდებს ბინას. შინაგანი ჯარების კუთვნილი ათამდე ვერტმფრენი კი სამხედრო-საჰაერო ძალებს გადაეცემა. თავად გენერალი გოგი თათუხაშვილი სახმელეთო ჯარების სარდლის პოსტს დაიკავებს. გენერალი თათუხაშვილი არ მალავს, რომ მიუხედავად ლირიკული სახელწოდებისა - "ვარდი 2004", სამხედრო მანევრებით ის და მისი ხელქვეითები სწორედ შეტევითი საბრძოლო ოპერაციის დეტალებს დაამუშავებენ.

**"ამით ჩვენ ვსწავლობთ ხელმძღვანელობას, კოორდინაციას. შტატით ხომ უამრავი სამსახური და საარტილერიო დანადგარია, ამიტომ, შეტევის დროს, თუ კოორდინაცია არ იქნა, რასაც სწავლებით უნდა მივაღწიოთ, ბრძოლაში გაგვიჭირდება,"** - ამბობს თათუხაშვილი.

რაც მთავარია, 1 ნოემბერიდან არსებობას წყვეტს საბჭოთა სისტემის გადმონაშთი - მძიმედ აღჭურვილი შინაგანი ჯარის სახით, რომლის გაძლიერებით, თავის დროზე, ედუარდ შევარდნაძე ცდილობდა, შეექმნა ერთგვარი საპირწონე თენგიზ კიტოვანის ეროვნული გვარდიისა და ჯაბა იოსელიანის "მხედრიონის" დასასუსტებლად. პრეზიდენტ სააკაშვილს კი ასეთი საპირწონეები აღარ სჭირდება - წარსულს ჩაბარდა უკონტროლო საველე მეთაურებისა და პარამილიტარისტული დაჯგუფებების ხანა. ყველა ოფიციალური ძალოვანი სტუქტურა უპირობოდ ემორჩილება შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს. საქართველოს ასეთი სამხედრო სამზადისი, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რათა ქვეყანამ წარმატებით განახორციელოს ნატო-სთან თანამშრომლობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა-პროგრამა, რომელიც ალიანსის ხელმძღვანელობამ სწორედ ოქტომბრის ბოლოს დაამტკიცა.

ნიშანდობლივია, რომ დაახლოებით სამიათასკაციანი პირადი შემადგენლობისა და 100 ერთეული მძიმე საბრძოლო ტექნიკის მქონე შინაგანი ჯარის ინტეგრაციის გეგმის პროექტი პარასკევს, 29 ოქტომბერს სამხედრო საბჭოს დახურულ სხდომაზე განიხილეს. პროცედურის თანახმად, ეს გეგმა საქართველოს პრეზიდენტმა უნდა დაამტკიცოს, რაც, სავარაუდოდ, სამხედრო მანევრების - "ვარდი 2004"-ის დასრულების შემედეგ მოხდება. ასე რომ, სანამ დამტკიცებული გეგმა არ არსებობს, ხატოვნად თუ ვიტყვით, შინაგანი ჯარი თავდაცვის სამინისტროს კართან დგას.

პრეზიდენტის მიერ გეგმის დამტკიცების შემთხვევაშიც კი, შინაგანი ჯარების თავდაცვის სტრუქტურებში შერწყმა კიდევ რამდენიმე კვირას გასტანს. ჩასატარებელია უამრავი სამუშაო, განსაკუთრებით სტრუქტურული რეორგანიზაციის და კადრების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით. განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს შინაგანი ჯარის ინფრასტუქტურის ბალანსური ღირებულების შეფასება, აუდიტორული შემოწმება.

სანამ ქვეყნის უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო პირები ინტეგრაციის გეგმაზე კაბინეტებში მსჯელობენ, სამხედრო უწყების კულუარებში უბრალო ოფიცრები უკვე შიშით ლაპარაკობენ მოსალოდნელ შემცირებაზე, რასაც შინაგანი ჯარის შერწყმა გამოიწვევს. ასეთი განწყობების შესახებ ინფორმაციას ფლობს სამხედრო მოსამსახურეთა არასამთავრობო ორგანიზაციის - "სამართალი და თავისუფლების" თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი, რომელიც სულ მალე ომბუდსმენის მოადგილის ამპლუაში იმუშავებს სამხედროების უფლებების დაცვაზე. ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ შემცირების პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა იყოს და გამოირიცხოს სუბიექტური ფაქტორები.

**"ცხადია, რაღაც შემცირებები მოხდება. მაგრამ ეს ღია და გამჭვირვალე პროცესი უნდა იყოს. სამსახურში დარჩეს, ვინც პროფესიონალია და გამოცდილია. ეს უნდა მოხდეს მათი დამსახურების მიხედვით და არა ნაცნობ-მეგობრობით, ჩაწყობითა და სხვა უკანონო ფორმებით,"** - ამბობს სესიაშვილი.

ქართველი ოფიცრები თავდაცვის სამინისტროდან, რომლებიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში სამჯერ გახდნენ მომსწრე ტოტალური შემცირებისა, შიშობენ, რომ, შინაგანი ჯარის ინტეგრაციის შემდეგ, თავდაცვის სამინისტოში კიდევ ერთხელ მოხდება შემცირება და მათ ადგილს შინაგანი ჯარების ოფიცრები დაიკავებენ. მათში ასეთ მოლოდინს შინაგანი ჯარის ამჟამინდელი სარდლის გენერალ გოგი თათუხაშვილის მიმართ დღევანდელი მმართველი პოლიტიკური ელიტის ხაზგასმული კეთილგანწყობა აჩენს. გენერალი თათუხაშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პირადი დაცვის ყოფილი უფროსია და უკვე ემუქრება სანქციით თავდაცვის სამინისტროში მომუშავე ბევრ მაღალი რანგის სამხედრო მოხელეს. თუმცა, თავდაცვის სამინიტროს ხელმძღვანელობა არ იზიარებს ამ შიშს და აცხადებს, რომ შინაგანი ჯარების ინტეგრაციის შემდეგ, მხოლოდ ზედმეტი მმართველობითი საშტატო თანამდებობები გაუქმდება, ხოლო პროფესიონალი ოფიცრები სახმელეთო ჯარების რიგებში გააგრძელებენ სამხედრო სამსახურს.

# მთავრობა ენერგომომარაგების მოწესრიგების პირობას დებს

*საქართველოს ენერგომომარაგება და საპენსიო უზრუნველყოფა, ამათთან ერთად კი ფინანსური ამნისტია - ეს გახლდათ მთავრობის გუშინდელი სხდომის ის თემები, რომლებიც ხელისუფლებამ ჟურნალისტებისთვის გახსნა. სხდომის ღია ნაწილში მთავრობა, უკვე დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, მკაცრი, თუმცა საკუთარი საქმიანობით კმაყოფილი ჩანდა.*

თამარ ხორბალაძე

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია სამსახურიდან დათხოვნით დაემუქრა ენერგეტიკოსებს, რომლებიც დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის ამოღებას და ელექტროენერგიის მიწოდებაზე გრაფიკის დაცვას ვერ უზრუნველყოფენ. ამ მუქარას კი ქვეყნის ენერგომომარაგების მოწესრიგების შეპირება მოჰყვა.

**"მომავალი კვირიდან, რაიონული გაზეთების, ტელევიზიებისა და ინტერნეტის საშუალებით გამოქვეყნდება რაიონებისა და ქალაქებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკები,"** - განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა. მისი თქმით, ნოემბრის თვეში რაიონებს ელექტროენერგია რვასაათიანი გრაფიკით მიეწოდებათ. ისეთი დიდი ქალაქები, როგორებიცაა რუსთავი, ქუთაისი, მცხეთა, ელექტროენერგიას 18-20-საათიანი გრაფიკით მიიღებენ, ხოლო დედაქალაქს 24 საათიანი ელექტრომომარაგება ექნება. მინისტრის თქმით, მომდევნო თვეების გრაფიკი ამოღების მაჩვენებლებზე დაყრდნობით გაიწერება. **"მთელი პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ მოსახლეობა არ იყო ინფორმირებული, როდის უნდა ჰქონოდათ შუქი. მომავალი კვირიდან კი ისინი ამ ინფორმაციას მიიღებენ",** - განაცხადა გილაურმა.

კომენტარი გაკეთდა "ფინანსური ამნისტიის" კანონპროექტთან დაკავშირებითაც. პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ მთავრობის წევრებს საზოგადოებასთან დიალოგისკენ მოუწოდა: **"ჩვენ რომ ეს პროექტი არ შეგვემუშავებინა, ასობითა და ათასობით ადამიანის საქმიანობაში "ქექვა" უნდა დაგვეწყო, რაც მათ უამრავ პრობლემას შეუქმნიდა. ჩვენი არჩევანი ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის სურვილით არის განპირობებული."** პრემიერ-მინისტრის განცხადებით, აღნიშნული საკანონმდებლო აქტი არ გულისხმობს სამოხელეო დანაშაულზე კონკრეტული პირებისთვის პასუხისმგებლობის აცილებას. **"თუმცა, იქნება იმ პირთა დაცვის რეალური მექანიზმები, რომლებიც გასული მთავრობის პირობებში, იძულებული იყვნენ, კანონდარღვევებზე წასულიყვნენ,"** - აღნიშნა მან.

საპენსიო საკითხთან დაკავშირებით კი, სხდომაზე კიდევ ერთხელ ითქვა, რომ 2005 წლის პირველი ნახევრიდან საქართველოს მთავრობას საპენსიო დავალიანებები აღარ ექნება.

უკვე სხდომის დახურულ ნაწილში მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებული პრეზიდენტის განკარგულების პროექტი, სააქციო საზოგადოება "თბილავიამშენის" პირდაპირი მიყიდვის წესით შპს "თბილავიამშენისთვის" გადაცემის შესახებ. როგორც მთავრობის სხდომიდან გამოსულმა ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ ნათია თურნავამ ჟურნალისტებს განუცხადა, მოწონებულ პროექტს უახლოეს დღეებში მთავრობა პრეზიდენტს ხელმოსაწერად წარუდგენს. თურნავას თქმით, პრეზიდენტის განკარგულების პროექტის მიხედვით, ს.ს "თბილავიამშენს" შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თბილავიამშენი" 67 მილიონ ამერიკულ დოლარად შეისყიდის. საწარმოს პროფილი უცვლელი დარჩება და სახელმწიფო შეკვეთები პრიორიტეტული იქნება. თურნავას განცხადებით, 67 მილიონი დოლარის 40 პროცენტს "თბილავიამშენი" წლის ბოლომდე დაფარავს, ხოლო დანარჩენ თანხას მომავალი წლის პირველ რიცხვებში გადაიხდის.

# ნატო-ს გენერალური მდივნის ვიზიტი

დღეს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ნატო-ს გენერალური მდივანი იააპ დე ჰოოპ სხეფერი ეწვევა. სამხრეთ კავკასიაში თავის ტურნეს იგი სწორედ თბილისში ვიზიტით დაიწყებს. პირველი შეხვედრა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან გაიმართება. ვიზიტის განმავლობაში დაგეგმილია შეხვედრები პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან, თავდაცვის მინისტრ გიორგი ბარამიძესთან და საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილთან. სხეფერი პარლმენტსაც ეწვევა.

ოფიციალური პირების გარდა, ნატო-ს გენერალური მდივანი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთანაც აპირებს შეხვედრას. საქართველოს მთავრობის წევრებთან სხეფერმა საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შემდგომი თანამშრომლობის და საქართველო-ნატოს "ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამასთან" დაკავშირებული საკითხები უნდა განიხილოს.

ნატო-ში ინტეგრაციის გარდა, დღის წესრიგში შეტანილია ასევე სამხრეთ კავკასიის რეგიონში შექმნილი მდგომარეობა და ანტიტერორისტული კოალიციის ფარგლებში შემდგომი თანამშრომლობის საკითხები. საქართველოდან სხეფერი ბაქოში მიემგზავრება. სამხრეთ კავკასიურ ტურნეს კი სომხეთში ვიზიტით დაასრულებს.

*24 საათი*

## "თელასი" აღრიცხვიანობას აწესრიგებს

მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვის სრულყოფის მიზნით, კომპანია "თელასი" თბილისის გაუმრიცხველიანებელ უბნებში აბონენტებისთვის ინდივიდუალურ მრიცხველებს ამონტაჟებს. პროგრამის მიმდინარეობას გუშინ კომპანიის გენერალურ დირექტორთან დანგირას მიკალაიუნასთან ერთად, თბილისის პრემიერიც გაეცნო. პროგრამის პირველი ეტაპი, რომელსაც კომპანია ივნისის თვიდან ახორციელებს, 50 ათასი აბონენტისთვის აღრიცხვის სისტემისა და განაწილების ქსელის მოწესრიგებას გულისხმობს. პროექტის ფარგლებში 26 ათას უმრიცხველო მომხმარებელს განახლებული აღრიცხვის სისტემა ექნება. დამატებით კიდევ 20 ათას გამრიცხველიანებულ აბონენტს საჰაერო ხაზები იზოლირებული გაყვანილობების ხარჯზე მოუწესრიგდება. ჯამში კომპანია 204 კმ სიგრძის გაყვანილობას შეცვლის. კომერციული დანაკარგების შემცირების მიზნით დედაქალაქის 250-მდე საცხოვრებელი კორპუსის სარდაფებში გამავალი ძალოვანი კაბელები ტექნიკური ნორმების შესაბამისად მიწისქვეშა კომუნიკაციებში განთავსდება. გამრიცხველიანებისა და ქსელის რეაბილიტაციის პროგრამის I ეტაპი "თელასის" 2000-მდე კომერციულ აბონენტთა სააღრიცხვო სისტემის სრულ მოწესრიგებასაც ითვალისწინებს.

გამრიცხველიანებისა და ქსელის რეაბილიტაციის პროცესს "თელასი" ამ უბნებზე 1 იანვრამდე დაასრულებს.

ბიძინა ბრეგაძის განცხადებით, ამ პროგრამის განხორციელება ქალაქის ბიუჯეტს დიდ შეღავათს მოუტანს, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი ელექტროენერგიას გარე განათების ქსელებიდან იპარავდა, გარე განათებას კი ბიუჯეტი აფინანსებს. მიკალაიუნასის განმარტებით კი, გამრიცხველიანების პროგრამის დასრულების შემდეგ თბილისში ელექტროენერგიის დატაცების ფაქტები და კომერციული დანაკარგები შემცირდება.

*24 საათი*

## სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გამგებლების წინააღმდეგ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (სშს) იმ გაგმგებლებს უპირისპირდება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით უგულებელყოფენ კანონის მოთხოვნებს და სააგენტოს არ აწვდიან ინფორმაციას სახელმწიფო შესყიდვების წარმოების დროს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესახებ. ინფორმაციის მოუწოდებლობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელობას დახარჯული თანხების მიზნობრიობასთან დაკავშირებით კითხვებს თავისთავად უჩენს. თუმცა რადგან ამ კითხვებს პასუხი ანგარიშის წარმოდგენამდე ვერ გაეცემა, სააგენტო "ურჩ ორგანიზაციათა" წინააღმდეგ სასამართლოს მიმართავს - სააგენტომ გუშინ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლით მინიჭებული უფლებით ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ოქმები 2004 წლის მე-3 კვარტლის ანგარიშის წარმოუდგენლობის გამო (წარდგენის ბოლო ვადა 10 ოქტომბერი იყო) სასამართლოს გადასცა შემდეგი რაიონების გამგეობების წინააღმდეგ: კასპი, დმანისი, მარნეული, აბაშა, მარტვილი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, მცხეთა, თიანეთი, ასპინძა, ბორჯომი, სამტრედია, ხარაგაული, ხონი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, ოზურგეთი, ამბროლაური, ლენტეხი, ცაგერი, ონი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მელაძე აცხადებს, რომ სააგენტოს მუშაობა კვლავაც ტრანსფარენტული იქნება და საზოგადოება მომავალშიც შეიტყობს იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით, უგულებელყოფენ კანონის მოთხოვნებს და სააგენტოს ხელს უშლიან საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მონიტორინგის დროულად ჩატარებაში.

*24 საათი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ლონდონში 8-დან 11 ნოემბრამდე დაგეგმილ მსოფლიო ტურისტულ ბაზრობაზე საქართველოც წარდგება. როგორც ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარემ საბა კიკნაძემ განმარტა, დღემდე ბაზრობაზე საქართველო მხოლოდ კერძო კომპანიების სახელით მონაწილეობდა. "წელს კი ჩვენი ქვეყანა სახელმწიფო სტატუსით იქნება წარმოდგენილი, რადგან, წინა წლებთან შედარებით, ბაზრობაზე გამოსაფენი ქართული სტენდი ნაწილობრივ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება, თანხის ნაწილს კი კერძო კომპანიები გადაიხდიან",- აღნიშნა კიკნაძემ. მისი თქმით, მსოფლიო ტურისტულ ბაზრობაზე ქართული მხარის მიერ გამოფენილ სტენდზე 6 ტურისტული კომპანია - "გეორგიკა თრეველი", "ეგზოტური", "ექსპო ჯორჯია", "ვიზიტ ჯორჯია", "უორლდ თრეველი" და "კავკასუს თრეველი" იქნება წარმოდგენილი. **ინტერ-პრესი**

## დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი ფინანსური ამნისტიის დროულად ამოქმედებას ითხოვს

თამარ ივანიძე

*ფინანსური ამნისტიის შესახებ კანონპროექტი გუშინ კვლავ ყურადღების ცენტრში გახლდათ - დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის გუშინდელ სხდომაზე მის ირგვლივ სერიოზული დისკუსია გაიმართა, რომელზეც განსაკუთრებული კრიტიკულობით, ტრადიციისამებრ, კობა დავითაშვილი გამოირჩეოდა.*



იური ლობოდინის ფოტო

*კომიტეტმა კანონპროექტს მხარი დაუჭირა და მეტიც - ფინანსური ამნისტიის ამოქმედების თარიღის შეცვლის ინიციატივით გამოვიდა.*

დავითაშვილის განმარტებით, პარლამენტს ამნისტიის მიღების იურიდიული საფუძველი არ გააჩნია, რადგან ის ეწინააღმდეგება "ფულის გათეთრების შესახებ" საერთაშორისო კონვენციას, რომელსაც საქართველო შეუერთდა.

ამასთან, მისი შეფასებით, დაუშვებელია მიწის ნაკვეთების გასხვისებისას უკანონო გარიგებების ლეგალიზება, რაც უზარმაზარი მიწის ფართობების უკანონო მფლობელისთვის დაკანონებას განაპირობებს. ამნისტიის პირობებით ცრუ სამეწარმეო საქმიანობისთვის კერძო პირი არ დაისჯება, ანუ თაღლითური გზით მოპოვებული კრედიტი შერჩება.

დავითაშვილის განცხადებით, დაუშვებელია ამნისტიით გათვალისწინებული ფალსიფიცირებული პროდუქტებით მოვაჭრის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება, ამასთანავე, ამნისტია ეხება უკანონო აქციების რეალიზატორს, რაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესის დარღვევაა.

საბოლოო ჯამში, მისი შეფასებით ამნისტიის ნორმები სცილდება სამეწარმეო სფეროს და ითვალისწინებს საჯარო მოხელეების სამართლებრივ პასუხისმგებლობიდან გათავისუფლებას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და ბოროტად გამოყენების შემთხვევაში.

კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ფინანსური ამნისტიის ალტერნატიულ ვარიანტზე ალაპარაკდა პარლამენტარი ზურაბ ცქიტიშვილი. ალტერნატიული ვარიანტის თანახმად ამნისტია უნდა გავრცელდეს მეწარმეთა იმ ჯგუფზე, რომელთა მიმართ ადმინიტრაციულ სამართალდარღვევათა საქმე წარმოებს, რადგან ამნისტიით შესაწყნარებელი კატეგორიისგან განსხვავებით, მეწარმეები საკუთარი სიმართლის დამტკიცებას სასამართლოში შეეცადნენ. ცქიტიშვილის განმარტებით, აღნიშნული პირების გამოაშკარავება განაპირობა მათი მხრიდან მაკონტროლებლისთვის ქრთამის არგაღებამ და, ამის გათვალისწინებით, ცქიტიშვილი ამნისტიის პროექტში გადასახადების დამმალავების გათანაბრების მიზნით ცვლილებების შეტანას საჭიროდ მიიჩნევს.

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, კომიტეტმა კანონპროექტს მხარი დაუჭირა და მეტიც - ფინანსური ამნისტიის ამოქმედების თარიღის შეცვლის ინიციატივით გამოვიდა.

კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი მიიჩნევს, რომ ამნისტია ძალაში პრეზიდენტის მიერ მისი გამოცხადების დღიდან, 27 ოქტომბრიდან უნდა შევიდეს. ლეკიშვილის განცხადებით, ეს ცვლილება განპირობებულია 27 ოქტომბრიდან მაკონტროლებლების გააქტიურებით.

მისი ინფორმაციით, გადამხდელთა კავშირის მონაცემებით, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ფინანსური შემოწმების მიზნით პოლიციისა და საგადასახადო ინსპექციის მიერ დაილუქა ბიზნესკომპანიები.

## უმსხვილესი გარიგება

*საქართველოს საბანკო სისტემაში უპრეცედენტო მოვლენა დაფიქსირდა. გუშინ, ყველაზე მსხვილ საბანკო გაერთიანებას ჩაეყარა საფუძველი.*

დიანა ჩაჩუა

გუშინ "საქართველოს ბანკმა" "თბილუნივერსალბანკის" შეძენის თაობაზე ოფიციალური განცხადება გააკეთა. "თბილუნივერსალბანკის" აქციების შეძენასთან დაკავშირებით ორი გარიგება გაფორმდა - აქციათა 80,01 პროცენტის მფლობელ აქციონერებთან და 19,99 პროცენტის მქონე "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან". **"საქართველოს ბანკის" მიერ "თბილუნივერსალბანკის" შესყიდვა საქართველოს საბანკო სისტემის მოქნილობასა და კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს. დარწმუნებული ვართ, რომ ეს გარიგება ბაზრის სხვა მონაწილეებს თვალნათლივ დაუდასტურებს შერწყმებისა და შესყიდვების მეშვეობით ღირებულების შექმნის შესაძლებლობას",** - განაცხადა გუშინ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ირაკლი მანაგაძემ.

როგორც გუშინ გახდა ცნობილი, "თბილუნივერსალბანკი" "საქართველოს ბანკს" გარიგების დასრულების შემდეგ შეერწყმება, სავარაუდოდ, დეკემბერში. გარიგების პირობების თანახმად, "საქართველოს ბანკი", "თბილუნივერსალბანკის" აქციათა 100 პროცენტს შეისყიდის, უმეტესწილად, "საქართველოს ბანკის" ახლად ლიმიტირებული აქციების სანაცვლოდ. **"ეს არის უდიდესი შესყიდვა ჩვენი ბანკის ისტორიაში, თუმცა საინტეგრაციო რისკებს შეამცირებს ის გარემოება, რომ ორივე ბანკი ერთნაირი საბანკო პროგრამული უზრუნველყოფით სარგებლობს. ჩვენ მოხარული ვართ "თბილუნივერსალბანკის" შესანიშნავ მენეჯმენტთან და პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობის შესაძლებლობით",** - განაცხადა "საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ლადო გურგენიძემ.

"საქართველოს ბანკის" ახალი გენერალური დირექტორი საქართველოში ბანკების გამსხვილების პროცესში მონაწილეობის მიღებას მომავალშიც აპირებს და "საქართველოს ბანკის" მიერ კიდევ ერთი რომელიმე კომერციული ბანკის შეძენის შესაძლებლობაზე საუბრობს.

გუშინვე ცნობილი გახდა "საქართველოს ბანკის" საკადრო ცვლილებების შესახებ. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო დატოვეს მისმა თავმჯდომარემ ვლადიმერ პატეიშვილმა და საბჭოს წევრმა ელგუჯა სილაგაძემ. **"მე ახალგაზრდების მუშაობის ტემპს შეიძლება ვერ ავყვე, ამიტომ ხელის შეშლა რომ არ გამოვიდეს, ჯობია თანამდებობიდან წავიდე",** - განაცხადა პატეიშვილმა. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ბანკის ერთ-ერთი მსხვილი ინდივიდუალური აქციონერის ვიქტორ გელოვანის კანდიდატურა განიხილება.

## დატაცება და ძველი დავალიანებები კვლავ აქტუალურ პრობლემებად რჩება

**ელექტროენერგეტიკის სექტორის მართვის ეტაპობრივად გაუმჯობესებისა და მასში საზოგადოების ჩართვის მხარდაჭერის პროექტს "ადგილობრივი პოტენციალისა და საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდა ენერგეტიკის სექტორის მართვის გაუმჯობესების მიზნით" ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციების ("კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი" (CENN), "მწვანე ალტერნატივა" და "ეკოხედვა") კოალიცია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. ამ მასალების შინაარსზე პასუხს მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია აგებს.**

ანა წიკლაური

*ენერგოკრიზისი დღემდე მოსახლეობისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება. ამ სექტორში ჩადებული კოლოსალური თანხების მიუხედავად, საქართველოში 24-საათიანი ელექტრომომარაგება კვლავაც შორეულ პერსპექტივას წარმოადგენს. ელექტროენერგეტიკის სექტორში უამრავი უპასუხო შეკითხვა და პრობლემაა. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული - დატაცება და ძველი დავალიანებაა. ეს პრობლემები აქტუალურია როგორც მოსახლეობის, ასევე თელას-ისათვის. თუმცა მხარეებს უკმაყოფილებისათვის განსხვავებული მიზეზები და არგუმენტები აქვთ. მომხმარებელი და მომწოდებელი სექტორში არსებული პრობლემების დაძლევასაც განსხვავებული მეთოდებით ცდილობენ.*

თბილისში 400 ათასამდე აბონენტია. ოფიციალური ინფორმაციით კი, ყოველთვიურად თელას-ში მხოლოდ 260-280 ათასი ქვითარი შედის. მართალია, "ეი-ი-ეს"-ის ამოღებასთან შედარებით ეს დიდი მიღწევაა (მაშინ მხოლოდ 16 ათასი აბონენტი იხდიდა), მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ქვითრების რაოდენობა არ ემთხვევა აბონენტების რაოდენობას, ცხადია, რომ ჯერ კიდევ აბონენტების მხოლოდ ერთი მესამედი იხდის, რაც დატაცების საკმაოდ სერიოზულ მაჩვენებელზე მიუთითებს.

დატაცება თელას-ისათვის გაცილებით უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე მოსახლეობისათვის. თელას-ში აცხადებენ, რომ დატაცების პრობლემა კომპანიისათვის კატასტროფულია. მათი ინფორმაციით, გაუმრიცხველიანებელი უბნები 4-5-ჯერ მეტ ელექტროენერგიას მოიხმარენ, ვიდრე გამრიცხველიანებული,. თუმცა დატაცების პრობლემა ყველგან აქტუალურია. თელას-ის თანამშრომლები დატაცების სხვადასხვა ხერხებზე საუბრობენ. განსხვავებულია დატაცების მეთოდები გაუმრიცხველიანებელ და გამრიცხველიანებულ უბნებში. გაუმრიცხველიანებელ უბნებში, სადაც არც იზოლირებული კაბელებია გაჭიმული, დატაცების ყველაზე პოპულარული მეთოდია ე. წ. "თევზაობა" ანუ შიშველ სადენზე ჩამოდებულია კაუჭი და მრიცხველის გვერდის ავლით არალეგალური ხაზი შეყვანილია სახლში. თელას-ის თანამშრომლების თქმით, ამ მეთოდს მოსახლეობა, ძირითადად, ღამეიყენებს , ანუ მაშინ, როდესაც ნაკლები შანსია, რომ თელას-ის წარმომადგენლები ამას შეამჩნევენ.

გამრიცხველიანებულ უბნებში დატაცების უფრო მრავალფეროვანი მეთოდები არსებობს. დატაცება პირდაპირ მაღალსართულიანი სახლების სარდაფებში არსებული ძალოვანი კაბელებიდან ხდება, რაც მრიცხველზე არ აისახება და მხოლოდ თელას-ის საბალანსო მრიცხველზე აღიბეჭდება.

გამრიცხველიანებულ უბნებში დატაცების საკმაოდ პოპულარული მეთოდია მრიცხველების მაჩვენებლების გაყალბება. არსებობს გაყალბების მარტივი და რთული მეთოდები. მარტივია, მაგალითად, ნულოვანი ფაზის გამოყენება, მრიცხველებში სპეციალური ხელსაწყოების დამონტაჟება, რომლის მეშვეობითაც მრიცხველი შენელებულად მუშაობს და ა.შ. თელას-ის თანამშრომლებისათვის მრიცხველის მაჩვენებლების გაყალბების ყველაზე საინტერესო მეთოდი დისტანციურ მართვაზე გადამონტაჟება აღმოჩნდა. აბონენტი მრიცხველს წამკითხველის მიახლოება-დაშორების შესაბამისად რთავს.

თელას-ში გადაუხდელობითა და დანაკარგებით მიყენებულ ზარალზე ლაპარაკობენ. მოსახლეობას კი თავისი მიზეზები და არგუმენტები აქვს ე.წ. "ლევი" ხაზების გასაყვანად. მაღალი ტარიფი, არასამართლიანად დარიცხული ვალები მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას და უბიძგებს მას არალეგალური მიერთების გზით შეიყვანონ სახლში ელექტროენერგია.

ოფიციალური მონაცემებით, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღება 82 პროცენტამდე გაიზარდა. თელას-ში ამას დიდ მიღწევად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ მსგავსი მაჩვენებელი არასდროს ყოფილა. დანაკარგების შემცირების ერთ-ერთ მიზეზად კომპანიაში რესტორნებისა და კაზინოების ქსელის აღრიცხვის მოწესრიგებას ასახელებენ. დანაკარგების შემცირების მიუხედავად, დატაცების პრობლემა თელას-ისათვის დღესაც აქტუალურია. ამიტომ კომპანია დატაცების შემცირების მიზნით მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას გეგმავს, პირველ რიგში გამრიცხველიანების დასრულებას, იზოლირებული კაბელების გაჭიმვას, სარდაფებიდან ძალოვანი კაბელების გამოტანასა და მრიცხველების კარადების გამაგრებას.

"ეი-ი-ეს"-მა იკისრა ვალდებულება, რომ თბილისის გამრიცხველიანებას სამ წელში დაასრულებდა, თუმცა დღმედე ეს საკითხი პრობლემად რჩება. თელას-ში ვარაუდობენ, რომ "ეი-ი-ეს"-ის მიერ დაწყებული გამრიცხველიანების პროცესი საბოლოოდ აპრილისთვის დასრულდება. ამჟამად გამრიცხველიანების პირველი ეტაპი მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც 26 ათასი აბონენტის გამრიცხველიანება და 201 კილომეტრი იზოლირებული კაბელის გაჭიმვა მოხდება. ეს პროცესი წლის ბოლოს დამთავრდება. მეორე ეტაპი მომავალი წლის იანვარში დაიწყება და მის ფარგლებში თელასი 30 ათას მრიცხველს დაამონტაჟებს. დაზღვევის მიზნით მრიცხველები სპეციალურ კარადებში განთავსდება, თუმცა დამატებითი გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარების მიუხედავად, თელას-ში დარწმუნებულები არ არიან, რომ მრიცხველებს არ მოიპარავენ. აპრილშივე დასრულდება მაღალსართულიანი სახლების სარდაფებიდან ძალოვანი კაბელების გამოტანისა და იზოლირებული კაბელების გაჭიმვის პროცესიც, რადგან, თელას-ის წარმომადგენლების განმარტებით, მხოლოდ მრიცხველების გამოტანა არ ნიშნავს გამრიცხველიანებას. **"მარტო მრიცხველების გამოტანა არანაირ შედეგს არ იძლევა, თუ იზოლირებული კაბელების გაჭიმვა არ არის დამთავრებული",** - აცხადებენ თელას-ში.

დატაცების ფაქტის აღმოჩენისას თელას-ის თანამშრომელი სემეკის 2001 წლის 31 დეკემბრის N15 დადგენილების მიხედვით აფორმებს სპეციალურ აქტს და სპეციალური ნორმებით ხდება იმის დაანგარიშება, თუ რამდენი ელექტროენერგიის დატაცება მოხდა. ამის შემდეგ აბონენტს ერიცხება უკანონოდ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადასახადი. მომხმარებელს შეუძლია აქტი გაასაჩივროს სასამართლოში ან თელას-ში არსებულ სპეციალურ საპრეტენზიო კომისიაში. აქტის ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს ის, რომ აქტი არასწორად იყო შედგენილი.

მოქმედი კანონმდებლობით დღემდე არ ისჯება ელექტროენერგიის დატაცება ან მითვისება, რადგან ასეთი ქმედება დანაშაულად არ ითვლება. ენერგეტიკის სამინისტრომ და თელას-მა ერთობლივად მოამზადეს სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი, რაც ადმინისტრაციული სასჯელის გამკაცრებას ითვალისწინებს. კანონპროექტის მიხედვით, დამნაშავე დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, 500 ლარიდან ზევით დაჯარიმდება. ეს კანონპროექტი ამჟამად უკვე პარლამენტშია.

დანაკარგების მხრივ, ცალკე პრობლემას წარმოადგენს მრიცხველების დატაცება. ოფიციალური ინფორმაციით, მარტო მიმდინარე წელს სამი ათასი მრიცხველი მოიპარეს, რის გამოც კომპანიამ სერიოზული ზარალი განიცადა. თელას-ის წარმომადგენლების განმარტებით, მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის უმრიცხველოდ ყოფნა გაცილებით მომგებიანია, რადგან უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე რეალურად იხდიან. მოსახლეობას ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი არგუმენტები აქვს. მოსახლეობა მიიჩნევს, რომ მრიცხველების მოხსნით თელას-ის თანამშრომლებიც არიან დაინტერესებულები, რომლებიც გარიგებაში შედიან აბონენტებთან. გაუმრიცხველიანებელ უბნებში თელას-მა ე.წ. ფიქსირებული გადასახადები დააწესა, რაც მოსახლეობის ერთ ნაწილს აწყობს, მეორეს -- არა. საქმე ისაა, რომ ვისაც მრიცხველი არ აქვს, ის ე.წ. პირობით გადასახადს იხდის, რაც იმას ნიშნავს, რომ ზამთრის პერიოდში აბონენტმა ყოველთვიურად 207 კვ.-სთ საფასური --- 25 ლარი, ხოლო წელიწადის დანარჩენ დროებში ყოველთვიურად 135 კვ.-სთ 17 ლარი უნდა გადაიხადოს. ასეთ მიდგომას არასამართლიანად მიიჩნევენ მოსახლეობაშიც და ესმებ-შიც (ელექტროსერვისის მომხმარებელთა ასოციაციები).,რადგან არსებობს ოჯახები, სადაც ერთი სული ცხოვრობს და, შესაბამისად, დაწესებულ ზღვარზე ორჯერ ნაკლებ დენს მოიხმარს და პირიქითაც ხდება, მრავალსულიანი ოჯახები ორჯერ მეტ დენს ხარჯავენ.

უსამართლო პირობითი დარიცხვის გარდა, მოსახლეობის უკმაყოფილების ყველაზე დიდი მიზეზი ძველი დავალიანებებია. მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს დარიცხვა უკანონოდ მოხდა. მოსახლეობისათვის დღემდე გაუგებარია, რა პრინციპით მოხდა ამ თანხის დაანგარიშება. ელექტროსერვისის მომხმარებელთა ასოციაციების (ესმა) წარმომადგენლების მტკიცებით, ხშირია შემთხვევები, როცა აბონენტს 1200-1500 ლარის ოდენობით ქვითრები ან რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილი ადამინების სახელზე შედგენილი ქვითრები მისდით, ასევე ხშირია შემთხვევები, როცა ქვითრები არარსებულ მისამართებზეცაა გამოწერილი და ა.შ.

ძველი დავალიანებების ათვლა 1999 წლიდან ანუ თელას-ში "ეი-ი-ეს-ის" შემოსვლიდან დაიწყო. ძველ დავალინებაში ითვლება ის ვალი, რომელიც 1999 წლიდან მრიცხველების გამოტანამდე დაგროვდა. მრიცხველების დაყენებამდე აბონენტებს სემეკ-ის მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით გამოთვლილი გადასახადი ერიცხებოდათ, დღესდღეობითაც არიან აბონენტები, რომლებიც ამ მეთოდით იხდიან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს, დაკისრებულ დავალიანებას კი უსამართლოდ მიიჩნევენ.

რამდენიმე ხნის წინ სემეკ-მა მიიღო წესი, რომლის მიხედვითაც, გამრიცხველიანების შემდეგ თუ აღმოჩნდა, რომ პირობითი დარიცხვით უფრო მეტი ერიცხებოდა მომხმარებელს, ვიდრე რეალური ჩვენებით ფიქსირდება, პირობითი დარიცხვა გადაანგარიშდება აბონენტის სასარგებლოდ. საწინააღმდეგო შემთხვევაში თელას-ს უფლება არა აქვს აბონენტს მეტი დაარიცხოს.

მწვანე ალტერნატივა

ეკოხედვა

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი

ენერგოსერვისის მომხმარებელთა ასოციაცია

# ქვიშის საათად გადაქცეული ჭადრაკის ქრონომეტრი

პირველი გვერდიდან

კერი აშკარად აგებდა სამხრეთში, მაგრამ გარკვეული შანსები კიდევ რჩებოდა ცენტრალურ დასავლეთში. მოკლედ, არჩევნები ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე, თუმცა ერთგვარი აზარტით მიდიოდა. ხმის მიცემის დროის ეს მონაკვეთი ნიუ-იორკის ყოფილმა მერმა რუდოლფ ჯულიანმა მძიმეწონოსანი მოკრივეების შერკინებას შეადარა, რომლებიც პირველ რაუნდებს ფრთხილად, მოწინააღმდეგის დაზვერვით, სუსტი მხარეების ძიებაში ატარებენ.

პრეზიდენტმა ბუშმა არჩევანი ტეხასის საკუთარ რანჩოზე დააფიქსირა, შემდეგ კი ისევ ვაშინგტონში გაფრინდა და არჩევნების მიმდინარეობას თეთრი სახლიდან, ნათესავებითა და მეგობრებით გარშემორტყმული ადევნებდა თვალს. მასთან ერთად იყვნენ მშობლები - ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უფროსი, ყოფილი პირველი ლედი ბარბარა; მისი ტყუპი გოგო, ასევე პრეზიდენტისა და მისი მეუღლის ახლობლები. პრეზიდენტი და მისი გარემოცვა თეთრი სახლის ყვითელ ოთახში იმყოფებოდნენ. ჩვეულების საწინააღმდეგოდ, ბუშმა ჟურნალისტები თავისთან შეუშვა და საკმაოდ მხიარულად უპასუხა მათ კითხვებს. რაც შეეხება სენატორ კერის, ის თითქოს თვალსაწიერიდან და, რაც მთავარია, ტელეეკრანებიდან გაქრა. მისი ბანაკიდან გამოსული ინფორმაციით, კერიმ "მცირე ხნით გამოძინება" გადაწყვიტა.



*ლორა და ჯორჯ ბუშები არჩევნების მიმდინარეობას თეთრი სახლიდან, ნათესავებითა და მეგობრებით გარშემორტყმული ადევნებდნენ თვალს.*

საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად, სენატორების მესამედის, კონგრესმენებისა და გუბერნატორების არჩევნები მიმდინარეობდა. აქ განსაკუთრებული სენსაციები არ მომხდარა, იმ გამონაკლისის გარდა, რომ ილინოისის შტატში შავკანიანმა დემოკრატმა ბარაკ ობამამ გაიმარჯვა. აშშ-ს სენატის არსებობის მანძილზე იგი მესამე აფრო-ამერიკელი სენატორი იქნება. საერთო ჯამში, რესპუბლიკელებმა უპირატესობა შეინარჩუნეს წარმომადგენელთა პალატაში, სენატში კი კიდევ უფრო გაზარდეს.

შუაღამისთვის, "საჭადრაკო დაფამ" (შეერთებული შტატების ინტერაქტიული რუკა - **რედ.**) განითლება დაიწყო; თუმცა, 2000 წლის არჩევნებთან შედარებით კვლავაც არ შეიმჩნეოდა რაიმე ცვლილება დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის შტატების გადანაწილებაში. წინა არჩევნების მსგავსად, ახლაც სამ შტატში - ფლორიდაში, ოჰაიოსა და პენსილვანიაში - დაპირისპირება იქნებოდა გადამწყვეტი. ნაშუაღამევს, როდესაც ალიასკის გარდა, ყველა შტატში დასრულდა ხმის მიცემა, გაირკვა, რომ პენსილვანიაში კერიმ გაიმარჯვა, ხოლო ფლორიდაში - ბუშმა. ასე რომ, ოჰაიო გახდა თეთრ სახლში შესასვლელი კარების ერთადერთი გასაღები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და განსაკუთრებით ტელევიზია, რომელთაც 2000 წელს იჩქარეს გამარჯვებულის გამოცხადება, ფრთხილობენ და საბოლოო გამარჯვებულის დასახელებას, ჯერჯერობით, ერიდებიან. მაგრამ რადგანაც მე ამერიკული მასმედიისგან განსხვავებით არანაირი პასუხისმგებლობა არ მეკისრება, უკვე შემიძლია განვაცხადო, რომ ჯორჯ უოკერ ბუში ხელმეორედ აირჩიეს.

რასაკვირველია, ცხელ კვალზე შეუძლებელია რაიმე სახის, მით უმეტეს საბოლოო დასკვნების გაკეთება, თუ რატომ ხვდა გამარჯვება წილად ბუშს და არა კერის. შესაძლოა, ბევრ მკითხველს ამ გამარჯვების მიზეზები სენსაციურად მოეჩვენოს. ყველა მოელოდა, რომ მთავარი ბრძოლა გაიმართებოდა ერაყის, ტერორიზმისა და ეკონომიკის გარშემო, თითქოსდა ფორმულით "ფული ან სული". ანუ ვისთვისაც "სული" (უსაფრთხოება - **რედ.**) უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე "ფული" (კეთილდღეობა - **რედ.**), ხმას ბუშს მისცემდნენ, ხოლო ისინი კი, ვინც კეთილდღეობას ანიჭებენ უპირატესობას - კერის.

თუმცა, ჩემი აზრით, 2004 წლის არჩევნების შედეგების გადამწყვეტი ფაქტორი შეერთებული შტატების მკვეთრი "გამემარჯვენება", კონსერვატიზმის ლიბერალიზმზე გამარჯვება იყო. გაიმარჯვა ამერიკამ, რომელიც ეკლესიაში დადის, თანაც გაიმარჯვა აბსოლუტური უპირატესობით... და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ შემთხვევაში ორსაფეხურიანი საარჩევნო სისტემა დემოკრატებს უფრო აძლევდათ ხელს, იმისგან განსხვავებით, რაც 2000 წლის არჩევნებზე დაფიქსირდა, მაშინ ელ გორს ბუშთან შედარებით 600 ათას ამომრჩეველზე მეტმა დაუჭირა მხარი, მაგრამ მან წააგო საარჩევნო კოლეგიის ხმების მიხედვით (არანაკლები როლი ამაში აშშ-ს უზენაესმა სასამართლომაც ითამაშა).

2004 წლის არჩევნებმა უჩვენა: ის პარტია, რომელიც აბორტების, ჰომოსექსუალისტთა კანონიერი ქორწინების უფლების და სამეცნიერო წრეების მიერ ადამიანის ემბრიონის სამედიცინო ექსპერიმენტებისთვის გამოყენების მომხრეა, ჩვენს დროში ვერ იქნება შეერთებული შტატების სათავეში.

ბუში კვლავ აშშ-ს პრეზიდენტია...

კრემლში შეუძლიათ, შვებით ამოისუნთქონ...

ამ მასალის მომზადების პერიოდში არც ბუშს წარმოუთქვამს გამარჯვებულის სიტყვა, და არც კერის ულიარებია დამარცხება. თუმცა, ისევ ჭადრაკის ენაზე რომ ვთქვათ, ეს ტექნიკის საქმეა. ან თუ გავიხსენებთ დასაწყისში ნათქვამს ქვიშის საათზე - დროის ამბავია.

ღამის სამი საათი იყო დაწყებული, როცა ბოსტონის ფეშენებელურ რაიონში, ბიკონ-ჰილში მდებარე სენატორ კერის სახლთან მოულოდნელად სენატორი ედუარდ კენედი მივიდა. მისმა გამოჩენამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ერთნი ვარაუდობდნენ, რომ კენედი კერის დარწმუნებას შეეცდებოდა, დამარცხება ელიარებინა და ამერიკელებისთვის გაერთიანებისაკენ მოეწოდებინა. სხვა მიმომხილველები კი ფიქრობდნენ, რომ პირიქით, კენედი კერის დაუჭერდა მხარს, გაამხნევებდა და უკანასკნელ მომენტამდე ბრძოლას ურჩევდა.

როგორც ჩანს, მეორე ვარაუდი უფრო ახლოს აღმოჩნდა სიმართლესთან. კერისა და კენედის შეხვედრიდან ცოტა ხნის შემდეგ, ბოსტონის კოპლი სკვეარზე, სადაც დემოკრატი აქტივისტები იყვნენ თავშეყრილნი, კერის საარჩევნო მეწყვილე ჯონ ედვარდსი გამოჩნდა. "ამერიკის მომავალ ვიცე-პრეზიდენტად" წარდგენილმა ედვარდსმა წარმოთქვა: "ჩვენ ისე დიდხანს ველოდით ამ დღეს, რომ კიდევ ერთ ღამესაც დაველოდებით!" ამ სიტყვების შემდეგ მან მოედანი დატოვა. "ამერიკის მომავალი ვიცე-პრეზიდენტის" ეს მოკლე განცხადება მასმედიამ მაშინვე შეაფასა, როგორც დემოკრატების განზრახვა, "ბოლომდე იბრძოლონ თითოეული ხმისთვის", ანუ არ დანებდნენ და დაელოდონ ოჰაიოს შტატის დაახლოებით 250 ათასი დროებითი ბიულეტენის ხმების გადანაწილებას.

**P.S.** ეს მასალა მზად იყო, როცა კერიმ დამარცხება ოფიციალურად აღიარა.

## ბუშის ნიღაბმა კერის ნიღაბი აშკარად დაჯაბნა

### აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების სკანდალები და კურიოზები

აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებს სკანდალებისა და კურიოზების გარეშე არ ჩაუვლია. იგივე ალიასკაზე მომავალი პრეზიდენტის არჩევის პარალელურად წყდებოდა მარიხუანის ლეგალიზების საკითხიც. ნიუ-ჯერსიში სკოლაში გახსნილი საარჩევნო უბანი სასწრაფოდ დახურეს თეთრი ფერის საეჭვო ფხვნილის აღმოჩენისთანავე, რომელიც მარილი გამოდგა. ვისკონსინის შტატში ჯორჯ ბუშის წინასაარჩევნო შტაბი იმ 30 ავტობუსის გარეშე დარჩა, რომელთაც საარჩევნო უბანზე რესპუბლიკელი მუშა-მოხალისეები უნდა მიეყვანა. ტელეკომპანია ABC-ის ცნობით, შტაბის მომსახურე პერსონალმა სამუშაო ადგილზე გამოცხადებისას აღმოაჩინა, რომ ავტობუსებს საბურავები დაშვებული ჰქონდათ. საჭირო გახდა სასწრაფოდ საბურავების გამოცვლა, რამაც ამომრჩევლების საარჩევნო უბნებზე მიყვანა დაახლოებით ნახევარი საათით მაინც შეაფერხა.

ზემოაღნიშნული პრობლემების გარდა, როგორც რუსული საინფორმაციო სააგენტო "ნიუს რუ" ავრცელებს ცნობებს, სკანდალებს არც რესპუბლიკელები და დემოკრატები ერიდებოდნენ. ტეხასის შტატში რესპუბლიკელებმა დემოკრატები არასრულყოფილი გონებრივი მონაცემების მქონე სტუდენტების ნაყინებით მოსყიდვის მცდელობაში დაადანაშაულეს. ბრიტანული გაზეთის "ინდიფენდენტ"-ის ცნობით, ფილადელფიაში რესპუბლიკელებმა განაცხადეს, რომ ჯერ კიდევ არჩევნების დაწყებამდე დემოკრატებისთვის წინასწარ მიცემული 2 000 ხმა იყო რეგისტრირებული საარჩევნო კომპიუტერში. რესპუბლიკელებს არც დემოკრატები ჩამორჩნენ ხმამაღალი პრეტენზიების გაცხადებაში. დამკვირვებელთა თქმით, აშშ-ში ხმის მისაცემ მოწყობილობასთან დაკავშირებით ფლორიდის შტატიდან დემოკრატებმა დარღვევის 1100 შემთხვევა დააფიქსირეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ კომპიუტერი მათ არ აძლევდა კერისთვის ხმის მიცემის საშუალებას, რადგან კომპიუტერის ეკრანზე ნებისმიერ შემთხვევაში ჩნდებოდა კითხვა: "დარწმუნებული ხართ თუ არა, რომ თქვენ ჯორჯ ბუშს ხმა მიეცით?" სააგენტო AP-ის თანახმად, ანალოგიური საჩივრებით საარჩევნო კომისიას დემოკრატებმა კიდევ ექვსი შტატიდან მიმართეს. დარღვევები დაფიქსირდა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მხრიდანაც, ოჰაიოში გაზეთებმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის დირექტივას, რომელიც საარჩევნო უბნებზე ჟურნალისტების სამუშაო რეჟიმში დაშვებას კრძალავდა. ახლა კი, რაც შეეხება სახალისო ვარაუდებს, რომელთაც აშშ-ში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. იტალიური გაზეთის "ლა სტამპა"-ს პროგნოზებით, "რედსკინზ"-ის წაგების შემთხვევაში პრეზიდენტის პოსტს ჯონ კერი დაიკავებდა. ტრადიციის თანახმად, არჩევნების წინ ბოლო მატჩის, ვაშინგტონის საფეხბურთო გუნდის "რედსკინზის" მიერ მოგების შემთხვევაში მოქმედი პრეზიდენტი ყოველთვის ინარჩუნებდა დაკავებულ პოსტს. ამ ტრადიციას სათავე 1933 წელს ზემოაღნიშნული გუნდის შექმნის შემდეგ ჩაეყარა. ამ საფეხბურთო ნიშნის პირველ მსხვერპლად "დიდი დეპრესიის" პერიოდში მოქმედი პრეზიდენტი ჰერბერტ ჰუვერი იქცა, რომელმაც ადგილი რუზველტს დაუთმო. ტრადიციისამებრ, საფეხბურთო შეხვედრა ამ კვირასაც ჩატარდა, თუმცა 21-ე საუკუნეში ტრადიცია დაირღვა და როგორც არჩევნების შედეგებმა აჩვენა, ჯორჯ ბუშმა პრეზიდენტის პოსტი მაინც შეინარჩუნა.

თუმცა, არჩევნების პროგნოზირებისთვის ამერიკელები მხოლოდ სპორტს არ იყენებდნენ. გარდა ზემოჩამოთვლილისა, არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი - ეკონომიკა. ჟურნალ "Stock Trader's Almanac"-ის მთავარი რედაქტორის ჯეფრი ჰირშის თქმით, 1904 წლიდან დღემდე მოქმედი პრეზიდენტი ყოველთვის აგებდა, თუკი Dow Jones-ის ინდექსი არჩევნების წინ ერთი თვის განმავლობაში 0.5 პროცენტზე მეტით ვარდებოდა დაბლა. Wall Street-ის ბირჟაზე კი ოქტომბერში აღნიშნული ინდექსი 0.52 პროცენტით დაეცა. ამდენად, ნიშნების მოყვარული ამერიკელები, მით უფრო დემოკრატები, მიიჩნევდნენ, რომ ესეც კერის სასარგებლოდ მეტყველებდა. არჩევნების შედეგების კიდევ ერთ საზომად საპრეზიდენტო კანდიდატების სიმაღლესაც განიხილავდნენ: "მაღალი ყოველთვის გამარჯვებულია". ამ წესს ამტკიცებდა კლინტონი - ბუში-უფროსისა და დოულის, ბუში უფროსი-დუკაკისის, რეიგან-კარტერისა და მონდეილის დაპირისპირების მაგალითი. კიდევ ერთი ემპირიული და ერთობ საეჭვო შეფასების სისტემა ქვედაბოლოების სიგრძის გათვალისწინება იყო. მოდაში მინი-ქვედაბოლოების დროს გამარჯვებულები ყოველთვის დემოკრატები იყვნენ, მაშინ როცა გაცილებით მკაცრი მოდური სტანდარტების ხანაში თეთრ სახლში რესპუბლიკელები მოდიოდნენ. თუმცა ახლა, როცა მოდაში თეძოზე დაწეული შარვლებია, ექსპერტები შეფიქრიანებული და ცოტა დაბნეულიც კი იყვნენ. თუმცა, ყველა ნიშანი მარტო ბუშის წინააღმდეგ, ცხადია, არ მეტყველებდა. ჟურნალი "Weekly Reader"-ი გამოკითხვების შედეგებზე დაყრდნობით ირწმუნებოდა, რომ ამ არჩევნებში დემოკრატები ვერ შეძლებდნენ რესპუბლიკელების ჩანაცვლებას. გამოკითხვა კი აღნიშნულმა ჟურნალმა დაწყებით და საშუალო სკოლებში ჩაატარა, სადაც ბავშვების 60 პროცენტის სიმპათია ჯორჯ ბუშს ერგო. და ბოლოს, კიდევ ერთი საშუალება, რომლითაც ამერიკელები არჩევნების შედეგების პროგნოზირებას ცდილობდნენ, შემდეგი იყო: ის კანდიდატი, რომლის ნიღაბიც ყველაზე მეტად იყიდება ჰელოუინზე, როგორც წესი, თეთრი სახლის შეფი ხდება. ვისკონსინის შტატის ერთ-ერთი ფირმის მონაცემებით, წელს აღნიშნულ დღესასწაულზე პოპულარობით ბუშის ნიღაბმა აშკარად დაჯაბნა კერის ნიღაბი. უპირატესობა, სულ რაღაც, ერთი პროცენტი იყო, რაც, რეალურად, თითქმის პირდაპირპროპორციულად ახდა.

*24 საათი*


btc SCP South Caucasus Pipeline Mercy Corps

## ნავთობსადენის მშენებლობამ სოფლებს ბევრი პრობლემა მოუხსნა

საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა - აღმოსავლეთი-ს (CIP) ფარგლებში, რომელიც ინიციირებული და დაფინანსებულია BP-ს, BTC/SCP-ს და მათი პარტნიორი პროექტების მიერ, M"მერსი ქორმა" და მისმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებები იმ თემების საკეთილდღეოთ, რომლებიც მილსადენის მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიებზე არიან დასახლებულნი. ამ საქმიანობის მიზანია თემების მობილიზება და განვითარება. მობილიზებული მოსახლეობა სოფლებში ახორციელებს პროექტებს, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი ინფრასტრუქტურის, სოციალური სამსახურის განვითარების და საზოგადოებაში ორგანიზატორული თვისების გასავითარებლად.

თეთრი-წყაროს რაიონის სოფლებისათვის, რომლებიც განლაგებულია BTC/SCP -ს მილსადენის მშენებლობის გასწვრივ (მარაბდა, დურნუკი, ხაიში, წინწყარო, ჭივჭავი, კოსოლარი) სოფლის მეურნეობა შემოსავლის ერთადერთი წყაროა. "ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის მეურნეობის განვითარებას, მაღალხარისხიანი თესლის დეფიციტია"- ამბობს ადგილობრივი საკრებულოს თავმჯდომარე გულადი უმფრიანი. - "მერსი ქორის" მიერ მაღალხარისხოვანი თესლის დარიგება ხელს შეუწყობს ჩვენი სოფლის მეურნეობის გაძლიერებას. ეს, ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება გახლდათ. ჩვენი ვარაუდით, მოსავალი სამჯერ გაიზრდება და მომავალ წელს ჩვენი ფერმერების მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება".

### "BTC/SCP და "მერსი ქორმა" ჩვენი სოფლები გამოაცოცხლა."

ჩვენი მკითხველი გათვიცნობიერებულია საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის (CIP) შესახებ, რომელიც ინიცირებული და დაფინანსებულია BP -სა და მისი პარტნიორების მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის პროექტებში და განხორციელებულია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მერსი ქორისა და მისი პარტნიორების დახმარებით. პირველ რიგში პროექტი მიმართულია იმ თემების საკეთილდღეოთ, რომლებიც მილსადენის გასწვრივ ცხოვრობენ. მობილიზებული თემები სოფლებში ახორციელებენ პროექტებს, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი ინფრასტრუქტურის, სოციალური სამსახურის განვითარების და მოსახლეობის ორგანიზატორული ნიჭის განვითარებისკენ.

გარდაბნის რაიონის სოფელ ახტაგლას მოსახლეობას ყველა ის სირთულე აქვს გადატანილი, რომელიც დამახასიათებელია საქართველოს სოფლებისათვის - ხალხი ტოვებდა სოფელს უმუშევრობის და უამრავი სოციალური პრობლემის გამო. ერთ-ერთ უმთავრესს მათ შორის 1970 წელს აშენებული სკოლის შენობის რეაბილიტაცია წარმოადგენდა, რომელსაც თემი ტრადიციულად სხვადასხვა სახის შეკრებების ჩასატარებლადაც იყენებდა. ოც წელიწადზე მეტია ეს შენობა არ გარემონტებულა. ბავშვებს უამინდობის გამო გაკვეთილები უცდებოდათ: წვიმის დროს სახურავიდან წყალი ჩამოდიოდა, სიცივის დროს კი იყინებოდნენ.

"ადგილობრივ ხელისუფლებას შესაძლებლობა არ ქონდა, რემონტისთვის ფული გამოეყო, - ამბობს სეიფადინ გუსეინიოვი, ახტაგლას მკვიდრი და თემის საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარე. - მაგრამ ყველაფერი შეიცვალა იმ დახმარების მიღების შემდეგ, რომელიც ჩვენ ნავთობსადენის მშენებლობის პროექტებისგან მივიღეთ. - "მერსი ქორის" თანამშრომლების დახმარებით და BTC/SCP-ს მიერ გამოყოფილი თანხების მეშვეობით სკოლა გავარემონტეთ. ახალი სასწავლო წლის დაწყება განახლებულ სკოლაში მთელმა სოფელმა იზეიმა. BTC/SCP და "მერსი ქორმა" ჩვენი სოფელი გამოაცოცხლა".




## ავღანეთს პირველი, დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტი ჰყავს

ჰამიდ კარზაი ავღანეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად ოფიციალურად გამოცხადდა. ამის თაობაზე განცხადება ქვეყნის საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა სულთან ბაჰინმა გუშინ გააკეთა.

ამა წლის 9 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით ჰამიდ კარზაიმ ამომრჩეველთა ხმების 54,4 პროცენტი მიიღო და ამდენად, პირველსავე ტურში გამარჯვებულად გამოცხადდა. არჩევნების მსვლელობისას დაფიქსირებულ პროცედურულ დარღვევებს, ბაჰინის განცხადების თანახმად, მის საბოლოო შედეგებზე არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია.

ბოლო სამი წლის მანძილზე კარზაი სათავეში ედგა დროებით მთავრობას, რომელიც 2001 წლის ბოლოსათვის თალიბთა რეჟიმის დამხობის შემდეგ შეიქმნა. თუ კარზაი თავის სიტყვას შეასრულებს, მაშინ მისი მეორე მთავრობა პირველისაგან განსხვავებული იქნება. წინასაარჩევნო პერიოდში მან განაცხადა, რომ იგი მის უმთავრეს მოწინააღმდეგეებთან, რეგიონული ეთნიკური უმცირესობების ლიდერებთან კოალიციის შექმნას არ აპირებდა

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში ჩატარებული პირველი თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები მთელი რიგი დარღვევებით ჩატარდა. დამკვირვებელთა განცხადებით, მრავალ საარჩევნო უბანს თავიანთ "აქტივში" ისეთი ავტოკალმები ჰქონდათ, რომლის მელანიც სწრაფად ქრებოდა. ამდენად, ბიულეტების შევსება რამდენჯერმე ხდებოდა. მეორე დარღვევას წარმოადგენდა ის, რომ ხმის მისაცემად მისულ ბევრ მოქალაქეს პირადობის დამადასტურებელი არავითარი საბუთი არ გააჩნდა. ამავე დროს, ქვეყანაში გაუნათლებლობისა და წერა-კითხვის არცოდნის დონე საკმაოდ მაღალია. ამის გამო, ხმის მიცემის შემდეგ ამომრჩეველთა იდენტიფიცირების მიზნით, მათ ცერა თითზე მელნით უკეთებდნენ ნიშანს, რომლის მოშორებაც ასევე საკმაოდ იოლი გახლდათ.

ჰამიდ კარზაი საკუთარ გამარჯვებაში თავიდანვე დარწმუნებული იყო. მას წინასაარჩევნო მარათონში ფავორიტად მიიჩნევდნენ. ამიტომ, მან არჩევნების დასრულებისთანავე განაცხადა, რომ აუცილებელია არჩევნების შედეგების ცნობა. ამასთან, კარზაიმ თავის მომხრეებს მოუწოდა, მოეცადათ, ვიდრე შექმნილი მდგომარეობის შესახებ ავღანეთის ცენტრალური საარჩევნო კომისია ოფიციალურ განცხადებას არ გააკეთებდა. უნდა აღინიშნოს, რომ ავღანეთის საარჩევნო კომისია ადგილობრივი ხელისუფლებისა და გაეროს წარმომადგენლებით დაკომპლექტდა.

კარზაის მთავარ კონკურენტებს უზბეკური უმცირესობის ლიდერი, გენერალი აბდულ რაშიდ დუსტუმი და განათლების ყოფილი მინისტრი იუნუს ქანუნი წარმოადგენდნენ. იმაში, რომ ავღანეთის საპრეზიდენტო არჩევნებში სწორედ ჰამიდ კარზაი გაიმარჯვებდა, ეჭვი თითქმის არავის შეჰპარვია. რაც შეეხება საყოველთაო არჩევნებს, 2005 წლის მაისისათვის არის დაგეგმილი.

ერთადერთი, რამაც კარზაის ტრიუმფს ჩრდილი მიაყენა, ის გახლავთ, რომ წინა კვირას გაეროს მისიის სამი ოფიციალური წარმომადგენელი გაიტაცეს. ფილიპინელი დიპლომატი და ორი ქალბატონი ჩრდილოეთ ირლანდიიდან და კოსოვოდან საარჩევნო კომისიის მუშაობაში იღებდნენ მონაწილეობას.

გამტაცებლები ოთხშაბათს გამთენიისათვის მძევლების მოკვლით იმუქრებოდნენ, თუ მათ მოთხოვნებს არ შეასრულებდნენ. მათი ძირითადი მოთხოვნა თალიბანის წევრების გათავისუფლება გახლდათ, რომლებიც სასჯელს ავღანეთის ციხეებსა და გუანტანამოში იხდიან. თუმცა, გუშინ, კარზაის მთავრობასთან მოლაპარაკებების შედეგად, ისლამისტურმა დაჯგუფებამ თავისი ულტიმატუმის ვადა გააგრძელა.

# ეს არ არის მათი სახე. აი, მათი სახეები

ნინო ცინცაძე

ალბათ, ყველას კარგად ახსოვს 2003 წლის 2 ნოემბრის წინასაარჩევნო დღეების სატელევიზიო რგოლი, სადაც მოქალაქეთა კავშირის სარეკლამო სახის, პატარა გიორგის სურათი "ბილბორდის" ზედაპირს სცილდებოდა და ვიტალი ხაზარაძის, ვანო ზოდელავას, ლევან მამალაძის, ირინა სარიშვილისა და სხვათა სახეები ჩნდებოდა. "ეს არ არის მათი სახე. აი, მათი სახეები", - ისმოდა კადრს მიღმა. ამ სიტყვების გამეორება განათლებისა და მეცნიერების მინისტრს წლევანდელ 2 ნოემბერს დასჭირდა: **"როდესაც ხედავ, რომ რეფორმას უპირისპირდებიან ის ადამიანები, რომლებიც ღიად თანამშრომლობენ რუსეთის სპეცსამსახურებთან, ხვდები, რომ სწორ გზას ადგახარ; ისინი, ვინც სწორედ ერთი წლის წინათ შევარდნაძის ერთ დაძახებაზე პარლამენტში მიცუნცულდა და ქვორუმი შექმნა და ვისი შვილებიც დღეს შვეიცარიაში, ინგლისსა და საფრანგეთში სწავლობენ. როდესაც ახალგაზრდა სახეებს ვხედავთ, რომლებიც რეფორმას უპირისპირდებიან, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არ არის მათი სახეები, მათ უკან დგანან ის რეტროგრადული ძალები, რომლებიც ერთი წლის წინ მთელი ძალით ჯერ ხალხის არჩევანს ეწინააღმდეგებოდნენ, შემდეგ კი რევანშისათვის იბრძოდნენ. ისინი დღესაც რევანშისათვის იბრძვიან, რადგან რეფორმის წინააღმდეგ ბრძოლა განათლების მომავლის წინააღმდეგ ბრძოლაა".**

დიდი ფიქრი არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ განათლების მინისტრი პირველ შემთხვევაში ლეიბორისტებს გულისხმობდა, მეორე შემთხვევაში - ახალ მემარჯვენეებს, ხოლო მესამე შემთხვევაში - მოქკავშირის იმ ძალებს, რომლებიც პოსტ-რევოლუციურ დღეებში უნივერსიტეტის ეზოში რევანშის მოწყობას სერიოზულად ცდილობდნენ. ფაქტია, რომ მაშინ რევანში არ გამოვიდა და ისიც ცხადია, რომ დღეს ამ ძალების თავდასხმის ძირითადი ობიექტი განათლების რეფორმაა. 2 ნოემბერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, უმაღლესებისა და სკოლის პედაგოგები, მწერლები და მუსიკოსები შეიკრიბნენ, რათა განათლების რეფორმის ძირითადი პრინციპებისათვის მხარი კიდევ ერთხელ დაეჭირათ.

**"განათლების სისტემა მთელი საზოგადოების მოდელია,** - ამბობდნენ ისინი, - **და ამიტომ, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის ღირებულებები და პრინციპები, რომელიც მომავალ თაობას ჯერ სკოლაში და შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში უნდა ჩამოუყალიბდეს".** იმ ადამიანებისათვის კი, რომლებიც განათლების რეფორმას ასე აქტიურად ებრძვიან, სავარაუდოდ, ჩვენი საზოგადოების არსებული მოდელი, რომელიც, მრავალწილად, განათლების ძველი სისტემის მუშაობის პრინციპებზეა დაფუძნებული, უფრო მისაღებია. ისინი თავს ამ სისტემაში უფრო კომფორტულად და უსაფრთხოდ გრძნობენ. როგორც 2 ნოემბრის შეხვედრაზე ბატონმა გია ნოდიამ განაცხადა, **-"განათლების რეფორმის წინააღმდეგ ბრძოლა რაღაც მისტიკური შეთქმულებითი თეორიების თამაშად გადაიქცა. იმ ადამიანებს, ვინც ასე აქტიურობს, განათლების სისტემა არ აინტერესებთ. ისინი მხოლოდ ეძებენ ნიშას, საიდან შეიძლება საქართველოს ევროპული მიმართულებით განვითარების გეზს უკეთ შეუტიონ".**

დღეს უმაღლესი განათლების სფეროში რეფორმების ოპონირების მთავარი სფერო სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიის საკითხია. ამიტომ, განათლების სამინისტროს პრესსამსახურმა დაინტერესებული პირებისათვის ცალკე გამოყო სახელმწიფო უმაღლესების ავტონომიასთან დაკავშირებული ის რეალობები, რომელიც დღეს არსებობს და მათი შეცვლის მომავალი გეგმა:

**რა გვაქვს -** პრეზიდენტი, განათლების მინისტრის წარდგინებით, ამტკიცებს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორს და ამ კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ვადამდე წყვეტს მის უფლებამოსილებას;

**რა გვექნება -** რექტორის არჩევა უნდა ხდებოდეს სასწავლებლის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ. მას პრეზიდენტის დამტკიცება აღარ სჭირდება.

**რა გვაქვს -** დღევანდელი კანონმდებლობით, უმაღლეს სასწავლებლებში არსებული მართვის პირამიდა შემდეგნაირად მოქმედებს: რექტორი ამტკიცებს დეკანებს, ფაკულტეტის ხელმძღვანელებს, კათედრის გამგეებს, რომლებიც შედიან სამეცნიერო საბჭოში და რომელიც, თავის მხრივ, შემდეგ ირჩევს რექტორს;

**რა გვექნება -** ახალი კანონპროექტის მიხედვით მმართველი ორგანოები - სენატი და აკადემიური საბჭო იქნება წარმომადგენლობითი. მათი არჩევა მოხდება ფაკულტეტების პროფესორებისა და სტუდენტების მიერ პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. ანალოგიური წესით მოხდება დეკანის არჩევაც.

**რა გვაქვს -** დღევანდელი სამეცნიერო საბჭოს 200 წევრიდან მხოლოდ ორია სტუდენტი.

**რა გვექნება -** ახალი კანონპროექტის თანახმად, სენატის მთლიანი შემადგენლობის 1/3-ს სტუდენტები შეადგენენ.

**რა გვაქვს -** ამჟამად სამეცნიერო საბჭო წყვეტს როგორც სამეცნიერო, ისე სამეურნეო საკითხებს.

**რა გვექნება -** ახალი კანონპროექტით, აკადემიური საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებებს სამეცნიერო საკითხებზე. სამეურნეო საკითხებს ის დააყენებს სენატის წინაშე კანცლერის მეშვეობით. სენატის პრეროგატივაა ამ საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება.

**რა გვაქვს -** უმაღლეს სასწავლებლებში არსებული დღევანდელი სისტემა არის დახურული, ახასიათებს ფინანსური ოპერაციების გაუმჭვირვალობა, რაც იწვევს დარღვევებს და ხელს უწყობს აშკარა დანაშაულსაც. ხშირად უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაცია ერთპიროვნულად უკანონოდ განკარგავს სასწავლებლის ქონებას.

**რა გვექნება -** ახალი კანონპროექტი საშუალებას აძლევს უამაღლესი სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პრიორიტეტების განსაზღვრაში, ბიუჯეტის შედგენასა და მის შესრულებაზე კონტროლში. უფრო მეტი ადმინისტრაციული და ფინანსური ძალაუფლება ენიჭება ფაკულტეტებსა და კათედრებს.

**რა გვაქვს -** საქართველოში მეცნიერმა სამეცნიერო ხარისხი რომ მიიღოს, უნდა გაიაროს ბიუროკრატიული სისტემის რამდენიმე ინსტანცია, წარმოადგინოს ყველა საბუთი, რათა საბჭომ ცნოს წარმოდგენილი ნაშრომი. შედეგად, ის მიიღებს სამეცნიერო ხარისხს, რომელიც არაა თავსებადი ევროპულ და ამერიკულ სამეცნიერო ხარისხებთან.

**რა გვექნება -** ახალი კანონპროექტის მიხედვით, ფაკულტეტებზე იქმნება სადისერტაციო საბჭო, რომელშიც შედის ფაკულტეტის ყველა პროფესორი და რომელიც უფლებამოსილია მიანიჭოს სამეცნიერო ხარისხი. სამეცნიერო ხარისხები ევროპული და ამერიკული სამეცნიერო ხარისხებთან თავსებადი იქნება.

**რა გვაქვს -** დღევანდელი კანონპროექტით პრეზიდენტი ამტკიცებს განათლების მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამებს, საგამოცდო-საატესტაციო კომისიების შემადგენლობებს.

**რა გვექნება -** უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს საკუთარი სასწავლო გეგმების და პროგრამების დამტკიცება-განხორციელების თავისუფლება და საგამოცდო შემადგენლობის განსაზღვრის უფლება ენიჭებათ.

**რა გვაქვს -** დღეს სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების შერჩევის სისტემა გაუმჭვირვალე და ბუნდოვანია.

**რა გვექნება -** მივიღებთ კადრების შერჩევის ღია, გამჭვირვალე სისტემას მკაფიოდ განსაზღვრული საკვალიფიკაციო კრიტერიუმებით.

**რა გვაქვს -** მისაღები გამოცდების დღეს არსებული სისტემა კორუფციულია. საქართველოს მოსახლეობა აბიტურიენტების მომზადებაზე - 12 მილიონს, ხოლო მისაღებ გამოცდებზე, პირდაპირი ქრთამის სახით, 6,5 მილიონ ლარს ხარჯავს.

**რა გვექნება -** მისაღები გამოცდების ახალი სისტემა, რომელიც გამორიცხავს ქრთამს, პროტექციას, გამოძალვას. უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრის ერთადერთი კრიტერიუმი იქნება ცოდნა და არა - ოჯახის ბიუჯეტი.

სახელმწიფოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონის თანახმად, რჩება კონტროლი მხოლოდ ფინანსურ საქმიანობაზე.


## თსეც-კლინიკა „პროფესიონალი"
## გრანდიოზული პროექტი
## „ჯანმრთელი ოჯახი"

**წელიწადში მხოლოდ 25 ლარად**

გთავაზობთ საოჯახო მრავალჯერადი მომსახურების სამედიცინო ბარათს
დიაგნოსტიკური გამოკვლევები (ექოსკოპია, ლაბორატორია, ეკგ);
ამბულატორული მკურნალობა, რეაბილიტაცია;
საკონსულტაციო მომსახურება.

**იხდით ერთხელ, გემსახურებით მთელი წელი!**

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და ბარათის შესაძენად დარეკეთ: 30.64.44; 899.17.30.60
მისამართი: ქავთარაძის ქ.21ა, მესამე სართული (სისხლის პრეპარატების ცენტრის შენობა)

*თსეც-კლინიკა "პროფესიონალი"*


# უკანასკნელი პრესკონფერენცია

*დღეს ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარე ლევან ღვინჯილია თავის პირველ და უკანასკნელ პრესკონფერენციას გამართავს. პირველს - იმიტომ, რომ ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე რამდენიმეწლიანი მოღვაწეობის პერიოდში პერსონალური პრესკონფერენცია მას არასდროს ჰქონია, უკანასკნელს - იმის გამო, რომ "ენის სახელმწიფო პალატა" ახალი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული, რეორგანიზებული "სახელმწიფო ენის პალატით" შეიცვალა. ლევან ღვინჯილია კი ალექსანდრე ლომაიას ხელმძღვანელობით მუშაობას პირადი ღირსების შელახვად მიიჩნევს. მისი თქმით, დღევანდელ პრესკონფერენციაზე ის მხოლოდ ჟურნალისტებთან გამომშვიდობებას აპირებს.*

ნანა ყაველაშვილი

შექმნის დღიდან ენის სახელმწიფო პალატა ქვეყნის პირველი პირის უშუალო დაქვემდებარებაში იყო. 2004 წლის თებერვალში, მთავრობის რეორგანიზაციის შესახებ ახალი კანონით, როგორც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, ის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. ლევან ღვინჯილიას მიაჩნია, რომ ეს არალოგიკური იყო. **"მაშინ ეს იმით ახსნეს, რომ უშუალოდ პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არსებული ყველა უწყება სხვადასხვა სამინისტროში უნდა გადანაწილებულიყო. თუმცა, პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მაინც დარჩა რამდენიმე უწყება, მათ შორის - სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური. თუ ის დატოვეს, რატომ არ დატოვეს ენის სახელმწიფო პალატა? ვფიქრობ, სამსახური, რომელიც სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვასა და მის მოვლა-პატრონობაზე ზრუნავს, სწორედ პრეზიდენტის დაქვემდებარებაში უნდა იყოს,"** - ამბობს იგი.

ენის სახელმწიფო პალატის დებულების მიხედვით, მისი ერთ-ერთი ფუნქცია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სახელმწიფო ორგანოს, უწყების, ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებისა და ორგანიზაციის, აგრეთვე, საქართველოს იურისდიქციაში არსებული არასახელმწიფო დაწესებულებების საქმიანობაში ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსისა და სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის უზრუნველყოფა იყო. ლევან ღვინჯილია მიიჩნევს, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი დაქვემდებარებით ენის სახელმწიფო პალატის კომპეტენცია დააკნინეს, რადგან კონკრეტული მინისტრი მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურს ვერ მიანიჭებს ისეთ უფლებებს, რომელიც სხვა სამინისტროსა და უწყებაზე გავრცელდება.

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 23 ოქტომბრის №85 დადგენილებით, "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, "ენის სახელმწიფო პალატა" ახალი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული, რეორგანიზებული, "სახელმწიფო ენის პალატით" შეიცვალა. თუმცა, მისი ფუნქცია და დანიშნულება იგივე დარჩა. **"ის ოთხი პუნქტი, რომელიც ახალ დადგენილებაშია, ენის სახელმწიფო პალატის დებულებიდან გადაიწერეს. ამ ფუნქციებს კი ჩვენი სამსახური, ვფიქრობ, ნამდვილად კარგად ასრულებდა,** - ამბობს ლევან ღვინჯილია, - **მაშ რა შეიცვალა; მხოლოდ სახელწოდება"?**

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის ბელა წიფურიას განმარტებით, ახალი სახელწოდება - "სახელმწიფო ენის პალატა" - ახალ საკანონმდებლო ნორმებთან უფრო მისადაგებულია. ენის სახელმწიფო პალატის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი დაქვემდებარება კი ამ ორგანოს სტრუქტურულ რეორგანიზაციას გულისხმობს. ახალი დადგენილების მიხედვით, ახალი უწყება ყველა იმ ფუნქციას იტვირთავს, რაც ენის სახელმწიფო პალატას ევალებოდა და რასაც ის, მინისტრის მოადგილის აზრით, ვერ ახორციელებდა. ლევან ღვინჯილია ამ პრეტენზიას არ იღებს: **"1997 წლიდან ვმუშაობდით სახელმწიფო ენის შესახებ კანონზე. ოთხი წელია, ეს კანონპროექტი პარლამენტში განუხილავად დევს. ოთხი წელია, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში არაქართულენოვან მოხელეებს ქართულ ენას ვასწავლით; კახეთში 10 აზერბაიჯანულენოვან სოფელში, ასევე დუისში, ბირკიანსა და პანკისის ომალოში ჩეჩნებისთვის ქართული ენის შემსწავლელი წრეები გავხსენით; რომელი ერთი ჩამოვთვალო"?**


## კონკურსი "სასტუმრო ბორჯომში"

**კონკურსის შინაარსი**

კონკურსი ცხადდება ქ. ბორჯომში, ყოფილი ბალნეოლოგიური ცენტრის ტერიტორიაზე, რომლის ფართი შეადგენს, დაახლოებით 4000 კვადრატულ მეტრს, სადაც უნდა აშენდეს შესაბამისი მასშტაბის ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო სასურველია გათვალისწინებულ იქნას ტრადიციული ბალნეოლოგიური ფუნქციაც.

**კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია დამკვეთმა ესკიზური პროექტის დონეზე მიიღოს იდეურად გამართული მასალა, რომლის გეგმარებით-მოცულობითი მხარე სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი. მასალას თან უნდა ერთვოდეს განმარტებითი ბარათი.

**კონკურსის პირობები**

კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი მასალის მოცულობა არ არის შეზღუდული და დამოკიდებულია ავტორისეულ შეხედულებებზე. წარმოდგენილ მასალას თან უნდა ახლდეს დალუქული კონვერტი, რომელშიც მოთავსებული იქნება ბარათი მონაწილის ან მონაწილეთა ჯგუფის ვინაობის, მისამართის და ტელეფონის ნომრების აღნიშვნით. აგრეთვე ბარათში მინიშნებული უნდა იყოს პრემიის მიღების შემთხვევისათვის მათ შორის პროცენტული განაწილების მონაცემები. წინააღმდეგ შემთხვევაში პრემია განაწილდება თანაბრად. კონვერტის გარეკანზე მითითებული უნდა იყოს მონაწილის ექვსციფრიანი კოდი.

**კონკურსის პირობებს ერთვის:**

1. სიტუაციური გეგმა - მ. 1:1000
2. ტოპოგრაფიული გეგმა პირობითი წითელი ხაზებით - მ. 1:500
3. არსებული სიტუაციის ფოტო განშლა.
4. ქ. ბორჯომის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული განაშენიანების კოეფიციენტები.

პირობები გაიცემა 2004 წლის 20 ნოემბრამდე მისამართზე: **ძმები კაკაბაძეების ქ. N2, კინოს სახლი, მესამე სართული, "GENTO"-სერვისი.**

საკონკურსო მასალების ჩაბარების ბოლო ვადა 2004 წლის 25 დეკემბერი, 20:00 საათი; **ქ. ბორჯომში, მისამართზე ნინოწმინდის ქუჩა 2, სასტუმრო "ბორჯომი".**

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2004 წლის 30 დეკემბერს, 18:00 საათზე იგივე მისამართზე.

**კონკურსში დაწესებულია ერთი პირველი პრემია 5000 ლარის ოდენობით**

**გამარჯვებული, ავტორის უფლებით, მონაწილეობას მიიღებს პროექტის შემდგომი დამუშავების პროცესში დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე.**

**კონკურსის ჟიური შედგება 7 წევრისაგან:**

4 არქიტექტორი,
დამკვეთი,
ქ. ბორჯომის საზოგადოებრიობის 2 წარმომადგენელი.

**ჟიურის შემადგენლობა ანონიმურია და გამოცხადდება კონკურსის შედეგებთან ერთად.**

**კონკურსი დახურულია და კონკურსანტების ვინაობა ჟიურისთვისა და საზოგადოებისათვის ერთდროულად გახდება ცნობილი გამარჯვებული პროექტის გამოცხადებისას.**

**წარმოდგენილი მასალა დაუბრუნდება კონკურსის მონაწილეებს.**

**საკონტაქტო ტელეფონები: 441- 814, 441- 815.**






**საერთაშორისო პლასტიკური ბარათების ყველაზე ფართო არჩევანი**

გთავაზობთ MasterCard საერთაშორისო პლასტიკური ბარათების ფართო არჩევანს თქვენი კონკრეტული მიზნებისა და მოთხოვნების მაქსიმალური გათვალისწინებით:

Cirrus/Maestro
ბარათის ღირებულება მხოლოდ 10 ლარი

ISIC Cirrus/Maestro
ბარათის ღირებულება მხოლოდ 16 ლარი

MasterCard Standard
ბარათის ღირებულება 12 აშშ დოლარი

MasterCard Business
ბარათის ღირებულება 40 აშშ დოლარი

MasterCard Gold
ბარათის ღირებულება 70 აშშ დოლარი

MasterCard Gold Corporate
ბარათის ღირებულება 150 აშშ დოლარი

**ინტელექტბანკის MasterCard პლასტიკური ბარათების უპირატესობები:**

- ბარათის გამოყენება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ბანკსა, ბანკომატსა და სავაჭრო ობიექტში;
- ბარათის განკარგვა სხვადასხვა ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო და სხვა );
- ბარათის გამოყენება ყოველგვარი მინიმალური ნაშთის გარეშე; (Cirrus/Maestro, ISIC Cirrus/Maestro MasterCard Standard)
- თანხის გადარიცხვისა და მიღების კომფორტული და მოსახერხებელი საშუალება;
- ბარათზე დაშვებული ოვერდრაფტით (კრედიტით) სარგებლობა;
- ბარათის გამოყენება ინტერნეტში ნებისმიერ საიტზე;
- საზღვარგარეთ მგზავრობისას ბარათზე არსებული თანხა არ ექვემდებარება დეკლარირებას;
- უფასო ოქროს დაზღვევის და ფასდაკლების (IAPA, PRIORITY PASS, ECI) ბარათები; (MasterCard Gold, MasterCard Gold Corporate)
- ანგარიშზე დარიცხული წლიური საპროცენტო სარგებელი;
- მობილური ტელეფონით და ინტერნეტით მრავალფეროვანი სერვისით სარგებლობა

**ინტელექტბანკის MasterCard**
**საერთაშორისო პლასტიკური ბარათები ყველასათვის**

დაგვიკავშირდით მისამართზე:
დავით აღმაშენებლის გამზ. 127; ტელ: 237164, 237165, 237166



United Nations Development Programme
UNDP Georgia

## სატენდერო განაცხადი

გაერო-ს წარმომადგენლობა საქართველოში, გაერო-ს სახალხო დამცველის ოფისის ხელშეწყობის პროექტის (00012712) სახელით იწვევს ორგანიზაციებს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც გამოცხადებულია კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის მიზნით.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს ვთხოვთ, განაცხადები წარმოადგინონ დალუქულ კონვერტში შემდეგ მისამართზე: მაჩაბლის ქ. 11, სახალხო დამცველის ოფისი, ოთახი 405, ტელ: (+995 32) 92 24 81; ელ ფოსტა: pdoramazi@mail.ge. საკონტაქტო პირი:ქ-ნ. ირინა ცაგარელი. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 10 ნოემბერი, 17:00

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ პროექტის კოორდინატორს ბ-ნ. რამაზ ლომინაძეს. ტელ: (+995 32) 92 24 81/92 24 78**

# "ლევან კალაძის საქმეს წერტილი მაღალჩინოსანმა სამართალდამცველებმა დაუსვეს"

პირველი გვერდიდან

**"25 ოქტომბერს, მოულოდნელად, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ხუთი წარმომადგენელი მოვიდა და დედაქალაქის პოლიციის უფროსის, ლევან გვაზავას სახელით ბინის დაცლა მომთხოვეს. არ დავემორჩილე. რამდენიმე დღეში კვლავ გამოჩნდა ოცამდე ნიღბიანი პოლიციელი, მაგრამ სახლიდან გამოსვლაზე კვლავ უარი განვაცხადეთ. სამი დღის წინ სახლში არ ვიყავი, პოლიციელებმა ფიზიკური ძალის გამოყენებით გამოაგდეს ჩემი მეუღლე, გამოასახლეს, ასევე, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ორი ოჯახი, რომლებიც ჩემს კოტეჯში ცხოვრობდნენ და ბინა დალუქეს,"** - აღნიშნა პრესკონფერენციაზე ბათო სალინაძემ.

გუშინ ბათო სალინაძის მიერ სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე დასახელებული ლევან გვაზავა სალინაძის გამოსახლებაში თავის მონაწილეობას არ უარყოფს. მიუხედავად იმისა, რომ იგი კონკრეტულ დოკუმენტს ვერ ასახელებს, რის საფუძველზეც სალინაძის ოჯახის გამოსახლება მოხდა, ამ ქმედებას კანონიერად მიიჩნევს. რაც შეეხება კალაძის საქმესთან კავშირს, გვაზავა ამასთან დაკავშირებით კომენტარისგან თავს იკავებს.

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ სალინაძის თქმით, დევნის მიზეზი მისი სამსახურებრივი საქმიანობაა.

**"1998 წელს მაშინდელმა მინისტრმა კახა თარგამაძემ პენსიაზე გამიშვა, რადგან, ერთ-ერთი საქმის ძიებისას, კრიმინალებთან ხელისუფლების წარმომადგენლების კავშირს მივაკვლიე,"** - ამბობს სალინაძე, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში, ბარამიძის მინისტრობის პერიოდში, თავად მინისტრისვე თხოვნით დაბრუნდა.

**"ბარამიძემ სამინისტროში დაბრუნება და გახმაურებულ გატაცებათა საქმეების მოკვლევაზე მუშაობა ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში შემომთავაზა, მაგრამ მაშინ უარი ვუთხარი, რადგან მჭირდებოდა გარანტიები, რომ მუშაობის ობიექტურად წარმართვის საშუალებას მომცემდნენ. იანვარში მინისტრმა ეს გარანტიები და სრული დახმარება აღმითქვა, რის შემდეგაც 21-კაციანი სამმართველოს უფროსობას დავთანხმდი. ჩვენი მუშაობის უმთავრესი მიმართულება ლევან კალაძის გატაცების ირგვლივ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა იყო,"** - ამბობს სალინაძე.

ვიცე-პოლკოვნიკის თქმით, რამდენიმე თვეში მას უკვე ჰქონდა საკმარისი მასალა კალაძის გატაცებასთან დაკავშირებულ როგორც დანაშაულებრივ ჯგუფზე, ასევე იმ მაღალჩინოსან სამართალდამცველებზე, რომლებიც აღნიშნული საქმის გამოძიება-გახსნას ხელს უშლიდნენ. სალინაძე ასეთთა შორის თბილისის მაშინდელ პროკურორს ვალერი გრიგალაშვილს და კრიმინალური პოლიციის უფროსს დავით კეკუას ასახელებს.

**"ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის დაწყებისთანავე მუშაობაში ხელს მიშლიდნენ ირაკლი კოტეტიშვილი და ლევან გვაზავა, რომლებიც იმ პერიოდში უშიშროების სამინისტროში მუშაობდნენ. მიუხედავად ამისა, საქმის კეთებას მაინც ვახერხებდით. სწორედ მაშინ დავიწყეთ მუშაობა ომეხ აფრასიძესთან მოლაპარაკებაზე, რადგან ის იყო პიროვნება, ვინც, მართალია უშუალოდ ლევან კალაძის გატაცებაში არ მონაწილეობდა, მაგრამ ვის ხელშიც ამ საქმის გასაღები იყო,"** - აღნიშნავს ოპერატიულ-სამძებრო სამმართველოს ყოფილი უფროსი.

სალინაძის ინფორმაციით, კალაძის გატაცების საქმის გამოძიებას წერტილი სწორედ მას შემდეგ დაესვა, რაც ამ საქმის "გაფუჭების" მსურველმა მაღალჩინოსნებმა გაიგეს, რომ ომეხ აფრასიძე მოლაპარაკებაზე თანახმა იყო.

**"რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ წარმატებას მივაღწიეთ, მაგრამ ომეხ აფრასიძის თანამშრომლობაზე წამოსვლის შესახებ თანხმობა ცნობილი გახდა ამ საქმით დაინტერესებული გენერლებისთვისაც, რომლებმაც ბარამიძე შეცდომაში შეიყვანეს და სპეცოპერაცია დააგეგმინეს,"** - იხსენებს სალინაძე.

მისი თქმით, ომეხ აფრასიძემ მოლაპარაკებაზე თანხმობა 21 მარტს განაცხადა, აფრასიძეების ოჯახზე კი სპეცოპერაცია 23 მარტს განხორციელდა, რა დროსაც ომეხ აფრასიძე, ანუ ინფორმაციის მთავრი და უკვე ერთადერთი წყარო, დაიღუპა.

სპეცოპერაციიდან ძალიან მალე შინაგან საქმეთა მინისტრად ირაკლი ოქრუაშვილი დაინიშნა. მალე შინაგან



იური ლობოდინის ფოტო

ვიცე პოლკოვნიკი ბათო სალინაძე.

საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გადავიდნენ ლევან გვაზავაც და ირაკლი კოტეტიშვილიც.

ბათო სალინაძის ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ იგი სისტემატურად ცდილობდა კალაძის გატაცების საქმესთან დაკავშირებით მინისტრს შეხვედროდა, მისი ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. სამაგიეროდ, მისი თქმით, აღნიშნული საქმის დეტალებით ძალიან იყო დაინტერესებული კოტეტიშვილი, რომელიც სალინაძეს ჰპირდებოდა, რომ ოქრუაშვილს შეახვედრებდა.

**"ერთ-ერთი ასეთი დაპირების შემდეგ შვიდი კაცი გამომიგზავნა, კალაძეების და, საერთოდ, გატაცებების საქმეები ჩამომართვეს და ცოტა ხანში სამინისტროდანაც გამომიშვეს,"** - ამბობს ბათო სალინაძე.

სამმართველოს უფროსთან ერთად სამინისტროდან დაითხოვეს მისი თითქმის ყველა თანამშრომელიც.

მიუხედავად სამინისტროდან წამოსვლისა, სალინაძემ საკუთარი მისიის ბოლომდე მიყვანა მაინც სცადა.

**"ბათო სალინაძემ ლევან კალაძის გატაცებასთან დაკავშირებით 13 ოქტომბერს პრეზიდენტს საიდუმლო წერილი გაუგზავნა, სადაც პირდაპირ არის დასახელებული როგორც დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელთა, ასევე იმ თანამდებობის პირთა გვარები, რომლებიც ლევან კალაძის გატაცების საქმესთან არიან დაკავშირებულნი. უნდა ვივარაუდოთ, რომ პრეზიდენტი გაეცნო ამ წერილს და, შესაბამისად, მისი შინაარსი ცნობილი გახდა მათთვისაც, ვიზეც წერილში იყო ლაპარაკი,"** - ამბობს სალინაძის ადვოკატი.

## ამბობენ...

ლევან კალაძის გატაცებასთან დაკავშირებით იმთავითვე არაერთი ვერსია გაჩნდა. სახელგანთქმული ფეხბურთელის ძმის გამტაცებლებს სხვადასხვა კრიმინალურ დაჯგუფებებში ეძებდნენ. პერიოდულად ჩნდებოდა ინფორმაცია ამ საქმესთან დაკავშირებით ამა თუ იმ პირის დაკავების შესახებ, თუმცა, საბოლოოდ, ვერც ერთ მათგანს ლევან კალაძის გატაცების ბრალდება ვერ (თუ არ) წაუყენეს.

მიუხედავად ინფორმაციის ნაირგვარობისა, ერთი საერთო ყველა ვერსიას აკავშირებდა. ეს გახლდათ ფაქტი - ძმის გატაცება კახი კალაძის "მილანში" ტრანსფერს მოჰყვა. შესაბამისად, ყველა ვერსია მიდიოდა იქამდე, რომ გამტაცებლებს სწორედ კახი კალაძის ტრანსფერში გადახდილი ასობით ათასი დოლარი აინტერესებდათ.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად კი, გატაცებით, ოღონდ არა ლევან, არამედ თავად კახი კალაძის, დაინტერესებული იყო ამჟამად ესპანეთში მოღვაწე ქართველი "კანონიერი ქურდი" ტარიელ ონიანი. მეტიც, გავრცელებული ხმების თანახმად, სწორედ მან უზრუნველყო "მილანში" კალაძის ტრანსფერი, თუმცა, როდესაც საქმე წილის აღებაზე მიდგა, მისი კუთვნილი თანხა შინაგან საქმეთა სამინისტროს მაშინდელ ხელმძღვანელობაში გაიბნა. ამბობენ, მაშინ ესპანეთიდან ეგრეთ წოდებულმა "სვანების დაჯგუფებამ" კახი კალაძის გატაცების დავალება მიიღო, თუმცა, მცირე დაგვიანების გამო, მათ დავალების მხოლოდ ნაწილობრივ შესრულება მოახერხეს - საქართველოდან უკვე გამგზავრებული ფეხბურთელის ნაცვლად მისი ძმა გაიტაცეს და "საქმის დამკვეთის" უკმაყოფილებაც გამოიწვიეს. ამავე ხმების თანახმად, "არასასურველ ნადავლად" ქცეული ლევან კალაძე ხელიდან ხელში გადადიოდა. გარკვეული პერიოდის მანძილზე იმყოფებოდა აფრასიძეებთანაც, რომლებსაც უშუალოდ მის გატაცებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. თუმცა, ეს მხოლოდ ბათო სალინაძის მიერ ჩატარებული გამოძიებისას დადგინდა, თორემ აფრასიძეების გვარი ლევან კალაძის გატაცების საქმეში ოფიციალურად მხოლოდ კარგა ხნის დაგვიანებით, მაშინ გამოჩნდა, როდესაც ამ გატაცებისთვის ერთხელ დაპატიმრებულმა და მალევე გათავისუფლებულმა ნოდარ გვიჩიანმა ისინი 200 ათას დოლარიან აფერაში ჩართო.

ზემოთაც ვახსენეთ, ლევან კალაძის გატაცებასთან დაკავშირებით არაერთი პირი ჰყავდათ დაკავებული. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ გვიჩიანიც. ისიც და ესპანეთში დაკავებული მურმან ტვილდიანი, მეტსახელად "ხალვა", ეგრეთ წოდებული "სვანების დაჯგუფების" წევრები იყვნენ. სხვათა შორის, მურმან ტვილდიანი ამჟამად ესპანეთში უკვე მეორედ დააპატიმრეს, პირველად კი ესპანელმა სამართალდამცველებმა მხოლოდ იმიტომ გაათავისუფლეს, რომ ქართველი კოლეგებისგან მისი ადამიანების გატაცებაში ბრალეულობის საკმარისად მყარი მტკიცებულებები არ მიუღიათ. ტვილდიანი უკვე ოთხი თვეა, დაკავებულია და ესპანელი სამართალდამცველები დღესაც ელიან ქართველი კოლეგებისგან დოკუმენტებს.

ქართველმა სამართალდამცველებმა კი, ტვილდიანისგან განსხვავებით, გვიჩიანი გაათავისუფლეს. რატომ? - მიზეზები უცნობია. სამაგიეროდ, ამბობენ, რომ იგივე სამართალდამცველები სწორედ მას უნდა უმადლოდნენ კალაძის გატაცების საქმეში აფრასიძეების გვარის ამოტივტივებას.

გვიჩიანმა, ლევან კალაძეზე ინფორმაციის მიწოდების სანაცვლოდ, ოჯახს 200 ათასი დოლარი გამოსძალა და ამ ფულის აფრასიძეებამდე მიტანით სამართალდამცველებს მოქმედების საფუძველი შეუქმნა. სვანეთში ჰყვებიან, რომ გვიჩიანსა და აფრასიძეებს შორის დიდი შეხლა-შემოხლაც კი იყოო. ამის გამო გვიჩიანი საქართველოდანაც კი გაიქცა.

მაგრამ ნოდარ გვიჩიანი მოგვიანებით დააპატიმრეს. დაპატიმრების მიზეზი თავიდან სხვა იყო, შემდეგ ბრალდებას კალაძეებისთვის გამოძალული ფულიც დაემატა. ამით ლევან კალაძის საქმეში აფრასიძეები საბოლოოდ დაფიქსირდნენ. სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ 200 ათასიდან ნახევარი აფრასიძეებმა კალაძეებს დაუბრუნეს, თუმცა, თანხამ ოჯახამდე ვერ მიაღწია.

ამბობენ, მათ ამ საქმეზე მართლაც ბევრი რამ იცოდნენო, მაგრამ აფრასიძეების ლიკვიდაციით სამართალდამცველთა იმ წრეს, რომელსაც, როგორც ჩანს, ძველი გავლენა არც ახალი ხელისუფლების პირობებში დაუკარგავს, საშუალება მიეცათ, საბოლოოდ უიმედოდ გამოეცხადებინათ ლევან კალაძის და მის გამტაცებელთა მოძებნა. მეტიც, მათ ამაში ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალიც დაარწმუნეს.

**"კალაძის საქმის გამოძიება უიმედოა,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა არც ისე დიდი ხნის წინათ, ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით კი, გამოძიების გაგრძელებას აზრი არ დაუკარგავს, თუ საქართველოს ხელისუფლებამ არ დაკარგა ის შემართება, რომლითაც ერთი წლის წინათ ქვეყანაში გამეფებულ განუკითხაობას ებრძოდა.

# მოსამართლეს მირცხულავა გალიიდან გამოსაშვებად არ ემეტება

*სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა ქართულ მართლმსაჯულებას არ ენდობა და იმედს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოზე ამყარებს.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას საქმის არსებითი განხილვა მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ გუშინ, როგორც იქნა, დაიწყო. თუმცა, ყველასთვის მოულოდნელად, პროცესი დაწყებიდან ნახევარ საათში გადადებულად გამოცხადდა. ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან გაძლიერებული ბადრაგით სასამართლოში მიყვანილმა ყოფილმა მინისტრმა კი ამ ხნის განმავლობაში სასამართლო დარბაზის გალიიდან ხმამაღალი პოლიტიკური განცხადებების გაკეთება მაინც მოასწრო. ბადრაგმა განსასჯელ მირცხულავას ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა აუკრძალა, თუმცა დავით მირცხულავამ იმის თქმა მაინც მოახერხა, რომ ქართულ მართლმსაჯულებას არ ენდობა და საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცების იმედად ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო რჩება. მისგან განსხვავებით, მართლმსაჯულების ობიექტურობის იმედი ჯერ ბოლომდე არ დაუკარგავთ მისი ინტერესების დამცველებს. მირცხულავას ადვოკატებს სჯერათ, რომ ყოფილი მინისტრის საქმის განხილვისას სასამართლო გაუძლებს პოლიტიკურ ზეწოლას და ობიექტურ გადაწყვეტილებას გამოიტანს.

ცხადია, სასამართლოს ობიექტურობაზე წინასწარ ლაპარაკი ძნელია, მაგრამ უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ დარბაზში, სადაც დავით მირცხულავას ასამართლებენ, მოსამართლისა და მხარეების მუშაობისთვის საჭირო არანაირი პირობა არ არის. მიუხედავად იმისა, რომ მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს ახალაშენებულ და გარემონტებულ, კომფორტულ შენობაში რეზონანსული და ხალხმრავალი პროცესების გასამართად დიდი ფართობის მქონე დარბაზები არსებობს, მირცხულავას საქმის განსახილველად, რატომღაც, ყველაზე პატარა დარბაზია შერჩეული. პროცესი საჯაროა და მასზე დასწრების უფლების ვინმესთვის შეზღუდვას მოსამართლეს კანონი უკრძალავს. მირცხულავას საქმის რეზონანსულობიდან გამომდინარე, პროცესზე დასწრების მსურველთა რიცხვი ძალზე დიდია, დარბაზი კი მათ ვერ იტევს. სწორედ ამიტომ, გუშინდელ პროცესზე დაცვის მხარემ, პირველ რიგში, დარბაზის შეცვლის საკითხი დააყენა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მოსამართლე არ წუხს იმის გამო, რომ დარბაზში, სადაც ხალხი ცალ ფეხზე დგას და სუნთქვაც კი შეუძლებელია, მუშაობს უამრავი ვიდეოკამერა და ფოტოაპარატი, ადვოკატებს, პროკურორს, განსასჯელსა და თავად მოსამართლეს, ერთმანეთის საუბარი, პრაქტიკულად არ ესმით.

**"გისოსებით მოწყობილი სხვა დარბაზი ამ შენობაში არ არის. სხვა დარბაზში რომ გადავინაცვლოთ, განსასჯელს გალიაში ვერ მოვათავსებთ,"** - ამ არგუმენტით მოსამართლემ უარი თქვა გაძლიერებული ბადრაგის დაცვის ქვეშ მყოფი, კოჭლობით მოსიარულე, ავადმყოფი დავით მირცხულავას პროცესის უფრო დიდ დარბაზში გადატანაზე და ვერც ადვოკატებმა, ვერც განსასჯელმა ვერ შეძლეს მისთვის აეხსნათ, რომ პატიმრის გაქცევის არანაირი საფრთხე არ არსებობს.

რაც შეეხება გუშინდელი პროცესის მოულოდნელად გადადების მიზეზს, დავით მირცხულავას ბრალდების საქმეში დაზარალებულად ცნობილია "საქენერგო 2000". პროცესის გადადება გუშინ სწორედ ამ ორგანიზაციის წარმომადგენლის ნონა წურწუმიას განცხადებამ გამოიწვია. მან საქმის გასაცნობად გარკვეული ვადა მოითხოვა.

**"საქმის გასაცნობად და იმის გადასაწყვეტად, სამოქალაქო საჩივრით მოვითხოვთ თუ არა ზარალის ანაზღაურებას, გარკვეული დრო გვჭირდება,"** - ასეთი გახლდათ საქმეში დაზარალებულად ცნობილი მხარის მოთხოვნა, რომელიც მოსამართლემ უსიტყვოდ დააკმაყოფილა. არადა, "საქენერგო 2000"-ს, როგორც დაზარალებულ მხარეს, ყველა საგამოძიებო მოქმედებაში აქვს მონაწილეობა მიღებული. შესაბამისად, საქმის მასალების გასაცნობად და შესასწავლად მათ საკმაოდ დიდი დრო ჰქონდათ. სხვათა შორის, როგორც მირცხულავას ადვოკატები აცხადებენ, სახელმწიფოსთვის წამგებიან ხელშეკრულებაზე, რომელზე ხელმოწერასაც დავით მირცხულავას ედავებიან, "საქენერგო 2000"-ის წარმომადგენლების ხელმოწერაც არსებობს. **"გაუგებარია, როგორ აღმოჩნდა დაზარალებულის პოზიციაში "საქენერგო 2000". განსასჯელის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, გთხოვთ, ნუ გავაჭიანურებთ პროცესს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი პროცესზე დასწრება,"** - ასეთი პოზიცია ჰქონდათ გუშინ მირცხულავას ადვოკატებს პროცესის ათი დღით გადადებასთან დაკავშირებით.

დავით მირცხულავას სასამართლო პროცესზე მოწმის სახით ჩვენებების მისაცემად გუშინ გამოცხადებულ რამდენიმე ყოფილ მაღალჩიონოსანს სასამართლოში კვლავ დაიბარებენ, რადგან გუშინ მათ ჩვენების მიცემის საშუალება არ მიეცათ.

# სამცხე-ჯავახეთის ყოფილი გუბერნატორი ქვემო ქართლელი კოლეგის გზას დაადგა

*თუ შეიძლება, რომ კონკრეტული პოლიტიკური მოღვაწეები თუ თანამდებობის პირები გარკვეული ეპოქის დასახასიათებლად გამოდგნენ, სამცხე-ჯავახეთის ყოფილი გუბერნატორი გიგლა ბარამიძე სწორედ ერთ-ერთი იმათგანია, რომლის ფიგურაც მეტად ნიშანდობლივი გახლდათ შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში. შესაბამისად, იმდროინდელი თანამდებობის პირების უმეტესობის მსგავსად, მის დასაპატიმრებლადაც მიზეზის მოძიება არ გაჭირვებიათ. თუმცა, როგორც ჩანს, ქართველმა სამართალდამცველებმა დააგვიანეს - გიგლა ბარამიძემ ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მამალაძის გზა აირჩია და დატოვა საქართველო.*

თავის დროზე "მწვანეთა პარტიის" მიერ წლის საუკეთესო ტყის მჩეხავად აღიარებულსა და "საპატიო გარდამავალი ნაჯახის" ერთადერთ მფლობელს გიგლა ბარამიძეს, სამცხე-ჯავახეთის ტყის მასივების განადგურებისთვის ქართველი სამართალდამცველები, ჯერჯერობით, პასუხს არ სთხოვენ. მას მხოლოდ ერთ-ერთი გამგეობის შენობის ფართის კერძო ფირმაზე უკანონოდ გასხვისების გამო, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბებასა და ხულიგნობას ედავებიან. გუბერნატორის მიერ უკანონოდ დადებულმა ხელშეკრულებამ, გამოძიების ვერსიით, სახელმწიფო 90 ათასი ლარით აზარალა. რაც შეეხება ხულიგნობას, ეს საქმე კარგა ხნის წინათ, 2002 წლის იანვარში გახლავთ აღძრული, ახალციხის ყოფილი გამგებლის კახა წერეთლის სასტიკად ცემისა და ცეცხლსასროლი იარაღიდან დაჭრის გამო. ცხადია, გიგლა ბარამიძეს მაშინ არავინ დააპატიმრებდა, თუმცა, თანამდებობის დატოვება კი მაინც მოუწია. ახლა უკვე გამოძიება ირწმუნება, რომ წერეთლის დაჭრის მომენტში ბარამიძე ან ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ იყო, რისი დამტკიცებაც ინციდენტიდან ორ წელიწადზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ ნამდვილად გაჭირდება.

ამიერიდან სამცხე-ჯავახეთის ყოფილი გუბერნატორი ძებნილთა სიაში ჩაიწერა. თუმცა, თუ ვერ მოიხელთეს, დღევანდელი კანონმდებლობის პირობებში, პრობლემა არც ამით იქმნება - კანონი სასამართლოს კორუფციული ბრალდების მქონე პირთა დაუსწრებლად გასამართლების უფლებას აძლევს.

*24 საათი*

# უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

.................................................................................

.................................................................................

.................................................................................

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი .............................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი .............................................

საკონტაქტო ტელეფონი ........................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

იუმიო აოკის სვეტი

# რა ვისწავლეთ იაპონელებმა ქართველ სუმოისტ ლევან ცაგურიასგან

## იაპონელის თვალით დანახული საქართველო

"კოკაი" იაპონურად "შავ ზღვას" ნიშნავს და იაპონელთა უმეტესობა ამ სიტყვას არა გეოგრაფიულ ტერიტორიასთან, არამედ სუმოს სტილით მოჭიდავე ლევან ცაგურიასთან აიგივებს.

"სუმო" ჭიდაობის სახეობაა, რომელიც იაპონიაში რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში უცვლელ ტრადიციებს ინარჩუნებს.

სუმოში შეჯიბრება წელიწადში ექვსჯერ ტარდება და ყოველი მათგანი თხუთმეტი დღე გრძელდება. ეს იაპონიაში სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა.

უდიდესი სამაუწყებლო კომპანიის "Nippon Broadcasting"-ის მიერ გადმოცემულ სუმოს შეჯიბრებას მილიონობით იაპონელი უყურებს, ახალგაზრდა თუ მოხუცი, ქალი თუ მამაკაცი.

ყოველთვის, როდესაც სუმოისტი დოხიოზე ჩნდება, მისი ზედმეტსახელი და დაბადების ადგილი ხმამაღლა წარმოითქმის. ეს ნიშნავს, რომ როდესაც ლევან ცაგურია ბრძოლის წინ საკუთარ თავს წარმოადგენს, "კოკაი", "თბილისი" და "საქართველო" სუმოს დარბაზში, ან ტელევიზორთან მსხდომ მაყურებელთა ყურებში ჩაისმის. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ეს სამი სიტყვა "კოკაი", "თბილისი" და "საქართველო" იაპონელთა ყოველდღიური ცხოვრების რუტინულ სიტყვებად იქცა.

ყოფილმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პოლიტიკურ არენაზე მოღვაწეობით უდიდესი როლი შეასრულა იაპონელი საზოგადოებისათვის საქართველოს სახელის გაცნობაში. გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ "კოკაიმ" ანუ ლევანმა, იაპონელებს წარუდგინა ქართული ტრადიციების უზადო ხარისხი, რკინის ნებისყოფა, განათლების მაღალი დონე, ძლიერი ოჯახური უღელი და სხვა.

ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ის სიძნელეები, რაც უჩნდება სუმოს სამყაროში ჩართვის ყველა მსურველს.

ეს არის ახალგაზრდა მოჭიდავეების სტანდარტული დღის წესრიგი:

**დილის 6 საათი**: იწყება ძალიან მძიმე ფიზიკური ვარჯიში.

**დილის 11 საათი**: უფროსი მოჭიდავეებისათვის ლანჩის მომზადება.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც უფროსი მოჭიდავეები დაასრულებენ საუზმეს, ახალბედას შეუძლია, ისაუზმოს, შემდეგ კი, როგორც თავისი, ისე უფროსების ჭურჭელი დარეცხოს.

**დღის 2 საათი**: წონის მომატებისათვის ხანმოკლე ძილი. სუმოს სტილით მოჭიდავეს მოქნილი და მძიმე ტანი უნდა ჰქონდეს.

**დღის 4 საათი**: უფროსი მოჭიდავეებისა და თავისთვის ტანსაცმლის დასუფთავება-დარეცხვა.

**საღამოს 7 საათი**: უფროსი მოჭიდავეებისათვის და თავისთვის სადილის მომზადება.

ამ დროს იგივე პროცედურა მეორდება, რაც ლანჩის შემთხვევაში.

**საღამოს 8-დან 10 საათამდე**: ერთადერთი თავისუფალი დრო.

**ღამის 10:30 საათი**: დასაძინებლად წასვლის დრო.

როდესაც ლევანი სუმოს სამყაროში ჩაერთო, მასთან ერთად იყო თხუთმეტი ახალბედა, უმეტესად იაპონელები. მძიმე ვარჯიშსა და ყოველდღიურ ცხოვრებასთან შეუგუებლობის გამო, ოთხი წლის შემდეგ, ახალბედათა მესამედმა ვარჯიში მიატოვა.

იმ სიძნელეებს, რაც ლევანს უნდა გადაელახა, კიდევ უფრო ამძაფრებდა ის ფაქტი, რომ ეს ყველაფერი სრულიად განსხვავებულ ეროვნულ ტრადიციებსა და კულტურულ გარემოში უწევდა, რომელიც, ამავე დროს, სრულიად განსხვავებული კვების პროდუქტებით ხასიათდება.

მაშ, როგორ შეძლო ლევანმა, გადაელახა ყველა პრობლემა, როდესაც ამდენი ახალგაზრდა იაპონელი კიდევ უფრო ნაკლები სიძნელეების ფონზე მალევე დანებდა?

საქართველოში სკოლის მოსწავლეებთან მიღებულმა ჩემმა მწირმა გამოცდილებამ, ამ შეკითხვაზე პასუხი გამცა. ახსნა, ალბათ, საქართველოში აღზრდასა და ოჯახურ ტრადიციებში უნდა ვეძიოთ.

მე შევნიშნე, რომ საქართველოში მასწავლებლები და მშობლები ბავშვებისაგან პატივისცემას თბილი ურთიერთობებით, თუმცა მკაცრი დისციპლინით ინარჩუნებენ.

ლევანის შემთხვევაში, მშობლები ურთიერთობებს ინარჩუნებენ, რომ ამგვარად მან შეძლოს ყველა სიძნელისა თუ პრობლემის გადალახვა. თავის მხრივ, ამის საპასუხოდ, ლევანი იაპონიაში ჩასვლას სწორედ მშობლებს უკავშირებს.

იაპონური გაზეთი, რომელიც ამ წერილს თან ახლავს, შთაბეჭდილების ქვეშ იყო ლევანის ოჯახის თბილი ურთიერთობებით და იაპონელ მკითხველსაც დიდი აღფრთოვანებით უამბობდა ამის შესახებ.

მეც აღფრთოვანებული ვიყავი, როდესაც ჰოკაიდოს ქალაქ იკედას სკოლის ნიჭიერი იაპონელი ბავშვების ნახატების გამოფენას დავესწარი თელავის სკოლაში და ვნახე ქართველ მოსწავლეთა შემოქმედება. იაპონელი მასწავლებლები აღფრთოვანებით შესცქეროდნენ ქართველი ბავშვების მიერ წარმოდგენილ ნამუშევრებს და შესრულების მანერასა თუ ტექნიკას. ამ გრძნობას კი ამძაფრებდა ფაქტი, რომ იაპონელ ახალგაზრდებს არ ეყოთ მოთმინება, ესწავლათ მთავარი. იაპონელი ბავშვები, რომლებმაც ერთხელ შეიგრძნეს წარმატების ხიბლი მათემატიკაში, მეცნიერებაში ან სხვა სფეროში, ველარ ინარჩუნებდნენ ამ სტატუსს და საერთაშორისო კლასიფიკაციაში გაცილებით დაბალ საფეხურზე იყვნენ. ჩვენმა სასკოლო განათლებამ ინვენტარის და უახლესი აღჭურვილობის გარდა, დეგრადაცია განიცადა. ჩვენი მასწავლებლები მოსწავლეების მიმართ იმდენად ლოიალურნი არიან, რომ ისინი, უბრალოდ, ვერ ითვისებენ ძირითად თეორიას და ვერ სწავლობენ ისეთ საგნებს, სადაც მოთმინებაა საჭირო.

ერთ დროს იაპონელებსაც ჰქონდათ ისეთი მჭიდრო ოჯახური ურთიერთობები, როგორიც დღეს საქართველოშია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უდიდესი ეკონომიკური აღმასვლის პრეიოდში, როდესაც ეკონომიკური განვითარების კუთხით ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ ჩვენ მეორე ადგილი დავიმკვიდრეთ, დავკარგეთ ფასეული ტრადიციები და ცხოვრების წესი.

ჩვენი მიზანი იყო ამერიკულის მსგავსი სახლის შექმნა.

ჩვენ გვჭირდებოდა მეტი და მეტი ფული, რათა ოცნება აგვეხდინა.

ოჯახის მამას, ძალიან ხშირად შაბათ-კვირის ჩათვლით, დღეში 12 საათი მუშაობა უწევდა და სამ საათს ანდომებდა ოფისსა და სახლს შორის სიარულს. მას არ ჰქონდა უშუალო ურთიერთობა თავის შვილებთან. ამ შემთხვევაში კი შვილები არ სთხოვენ მამას რჩევას პირად საკითხებზე: სკოლაზე, სამსახურზე, მეგობარ გოგონასა თუ ბიჭზე, სექსზე და სხვა.

მამას გაუჭირდება და მოერიდება პასუხის გაცემა ამგვარ შეკითხვებზე. ეს კი იმიტომ, რომ იგი არც ისე კარგად იცნობს საკუთარ შვილს, რათა კარგი რჩევა მისცეს. 2003 წელს დაახლოებით 144 ათასი ახალგაზრდა იაპონელი (14 წლამდე ასაკის) დააკავა პოლიციამ. ციფრები საგრძნობლად გაიზარდა და აღნიშნული მონაცემი დაახლოებით 2 პროცენტით აღემატა 2002 წლის შედეგებს. ყველაზე მეტად რაც გვაშფოთებს, არის ისეთი სერიოზული დანაშაულები, როგორიცაა ახალგაზრდათა 47 პროცენტის მხრიდან ქურდობა. ჩვენ გვქონდა ორი მკვლელობის შემთხვევაც, რომელიც 12 და 13 წლის სკოლის მოსწავლეებმა ჩაიდინეს. ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეები, სხვა ბავშვების მხრიდან დაშინების ან გავლენის მოხდენისაგან თავის დასაცავად, დანებს ატარებენ. მასწავლებლები კი ამ ვითარებაზე კომენტარს ვერ აკეთებენ. 1950 წელს მე ერთი ამერიკული ფილმი "უმიზეზო ამბოხი" ვნახე, რომელშიც მაშინ საკმაოდ ცნობილი მსახიობი ჯეიმს დინი თამაშობდა. მე გამაოცა ამერიკელი ახალგაზრდების ქმედებამ, როდესაც სკოლაში ძალადობის სცენა ბევრად აღემატებოდა იმას, რაც იმ პერიოდში ჩვენთან ხდებოდა. მაგრამ ახლა არ გაგვიკვირდება, თუნდაც იგივე სცენა იაპონიის სკოლაში რომ განმეორდეს.

1950 - 1970-იან წლებში ამერიკა ჩვენი ოცნება იყო. ვგრძნობდით, რომ გვესაჭიროებოდა დემოკრატიულ საწყისებზე საზოგადოების მოდერნიზაცია, როგორიც არის მაგალითად სქესთა თანაფარდობა, პირადი დამოუკიდებლობა და უფლებები, მაღალგანვითარებული ტექნოლოგიები და სხვა - ის, რაც ამერიკის საზოგადოებაში მოიძებნებოდა.

განვითარების გზაზე მოდერნიზაცია ხშირად გაიგივებული იყო ამერიკანიზაციასთან და ჩვენ ბრმად მივდევდით ამერიკის ცხოვრების გზას, მათ შორის ისეთ ცნებებს, რომელიც მოდერნიზაციასთან არანაირ კავშირში არ არის.

ამერიკის ცხოვრების სტანდარტებთან მიახლოებისათვის, ჩვენი ზღვა, მთები და მდინარეები შემოსავლების ზრდას შეეწირა და დანაგვიანდა. ჩვენი ბუნების განახლებისთვის ვახდენდით და დღესაც ვახდენთ მილიონობით დოლარის ინვესტირებას. დაბინძურება მოდერნიზაციას აუცილებლად არ ახლავს თან.

გონიერი პოლიტიკით ჩვენ შევძელით თავიდან აგვეცილებინა ბუნების დანაგვიანება.

მოგვწონს ეს თუ არა, ქართველებმაც უნდა მოახდინონ საზოგადოების, ტექნოლოგიის, ცხოვრების წესის მოდერნიზაცია, რათა ქართველთა დიდი უმრავლესობა ბედნიერი იყოს. მე მჯერა, რომ საქართველოში ადამიანური და ბუნებრივი რესურსების უდიდესი პოტენციალის გათვალისწინებით, მოდერნიზაციის და ეკონომიკური განვითარების პროცესი გარდაუვალი იქნება, მაგრამ ამ გზაზე ქართველები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ, რათა არ დაუშვან იგივე შეცდომები, რაც იაპონელებმა.

განათლების და მყარი ოჯახური ურთიერთობების ხარისხი, რაც დღეს ქართველებს აქვთ, მოდერნიზაციის და ეკონომიკური განვითარების პროცესში გადადგმული არასასიკეთო ნაბიჯების მიუხედავად, მაინც მოსაწონი და წასახალისებელია.

ჩვენ, იაპონელებმა, ბევრი რამ ვისწავლეთ ქართველ სუმოისტ ლევან ცაგურიასგან. თქვენ, ქართველებსაც შეგიძლიათ, ჩვენგან ბევრი რამის სწავლა - ჩვენი წარმატების თუ მარცხის.

# კეხვის გაკვეთილი - შეუიარაღებელი თვალით

პირველი გვერდიდან



ბესო გულაშვილის ფოტო

"ნამდვილად დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება გვინდა თუ ჰაროლდ ლასველისეული "გარნიზონ-სახელმწიფოსი"?

შინაგანი და უშიშროების მინისტრების ჯერ კიდევ 2 დღის წინ გაჟღერებული პოზიცია, რომელსაც ბლოკირებულ მგზავრთა და მძღოლთა მიმართ ენერგიულად ატარებდა შიდა ქართლის გუბერნატორი, შემდეგში მდგომარეობდა: როკის გვირაბი და ცხინვალის კონტროლის ქვეშ მდებარე ტერიტორია არ წარმოადგენს საქართველოსა და რუსეთს შორის ოფიციალურ საკომუნიკაციო ზონას. აქ რეალურად გამავალი გზა დახურულია და არავის აქვს უფლება, საქართველოდან რუსეთში ან პირიქით, ამ გზაზე იაროს. თუ ეს ასეა, ლოგიკურია ავტობუსების შეჩერება, მათი უკან გაბრუნების მოთხოვნა, ეგებ მძღოლთა დაკავებაც კი. მაგრამ თავის დროზე მერაბ მამარდაშვილი ამბობდა, რაც ლოგიკურია, ყოველთვის მართალი რომ იყოს, ეშმაკს თავისი ადვოკატები ეყოლებოდაო.

წლების მანძილზე, ცხინვალის ზონაზე გამავალ გზას რუსეთში სამოგზაუროდ საქართველოს მოქალაქენიც და სხვებიც იყენებდნენ. მეტიც, მაისში საქართველოს ხელისუფლება თბილისიდან ცხინვალისაკენ დამატებითი ავტობუსების დანიშვნას აპირებდა და მგზავრობის ფასის განახევრებაზეც საუბრობდა. ამის წინააღმდეგ ცხინვალის ხელისუფლება წავიდა, თორემ არა მგონია, რომ ჩვენს ხელისუფლებას ეს დანაპირები საკუთარი სურვილით წაეღოს უკან. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ არაფერი გაცხადებულა. თუ თეორიულად მაინც, თბილის-ცხინვალს შორის შეუფერხებელი გადაადგილება დასაშვებია, ვინ, როგორ ანდა რატომ უნდა აკონტროლოს ის, თუ საით წავა შემდგომში ცხინვალში ჩასული ჩვენი მოქალაქე.

აქ არაა საუბარი კონკრეტულ დანაშაულზე - კონტრაბანდასა ან სხვა ტიპის კრიმინალური აქტებზე, რომელიც კონფლიქტის ზონასთანაა დაკავშირებული. ასეთი ფაქტები აღსაკვეთია. მაგრამ თუ სასაზღვრო პუნქტი არც როკის გვირაბთან გვაქვს და არც ცხინვალის მისადგომებთან, ეს, ალბათ, ყველაზე ნაკლებადაა იმ რიგითი მოქალაქეების ბრალი, ვისაც რუსეთში გაჭირვება მიერეკება და ვისაც იქითა მხარე ატარებს.

ასევე არაა რიგითი მოქალაქეების ბრალი, თუ ცხინვალის ხელისუფლება მათ რაიმე საბაჟო, საგზაო თუ სულაც კრიმინალურ გადასახადს აკისრებს, საქართველოს ხელისუფლებას კი ამის აღკვეთა ჯერ არ შეუძლია. მძღოლების დაკავებასთან დაკავშირებით იმის თქმა, რომ ამ ფულით ოსი სეპარატისტები ტყვიებს ყიდულობენ და ქართულ სოფლებს ესვრიან, იგივეა, რომ ყველა, ვინც რუსულ პროდუქტს ყიდულობს, როგორც სამხრეთ ოსეთის, ისე აფხაზეთის დაკარგვაში დავადანაშაულოთ. არადა, სწორედ ეს ითქვა, ნიშნის მოგებით, მაღალი სახელისუფლებო ტრიბუნიდან, როდესაც მგზავრებით დატვირთული ავტობუსების არგატარებასა და მძღოლების დაკავებაზე პირველი ოფიციალური კომენტარი კეთდებოდა.

მეტიც, დიდი და პატარა ლიახვის ქართული სოფლების წარმომადგენლები დღესაც იყენებენ როკის გვირაბს რუსეთში გადასასვლელად. შესაბამისად, ზემოთ ნახსენები ლოგიკით, ისინიც ყოფილან "დამნაშავენი" იმაში, რომ მათი სოფლები ოსი ბოევიკების სამიზნეა.

იმედია, რომ ასეთი განცხადებები ემოციის, გაუგებრობის შედეგია. მაგრამ მაღალი ტრიბუნებიდან მათი მოსმენა აღძრავს ეჭვს, ნამდვილად დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება გვინდა თუ ჰაროლდ ლასველისეული "გარნიზონ-სახელმწიფოსი". ამ უკანასკნელში მოქალაქე რეჟიმისა და მისი საზღვრების მომსახურეა და არა პირიქით. მაგრამ ასეთი სახელმწიფო არანაკლებ საშიშია, ვიდრე კორუფციისაგან ღონემიხდილი სახელმწიფო.

ამავე დროს, არავინ უარყოფს მთავრობის პრეროგატივას, აკონტროლოს საზღვრები, დაიცვას რეჟიმი, რომელიც აუცილებელია იმავე მოქალაქეთა სტაბილური და უსაფრთხო ცხოვრებისათვის. ნებისმიერ ქვეყანაში, სანამ ეროვნული სახელმწიფო ერთადერთ სუვერენულ პოლიტიკურ ინსტიტუტად რჩება, მოქალაქის უფლებები, შესაძლოა, უსაფრთხოების საჭიროებისათვის შეიზღუდოს. მაგრამ განსხვავება დემოკრატიული და არადემოკრატიული ქვეყნების ხელისუფალთა შორის ის არის, რომ პირველმა:

- ნათლად, ხელმისაწვდომი ფორმით უნდა აუხსნას მოქალაქეებს მისი არსი;

- შეზღუდვა იყოს რისკის თუ საფრთხის ადეკვატური;

- არამც და არამც არ გამოიყენოს ისეთი დისკურსი, ისეთი ლექსიკა და ლოგიკა, რომელიც დაძაბავს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემებისათვის პასუხისმგებლობას თავის ამომრჩეველს გადააბარებს.

კეხვის მაგალითი ისაა, რომ საქართველოს დემოკრატიულმა და ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ (ამ სიტყვებს ყოველგვარი ნიშნის მოგების გარეშე ვამბობ - **დ.დ.**) ეს სამივე მოთხოვნა დაივიწყა.

- ნათლად იყო რა ნათქვამი განუბაჟებელი ტვირთის როკის უღელტეხილიდან შემოტანის დაუშვებლობის შესახებ, ძალიან მცირე ძალისხმევა იყო დახარჯული იმაზე, რომ რუსეთში მყოფ ჩვენს თანამოქალაქეებს წინასწარ სცოდნოდათ, რომ ამ გზით სამშობლოში დაბრუნება ლამის ღალატის ტოლფასია;

- თუ არსებობს წინასწარ, საჯაროდ და არაერთხელ (ასეთი ტიპის აკრძალვების შესახებ მოსახლეობა განმეორებით და მარავალგზის უნდა იყოს ინფორმირებული, მით უმეტეს კომუნიკაციის საშუალებებისა და ენერგომომარაგების არც თუ სახარბიელო მდგომარეობის ფონზე) გამოცხადებული ოფიციალური აკრძალვა ცხინვალის ზონის გავლით რუსეთში და უკან მგზავრობაზე, დამრღვევის მიმართ გამოყენებული სანქცია უნდა იყოს დარღვევის პროპორციული. პროპორციულობაში არამც და არამც არ უნდა იგულისხმებოდეს მოქალაქეთა დატოვება გზაზე, ავტობუსებში, ან იმის მოთხოვნა, რომ ისინი გაბრუნდნენ უკან, იქ, სადაც არანაირი, საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებული რეჟიმი არ ვრცელდება.

- ხელისუფლების წარმომადგენლებმა საკუთარ მოქალაქეებს არ უნდა წაუყენონ ბრალდება, რომ მათგან არალეგიტიმური ადგილობრივი სტრუქტურების მიერ თანხის გამოძალვის ფაქტი ამ მოქალაქეთა კოლაბორაციონიზმზე, მათ მიერ ქართული (ან თუნდაც ნებისმიერი) სოფლების დაბომბვის ხელშეწყობაზე მიუთითებს. ასეთ ქმედებაზე ბრალეულობას არ ითვალისწინებს არც საქართველოს და არც რომელიმე, მეტ-ნაკლებად ცივილიზებული სახელმწიფოს სისხლის სამართლის კოდექსი.

სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც აღნიშნული ბრალდება გაისმა, საქართველოს ტელევიზიამ აღნუსხა ფაქტი, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ იგივე ბრალდებით გადაუკეტა გზა განაწამებ მგზავრებს. ამ ფაქტების შეპირისპირებით კარგი იურისტი მასობრივი არეულობის თუ ქიშპის პროვოცირების ვერდიქტსაც გამოიტანდა.

# "ვარციხჰესის" იუბილე

საქართველოს ენერგეტიკის ერთ-ერთ ძირითად ფლაგმანს - "ვარციხის ჰესების კასკადს", ამ დღეებში 25 წელი უსრულდება. იგი, ელექტროენერგიის გამომუშავების მიხედვით, ქვეყანაში მეორე ადგილზეა (ენგურჰესის შემდეგ) და მის სტაბილურად ფუნქციონირებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. აღნიშნულ ჰესს მთავრობამ შესაბამისი ყურადღება მხოლოდ წელს მიაქცია, აქამდე კი, "ვარციხჰესის კასკადი" ფუნქციონირებას, თანამშრომლების პირადი თავდადების საფუძველზე განაგრძობდა. ამჟამად ჰესზე 140 ადამიანია დასაქმებულია, სამეთვალყურეო საბჭო კი სამი კაცისგან შედგება. საშუალო ხელფასი 350 ლარს შეადგენს. "მიმდინარე წელს ხელფასების გაცემაში ჩამორჩენა არ გვქონია, ის კი არა, ორი თვის ძველი დავალიანებაც კი გავეცით," - აცხადებს "ვარციხჰესის" გენერალური დირექტორი გოდერძი კუპრავა.

საქართველოს მდინერეების ენერგეტიკული პოტენციალი, თავის დროზე, საბჭოთა მთავრობამაც ჯეროვნად შეაფასა და 1949 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის მიერ შედგენილი იქნა მდინარე რიონის ენერგეტიკული გამოყენების პერსპექტიული რუკა, რომლის მიხედვითაც, "ვარციხის ჰესების კასკადში" უნდა გამოყენებულიყო მდინარე რიონის ვარდნა სოფელ გუბისწყლის შესართავიდან, სწორხაზოვანი ტრასით. აღნიშნულის მიხედვით, 1954 წელს, "თბილჰიდროპროექტს" დაევალა შეედგინა ვარციხის ჰიდროელექტრო სადგურის საპროექტო მოცულობა, რაც 1956 წლის 2 ივლისს სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტრომ დაამტკიცა. ჰესის მშენებლობა კი მხოლოდ 1972 წელს სოფელ ვარციხის ჩრდილო დასავლეთით დაიწყო., სადაც თავს იყრის მდინარე რიონი, ყვირილა, წყალწითელა, ხანის და წაბლარას წყალი.

"ვარციხჰესის" ჰიდროტექნიკური ნაგებობები განლაგებულია მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე. მათ შემადგენლობაში შედის სათავო კვანძი და ოთხი თანაბარდაწნევიანი ტიპური ელექტროსადგურები, რომლებიც განლაგებულია დერევაციულ არხებზე. კასკადის დადგმული სიმძლავრე 184 მეგავატია, ერთი მილიარდი კილოვატსაათი ელენერგიის საშუალო წლიური გამომუშავებით. ჰესის სამშენებლო სამუშაოები კი 4 წლის შემდეგ დამთავრდა. თავდაპირველად გაეშვა "ვარციხჰეს-1". 1978-80-88 წლებში მას კიდევ სამი ჰესი შემატა. მანამდე ვარციხჰეს N1 და N2 სადგურები შედიოდა "რიონჰესის კასკადის" შემადგენლობაში, ხოლო 1979 წლიდან "ვარციხჰესი" ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებლი ობიექტი. მის ხელმძღვანელად დაინიშნა გამოცდილი ენერგეტიკოსი, აწ განსვენებული გურგენ რიჟამაძე, მთავარ ინჟინრად კი გოდერძი კუპრავა. "1976 წლამდე, სანამ ვარციხჰესის კასკადი გაეშვებოდა, "რიონჰესში" ვმუშაობდი. აქ კი სადგურის უფროსად გადმომიყვანეს და პერსონალის მომზადება დამავალეს, მას შემდეგ აქ ვარ,"-ამბობს გოდერძი კუპრავა.



"ვარციხჰესის" დირექტორი გოდერძი კუპრავა

1996 წლიდან "ვარციხჰესების" კასკადი სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბდა. 1992-96 წლები, როგორც მთლიანად ქვეყნისთვის, ასევე ჰესის ისტორიაში მძიმე იყო. კასკადის ცალკეულ სადგურებზე გახშირდა ყაჩაღური თავდასხმები, ენერგეტიკოსები ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად იცავდნენ სახელმწიფო ქონებას. საბოლოო ჯამში კი, გვალვებით გამოწვეული წყლის სიმცირე, ტოტალური დაუფინანსებლობა და სხვა მრავალი პრობლემა, ჰესის კოლექტივისაგან უზარმაზარ შემართებას და თავგანწირვას მოითხოვდა. ამჟამად კასაკადის რვა აგრეგატიდან შვიდი მუშა მდგომარეობაშია.

"კასკადის დაცვა ძალიან გართულდა, ხშირად ხდებოდა თავდასხმები, ყაჩაღობები, პერსონალის ფიზიკური შეუარცხყოფა. ერთხელ ყუმბარაც ააფეთქეს. ის, რომ კასკადი დღემდე შევინარჩუნეთ, პერსონალის უშუალო დამსახურებაა. ამდენ ხანს ჩვენს თავგანწირვას ყურადღებას არავინ აქცევდა, მაგრამ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ჰორიზონტზე იმედი გაჩდა," - განმარტავს გოდერძი კუპრავა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, კასკადის ცხოვრება მნიშვნელოვნად შეიცვალა. სახელმწიფომ თანხა ჰესის განვითარების პერსპექტიული გეგმის შესრულებისათვისაც გამოყო, რომელიც ითვალისწინებს მოწყობილობა-დანადგარების, ჰიდრო და შენობება-ნაგებობების, მარჯვენა სანაპირო დამბის და სადერივაციო არხების კაპიტალურ შეკეთებას. შარშან ჰესმა 8.5 მლნ ლარის ელექტროენერგია გამოიმუშავა და საბითუმო ბაზრიდან მხოლოდ 948 ათასი ლარი მიიღო. წელს ეს მაჩვენებელი 20 პროცენტამდე გაიზარდა. ამავე დროს, მთავრობამ, სარემონტო სამუშაოებისათვის, დამატებით, საბიუჯეტო სახსრებიდან, 818 000 ლარი გამოყო. ამჟამად მიმდინარეობს N4 და N7 ჰესის კაპიტალური შეკეთება. "25 წელი საიუბილეოა. ამ ხნის მანძილზე ვარციხჰესის კასკადმა და მისმა პერსონალმა ქვეყანას საკუთარი წვლილი აჩვენა. მიუხედავად არსებული ურთულესი ვითარებისა, ბოლო 10-12 წლის მანძილზე მხოლოდ ერთი მიზანი გვქონდა - ოღონდ ჰესი არ გაჩერებულიყო, სხვა არაფერზე ვფიქრობდით. ამჟამად ენერგეტიკის სფეროში გატარებული რეფორმები ცხადყოფს, რომ ქვეყანა აღმასვლას იწყებს. ამიტომაც გადავწყვიტეთ 25 წლის იუბილეზე შევიკრიბოთ, მოვეფეროთ ძველ თანამშრომლებს, მოვიპატიჟოთ სტუმრები და ეს დღე, როგორც მოფერების, სიყვარულის და იმედის დღე, ერთმანეთს ვაჩუქოთ," - აცხადებს გოდერძი კუპრავა. პარასკევს, 5 ნოემბერს, "ვარციხჰესის კასკადის" იუბილეზე ენერგეტიკის სამინისტროსა და მთავრობის მაღალჩინოსნებს ელოდებიან.

*ბექა სისაური*

"სიკვდილის ჯგუფი" და კაპელოს ფანდები



B4

უფასო იურიდიული კონსულტაცია



B6

ელტონ ჯონი თხოვდება



B8

# მონოპოლია FM დიაპაზონზე

## დავინახო ის, რაც მესმის - ტრანსფორმირებული ოქროს ბუს კონცეფცია

ვერა ნეფარიძე

*სულ რაღაც ერთი თვეა, რაც მედია-ბიზნესჯგუფმა - "სითიზენი" - საქართველოში პირველი FM რადიოსადგურების ფესტივალის დაწყების შესახებ გვაუწყა. ერთი თვე საკმარისი აღმოჩნდა, რომ ფესტივალს ფორმატი შეეცვალა; თუმცა, ბოლომდე მისაღებია თუ არა ფესტივალის არასაკონკურსო პირობები ქართული FM დიაპაზონის მონოპოლისტებისთვის, ჯერ კიდევ ბუნდოვანია.*

შეგახსენებთ, "ოქროს ბუ" გახსნილად 27 სექტემბერს გამოცხადდა. ფესტივალი ორ ეტაპად უნდა გამართულიყო. პირველ ეტაპზე გათვალისწინებული იყო ნომინანტების წარდგენა, და რადიოსადგურებიდან მიწოდებული მასალის შესწავლა-შეფასება (ცხადია, ფესტივალს ჰყავდა ჟიური); მეორე ეტაპზე გამოცხადდებოდა ჟიურის შემადგენლობა და მასთან ერთად, ინფორმაცია საფინალო ნომინანტების შესახებ; ფინალი კი 29 დეკემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართებოდა და გაიმართება კიდეც. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ ფესტივალის ამ იდეიდან დღეისათვის ამოვარდნილია საკონკურსო პირობები მთელი თავისი ორი ეტაპით; შესაბამისად, ფესტივალის ორგანიზატორებს მოუხდათ უარი ეთქვათ ჟიურის წევრებისთვის დახმარებაზე. ამგვარი ცვლილებები იმიტომ მოხდა, რომ თბილისური რადიოსადგურების (მნიშვნელოვანი დეტალი: ფესტივალში მხოლოდ თბილისური რადიოსადგურები მიიღებდნენ მონაწილეობას) უმრავლესობის (კონკრეტულად კი, შვიდი რადიოსადგურის) ხელმძღვანელობამ უნდობლობა გამოუცხადა მედიაბიზნეს ჯგუფს იმ მი-



B2

# ჩემი მეგობარი მარლონი

## ჰოლივუდის ლეგენდა ისე, როგორც არასდროს



B2

მარლონ ბრანდო და რობერტ დე ნირო

# NBA-ს სეზონი გაიხსნა



B5

B2 რევიუ B3 რეკლამა B4 სპორტი B5 სპორტი B6 იურიდიული კონსულტაცია B7 იურიდიული კონსულტაცია B8 სხვადასხვა



# აფიშა

## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
კამერული მუსიკის კონცერტი
მონაწილეობენ: მარინე იაშვილი (ვიოლინო), ოთარ ჩუბინიშვილი (ჩელო),
მედეა ალთუნაშვილი (ფორტეპიანო), თამარ ჩიტაძე (ფორტეპიანო).
პროგრამაშია: შუბერტი, მენდელსონი, შოსონი, პაგანინი-შიმანოვსკი,
პაგანინი-კრეისლერი.
დას: 19:00 სთ

## თეატრები

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
რაფიელ ერისთავი
"ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"
დამდგმელი რეჟისორი: გიორგი მარგველაშვილი
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
"ანტიგონე"
რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
მილერი
"ყველა ჩემი შვილია"
რეჟისორი: ლეო ანთაძე
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ლაშა ბუღაძე
"ნუგზარი და მეფისტოფელი"
რეჟისორი: გ. თავაძე
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"ტერმინალი"
დას: 13:00; 15:30; 20:00; 22:00 სთ.

"ქალი კატა"
დას: 17:00 სთ.

**რუსთაველი**
"იდუმალი ტყე"
დას: 20:00; 22:00 სთ

"ევროტური"
დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ.

## გამოფენები

**გოეთეს ინსტიტუტი**
"ცეკვის თეატრი დღეს - ცეკვის 30-წლიანი ისტორია გერმანიაში".
საშა ვალცის ცეკვის თეატრი (ვიდეოჩვენება) და დავით ბუხრიკიძის მოხსენება
დას. 17 საათზე

**TMS**
ფოტოგამოფენა "როგორ ვიცხოვროთ ერთად"

**ბაია გალერეა**
ნანა & ლალი
ნანა ჭურღულიას და ლალი ლომთაძის ნამუშევრების გამოფენა

**ძველი გალერეა**
დავით მელიქიშვილის ნამუშევრების გამოფენა

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ძველი თბილისი სახვით ხელოვნებაში"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
თბილისური შემოდგომა
(ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე"
გამოფენა-გაყიდვა

**ვერნისაჟი**
ვატი დავითაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
დავით ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური გამოფენა
(ფერწერა, ქართული გობელენი, ბატიკა)

**ჰობი**
თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა)

## ჩვენება

**ბიზნესცენტრი**
დიზაინერ ნანა შუკვანის ნამუშევრების ჩვენება
დას: 20:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# ჩემი მეგობარი მარლონი

B1 გვერდიდან

*გამომცემლობა "ჰარპერ ინთერთეინმენთი" გასართობ, სახალისო საკითხავს გულისხმობს და ასეთ წიგნებსაც ბეჭდავს ხოლმე. თუმცა, მის ახალ სათაურებში შესულ წიგნს, რეჟისორ ჯორჯ ინგლუნდის მემუარებს უფრო სევდიან-ნოსტალგიური ტექსტი ეთქმის. ავტორი ახლახან გარდაცვლილ უდიდეს მსახიობს მარლონ ბრანდოს იხსენებს, ძალიან სევდიან და აქამდე უცნობ სიტუაციებში.*



გარდაცვალებამდე ხუთიოდე დღით ადრე მარლონ ბრანდომ დაურეკა მეგობარს, რომელთანაც მთელი 50 წელი აკავშირებდა - ჯორჯ ინგლუნდს, რეჟისორს, რომელმაც ბრანდო 1963 წელს გამოსულ ფილმში Ugly American გადაიღო.

"სხვანაირად არ შემეძლო, შენი ხმა, უბრალოდ, უნდა გამეგო. მიყვარხარ, ჯორჯ. ჩვენ უამრავი დრო გვაკავშირებს, თითქმის 48 წელიწადი. ეს წლები ჩვენი განძია. მგონი, ტირილს ვიწყებ, მაგრამ არ მაინტერესებს, უკვე სულ ერთია ყველაფერი. მთავარი იყო, ერთი წუთით მაინც დაგლაპარაკებოდი. იცოდე, შენთვის ტყვიასაც დავიხლიდი შუბლში".

"მსგავსი სიტყვები ბრანდოსგან მანამდე არასდროს მომესმინა. ეს ყველაფერი ძალიან პირადულად და, რაც მთავარია, უცნაურად ჟღერდა", - იხსენებს ამ ემოციურ სატელეფონო ზარს რეჟისორი, რომელიც მაშინ, თურმე, ისე აფორიაქდა, რომ რამდენიმე დღეში, 30 ივნისს, ლოს ანჯელესში ჩავიდა და ბრანდოს შინ, თავის ცნობილ ქუჩაზე, მალჰოლანდ დრაივზე ეწვია.

ინგლუნდს იქ ცუდი სანახაობა დახვდა. ჰოლივუდის ლეგენდა, 80 წლის მოხუცი საწოლში ძალაგამოცლილი იწვა. ბამბის ხალათი ეცვა, სახეს ჭაღარა-მოთეთრო წვერი უფარავდა. ამოღამებული თვალებით იყურებოდა, თითქოს გუგების ნაცვლად ბნელი, ფუღურო სენაკები ჩაუდგესო. ლოყები ჩაცვენოდა, ნესტოებში ჟანგბადის მილაკები ჰქონდა შეერთებული, სახეზე ტანჯვა ეწერა. ბრანდოს საკუთარ სხეულზე კონტროლი დაეკარგა, იწვა და თვალებს აქეთ-იქით უღონოდ აცეცებდა.

"რა კარგია, რომ კიდევ გაქვს თამაშის თავი, მარ", - გაიხუმრასავით ინგლუნდმა.

"ვეღარ ვთამაშობ. ნახე, აი, ასეთია სახე, რომელიც ნამდვილ ტკივილს გამოხატავს", - იყო პასუხი.

მეგობრებმა საათზე მეტხანს ისაუბრეს. ბრანდო პერიოდულად გონს კარგავდა და ითიშებოდა. ინგლუნდი კი მომაკვდავ მეგობარს ფეხს უზელდა. მერე უკანასკნელად შეეხო მას, ხელი მაგრად მოუჭირა და დაემშვიდობა. მეორე დღეს ინგლუნდს ტელეფონით აცნობეს ბრანდოს გარდაცვალების ამბავი. მოხუცი ლეგენდა ლოს ანჯელესის სამედიცინო ცენტრში გარდაიცვალა. მას ფილტვებმა უმტყუნა.

...ზემოთ მოთხრობილი ეპიზოდი ერთი პატარა ნაწყვეტია ინგლუნდის სევდიანი მოგონებებით სავსე წიგნიდან, სათაურით - "ისე, როგორც არასდროს: ჩემი მეგობარი მარლონ ბრანდო" (The Way It's Never Been Done Before: My Friendship With Marlon Brando).

რეჟისორი ამ ხანგრძლივი მეგობრობის თითქმის ყველა დეტალს იხსენებს, მნიშვნელოვანსა და უმნიშვნელოს, სასაცილოსა და სევდიანს:

როგორ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ჰონგ კონგის ქუჩებში რიქშებით სირბილში და როგორ ძლივს გადაურჩნენ დალეწვას;

საშინელ ღამეს 1958 წელს, როცა ბრანდოს ვერ გადაეწყვიტა, წასულიყო, თუ არა "ოსკარის" ცერემონიალზე. იმ წელს ხომ ბრანდო საუკეთესო მსახიობის ნომინაციაზე იყო წარდგენილი ფილმში Sayonara შესრულებული როლისთვის. ბოლოს, როგორ არჩია მან მაინც წასვლა, როგორ გზადაგზა იცმევდა კოსტიუმს და როგორ გიჟივით მიაქროლებდა ინგლუნდი მანქანას, მსახიობი ცერემონიალზე დროულად რომ მიეყვანა;

როგორ მიუსწრო ერთ დღეს ინგლუნდმა ბრანდოს სახლში, როცა ის "ქლინექსის" ხელსახოცებს იტენიდა ქვედა ტუჩსა და ღრძილებს შორის - რამდენიმე საათში ფრენსის ფორდ კოპოლა უნდა მოსულიყო. რეჟისორი ბრანდოს "ნათლიას" პროექტის შესახებ უნდა გასაუბრებოდა.

ინგლუნდი იხსენებს იმ დღესაც, როცა მან ბრანდოს საწოლში მიუსწრო. ის იწვა, პატარა ტელევიზორი მუცელზე ჰქონდა დადებული, უყურებდა თავის ფილმს On the Waterfront და კომენტარებს ურთავდა. როცა ლიმუზინში გათამაშებული ცნობილი სცენის დრო დადგა - ბრანდოს და როდ სტაიგერის მონაწილეობით - მსახიობმა რეჟისორ ელია კაზანთან გამართული კამათი გაიხსენა და ამაყად დასძინა, ამ ეპიზოდში კაზანისთვის რომ დამეჯერებინა და ისე მეთამაშა, როგორც მას სურდა, ჩემი გმირის არსებობა საერთოდ აზრს დაკარგავდაო...

მარლონ ბრანდო და ჯორჯ ინგლუნდი ერთმანეთს 1956 წელს შეხვდნენ მსახიობ ბერგეს მერედითის წვეულებაზე, ლოს ანჯელესში. ინგლუნდი საღამოზე მეუღლესთან, მსახიობ ქლორის ლიჩმანთან ერთად გამოცხადდა, ბრანდო კი მოგვიანებით გამოჩნდა, ორივე მკლავზე ქალები ჰყავდა გადაწვენილი. ის ინგლუნდს თვითონ გაეცნო და მეორე დღისთვის მეუღლესთან ერთად, ვახშამზე დაპატიჟა. თან მოიმიზეზა, ანა მანიანიც იქნება, და იქნებ, როგორმე, დიპლომატიურად ავარიდო თავი მასთან რომანსო. ინგლუნდი წერს, რომ ბევერლი ჰილსზე, რესტორნიდან გამოსვლის შემდეგ, მანიანი მართლაც ეცადა ბრანდოსთან ფლირტის გაბმას, მაგრამ მსახიობმა მოიმიზეზა, ინგლუნდი და მისი მეუღლე მყავს შინ წასაყვანიო და ასე დაუძვრა ხელიდან.

მეგობრობა ორს შორის იმ დღეს დაიბადა. ინგლუნდი და ბრანდო განუყრელები გახდნენ.

თუმცა, ასეთი სიახლოვის მიუხედავად, მოგონებებში ჩაფლული ინგლუნდი აღიარებს, რომ მისთვის მარლონ ბრანდო მაინც გამოცანად დარჩა. მის ყველაზე მკვეთრ მახასიათებელ თვისებად კი ცნობისმოყვარეობასა და ენერგიულობას ასახელებს.

"ის გაიცნობდა ადამიანებს, გაესაუბრებოდა, დაუახლოვდებოდა და მათგან რაღაც თვისებებს, ამბებს "მოიპარავდა". ცნობისმოყვარეობა, რითაც ის თითოეულ ახლად გაცნობილ ადამიანს უდგებოდა, დიდად ეხმარებოდა თამაშში... მას ყველა თემა, ყველა საკითხი ერთნაირად აღელვებდა. სულ ერთი იყო, რაზე ლაპარაკობდი მწერზე, ფილმზე თუ ქალებზე - მისამართი ერთი იყო. მისთვის ყველაფერს თანაბარი სიღრმე და მნიშვნელობა ჰქონდა. მოწყენილობა მისგან შორს იდგა", - წერს რეჟისორი.

თუმცა, იყო ერთიც - მარლონ ბრანდო არაფრით ეხსნებოდა მათ, ვისაც წერასთან ჰქონდა საქმე. ეს მისი კანონი იყო. მიუხედავად ამისა, მარლონ ბრანდოს ბიოგრაფიის დაწერის იდეას ორი მეგობარი ერთად განიხილავდა. "იმ დროს მარლონს ისეთი ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა, რომ მზად იყო ლიტერატურული ხარისხი ფულზე გაეცვალა. წინასწარ 5 მილიონი დოლარი გადავუხადე", - იხსენებს ინგლუნდი, მაგრამ, როგორც შემდეგ ჰყვება, პროექტის დასრულება ვერ მოახერხეს: "გული არ დამწყვეტია, რადგან ბევრჯერ მინახავს, როგორ არღვევდა მარლონი კონტრაქტებს, როგორ შუა გზაზე შლიდა პროექტებს. ასე ხშირად ხდებოდა - ყველაფერი კარგად მიდიოდა, მერე უცებ დაფრთხებოდა, განწყობა შეეცვლებოდა და მერე ადგილიდან ვეღარ დაძრავდი".

ინგლუნდი აცხადებს, რომ რამდენიმე თვის წინ მემუარებზე მუშაობა ისე დაიწყო, ბრანდოსთან სიტყვაც არ დასცდენია. თუმცა, დასძენს, რომ თქმას აუცილებლად აპირებდა. მერე კი, როცა მსახიობი გარდაიცვალა და მის შესახებ ყველა გამვლელი ალაპარაკდა, ინგლუნდმა უკვე საბოლოოდ გადაწყვიტა წიგნის გამოცემა. მან იცოდა, რომ ეს წიგნი იქნებოდა ყველაზე ინტიმური კვლევა, რაც კი მარლონ ბრანდოს შესახებ დაწერილა. ასეც გამოვიდა. წლებთან ერთად ხომ ორ მოხუც მეგობარს ერთნაირი ოჯახური ტრაგედიაც აერთიანებდათ: ბრანდოს ქალიშვილმა ჩეიენიმ თავი მოიკლა, ვაჟი კრისტიანი კი ჩეიენის შეყვარებულის მოკვლისთვის დააპატიმრეს. ინგლუნდს 27 წლის ნარკომანი შვილი ბრაიანი მოუკვდა მერე კი ხელიდან 11 წლის მაქსიც გამოეცალა. ბავშვი ზურგის კუნთის ატროფიამ იმსხვერპლა.

ჯორჯ ინგლუნდი მარლონ ბრანდოს დაკრძალვის ცერემონიალზეც დაპატიჟეს, რომელიც მსახიობისთვის პროდიუსერმა მაიკ მედავოიმ გადაიხადა და რომელსაც ჰოლივუდის ვარსკვლავების უმრავლესობა დაესწრო. მაგრამ ინგლუნდი არ წასულა: "მარლონს არ მოეწონებოდა ეს. არც ის მოეწონებოდა, თუ როგორ შეიკრიბა უამრავი ხალხი და ნეტარი სახეებით, როგორ იხსენებდნენ ანეკდოტებს მის შესახებ".

# მონოპოლია FM დიაპაზონზე

B1 გვერდიდან

ზეზის გამო, რომ ამ ორგანიზაციის უკან არ იყო რაიმე მნიშვნელოვანი, გრანდიოზული განხორციელებული პროექტი. შესაბამისად, რადიოსადგურების ხელმძღვანელებმა უარი თქვეს კონკურსში მონაწილეობაზე და ფესტივალის ორგანიზატორებისთვის საკუთარი მოღვაწეობის შესახებ არსებული ინფორმაციის მიწოდებაზეც.

ასეთ პირობებშიც, ანუ, როგორც მედია-ბიზნეს ჯგუფის დირექტორი გიორგი ბედოშვილი ამბობს, დაპირისპირებისა და დესტრუქციული ვითარების ფონზეც, ორგანიზატორები აპირებდნენ ფესტივალის იდეის ბოლომდე მიყვანას, მაგრამ საბოლოოდ, ამ ეტაპზე იდეის თავდაპირველი სახით განხორციელებამდე მათ მნიშვნელოვან დათმობებზე მოუხდათ წასვლა. თუმცა, ორგანიზატორები ფიქრობენ, რომ ფესტივალის გამართვაზე უარის თქმას მაინც ფორმატის შეცვლა სჯობდა. "ვნახო ის, რაც მესმის", - ასეთია ამჟამად "ოქროს ბუს" დევიზი და კონცეფცია. ანუ, 29 დეკემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში წესით უნდა მივიდეს ყველა, ვინც ჩვენებური რადიოსადგურების ერთგული მსმენელია (მგონი, ცოტა არ უნდა იყოს). ამ შემთხვევაში, მათ ელით შეხვედრა ნაცნობ და მათთვის ახლობელ ხმებთან. "შეიძლება ისეც მოხდეს, რომ როდესაც ფილარმონიაში "არ დაიდარდოს" მსმენელი "რადიო 2"-ის სახეს ნახავს, ან პირიქით, შეიცვალოს დამოკიდებულება", - მე პირადად გიორგი ბედოშვილის ამგვარი მოლოდინი ცოტა გულუბრყვილოდ მეჩვენება, თუმცა, ვნახოთ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ერთი კი ფაქტია, რომ ეს ღონისძიება ჩვენი რადიოსადგურებისთვის გაწეული კიდევ ერთი უფასო რეკლამა იქნება. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ ამ პირობებშიც კი რადიოსადგურების ხელმძღვანელები თურმე ისევ თავს იკავებენ ფესტივალში მონაწილეობაზე. როგორც "სითიზენში" გვითხრეს, ამჯერად მიზეზი ამ რადიოსადგურებში წინასაახალწლო პროგრამებზე მუშაობის გამო, დროის დეფიციტი იქნება. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ფესტივალის ორგანიზატორებს ხელი არ შეეშლებათ ამ ჩანაფიქრის განხორციელებაში. 29 დეკემბრისთვის ისინი დაამზადებენ 2-3 წუთიან ვიდეორგოლს თითოეული რადიოსადგურის შესახებ; გათვალისწინებულია მუსიკალური პროგრამაც და, რაც მთავარია, რეჟისორები (ლევან წასიძე და მაია არჩვაძე) ღონისძიების მიმზიდველ ფორმაზე მუშაობენ. ერთი სიტყვით, სანახაობად მაინც უნდა ღირდეს ფესტივალი, რომელსაც ნებით თუ უნებურად, საკონკურსო ფორმატი ჩამოართვეს. ფესტივალი სპონსორების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წყალობით იმართება, რისთვისაც "სითიზენის" შემოქმედებითი ჯგუფი კომპანია "ჰუმანა-ჯორჯიას"; საქართველოში "ლუკოილის" წარმომადგენლობის, "ჯეოსელის"; "ცენტრ-პოინტისა" და სასტუმროების ქსელი "სიმპათიის" მადლიერია.


*ბუ ფესტივალის მთავარი პრიზია*

ფესტივალს მორალური მხარდამჭერიც ჰყავს "ენის სახელმწიფო პალატის" სახით. "ის, რომ რადიოპროგრამების ფესტივალი იმართება, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. პირიქით, ასეთი შეჯიბრი ნორმალური კონკურენციის პირობებში, საქმისთვის სასარგებლოცაა. რაც შეეხება ჩემს მხარდაჭერას, ცხადია, ინიციატივა ჩემგან არ მოდიოდა, მაგრამ როდესაც ასეთი წინადადებით მომმართეს, მე ის გავიზიარე და შევპირდი, რომ მხარდამჭერი ვიქნებოდი. ახლა რამდენადაც ვიცი, შეიცვალა ფესტივალის ფორმატი, ამოღებულია საკონკურსო პირობები, მაგრამ ვინაიდან ორგანიზატორები ამაზე დათანხმდნენ (რამდენადაც ვიცი, ეს ვარიანტი რამდენიმე რადიომ ულტიმატუმის სახით წამოაყენა), ალბათ, ამაში ნახეს რამე დადებითი. სიმართლე გითხრათ, ჯერ არ მაქვს კარგად გაცნობიერებული შეცვლილი ფორმატით ამ ფესტივალის იდეა, როდესაც ორგანიზატორებს შევხვდები და გავიგებ უფრო მეტს, მერე ჩამომიყალიბდება საკუთარი მოსაზრება", - გვითხრა ლევან ღვინჯილიამ.

დაბოლოს: როდესაც "ოქროს ბუს" შესახებ პრაღაში, რადიო "თავისუფლების" სათავო ოფისში გაუგიათ, დაურეკავთ თბილისის რედაქციაში და დაუზუსტებიათ, იღებდა თუ არა ფესტივალში მონაწილეობას რადიო "თავისუფლების" თბილისის ბიურო. მაგრამ, როგორც გამოჩნდა, ის რაც ევროპაში მისაღები და მოსაწონია, ჩვენთან სიმპათიას არ იმსახურებს. გამჭვირვალობისა და გახსნილობის ნიღაბს აქ ხომ მონოპოლისტები შესანიშნავად არიან ამოფარებულები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს, რასაკვირეველია, არ ეხებათ რადიოსადგურებს, რომელთაც თავიდანვე არ შეეშინდათ ფესტივალ-კონკურსში მონაწილეობის.

ფეხბურთი

# "სიკვდილის ჯგუფი" და კაპელოს ფანდები

ფაბიო კაპელოს მეთოდმა კვლავ გაიმარჯვა. უძლიერესი დაცვა და უმაღლესი კლასის თავდასხმა - ასეთია კაპელოს გუნდის წყობა და ამ წყობამ, ჯერჯერობით, ტურინის "იუვენტუსს" ყველა მიმართულებით გაამარჯვებინა. როგორც იტალიის ჩემპიონატში, ისე ჩემპიონთა ლიგაშიც.

იტალიაში "იუვეს" რომ ბადალი არ ჰყავს, ეს სტატისტიკიდანაც ნათლად ჩანს. გუნდი პირველ ადგილზეა და უახლოეს მდევარს 5 ქულით უსწრებს, მაგრამ რაც ყველაზე თვალსაჩინოა, "იუვენტუსმა" საკუთარ კარში წელს ორად-ორი გოლი მიიღო. ჩემპიონთა ლიგაში კი ტურინელთა კარი კვლავაც დაუძლეველია და სწორედ ეს ხდის კაპელოს შეუდარებელ სტრატეგად.

ტურინის "იუვენტუსმა" ჩემპიონთა ლიგის ტურნირში ოთხივე მატჩი მოიგო. თანაც ყოველ შეხვედრაში თითო გოლი გაიტანა და ეს ერთადერთი გოლი, როგორც წესი, გამარჯვებისთვის საკმარისია. ასე მოხდა მიუნხენშიც. "ბაიერნის" წინააღმდეგ კაპელოს გუნდს უაღრესად სერიოზული თამაში ელოდა, მაგრამ აქაც თავი გამოიჩინა "იუვეს" დაცვამ. ბუფონმა გერმანელთა 8 დარტყმა მოიგერია. მისმა პარტნიორებმა კი "ბაიერნის" კარში 3 დარტყმა შეასრულეს და ერთ-ერთი მათგანი 90-ე წუთზე, ალესანდრო დელ პიეროს გოლით დასრულდა. ალბათ, სწორედ ეს არის კლასი და ფაბიო კაპელოს დამსახურებაც. ასე ათამაშებდა კაპელო "მილანსაც" და ასეთი ტაქტიკით ათამაშებს "იუვენტუსსაც". საინტერესო კი ის არის, რომ ის ყველგან გამარჯვებულია. იტალიელებმა ამ გამარჯვებით 12 ქულა მოაგროვეს და ჯგუფში პირველობა გაინაღდეს.

უაღრესად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა B ჯგუფში, რომელსაც კენჭისყრის შემდეგ სპეციალისტებმა "სიკვდილის ჯგუფი" უწოდეს. ჰოდა, ამ "სიკვდილის ჯგუფში" სამი გამოკვეთილი ფავორიტია და კაცმა არ იცის, რომელი მათგანი გააღწევს პლეი-ოფამდე. კიევის "დინამოს", მადრიდის "რეალს" და ლევერკუზენის "ბაიერს" 7-7 ქულა აქვთ. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ სახელგანთქმული "რეალი" ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებას დაემშვიდობოს. თუმცა, თუ კიევის "დინამოსთან" მატჩით ვიმსჯელებთ, მადრიდელებს ასეთი საფრთხე, წესით, არ უნდა დაემუქროს. "რეალმა" უაღრესად ბრძოლისუნარიანი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა და მაღალი კლასის ფეხბურთი აჩვენა. ესპანელები ბურთს იმდენად უნარიანად აკონტროლებდნენ, რომ "დინამოელებს" აიძულებდნენ ბურთის ართმევისას დიდი ენერგია დაეხარჯათ. თვითონ კი საუკეთესოდ ირჩევდნენ პოზიციებს და შეტევის გადამწყვეტ ფაზაში უფრო ზუსტად რომ ემოქმედათ, შეიძლება, უკრაინის დედაქალაქიდან სამი ქულაც წამოეღოთ. ამჯერად კი ქულა იკმარეს და ჯგუფში ვითარება უკიდურესად დაძაბეს. რადგან, B ჯგუფის მეორე მატჩშიც "რომასა" და "ბაიერს" შორის ფრე დაფიქსირდა.

დღის ყველაზე დიდი სიურპრიზი კი ისრაელში აღინიშნა, სადაც თელ-ავივის "მაკაბიმ" - 2:1 დაამარცხა ამსტერდამის "აიაქსი" და რონალდ კუმანის გუნდს პლეი-ოფში გასვლის ყოველგვარი იმედი გადაუწურა. D ჯგუფში კი ფავორიტებმა "ლიონმა" და "მანჩესტერ იუნაიტედმა" მორიგი გამარჯვებები იზეიმეს და მათ მომდევნო ეტაპზე გასვლაში, ალბათ, ველარავინ შეეცილება.



ლუიშ ფიგუმ პენალტით ანგარიში გაათანაბრა.

**A**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო - ლივერპული | | | | | | 0:1 |
| ოლიმპიაკოსი - მონაკო | | | | | | 1:0 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-2 | 7 |
| ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 3-1 | 7 |
| მონაკო | 4 | 2 | 0 | 2 | 4-4 | 6 |
| დეპორტივო | 4 | 0 | 2 | 2 | 0-3 | 2 |

**B**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო - რეალი | | | | | | 2:2 |
| რომა - ლევერკუზენი | | | | | | 1:1 |
| დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 9-5 | 7 |
| რეალი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-7 | 7 |
| ლევერკუზენი | 4 | 2 | 1 | 1 | 9-6 | 7 |
| რომა | 4 | 0 | 1 | 3 | 4-11 | 1 |

**C**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი - იუვენტუსი | | | | | | 0:1 |
| მაკაბი - აიაქსი | | | | | | 2:1 |
| იუვენტუსი | 4 | 4 | 0 | 0 | 4-0 | 12 |
| ბაიერნი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-2 | 6 |
| აიაქსი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-7 | 3 |
| მაკაბი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-6 | 3 |

**D**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი - ფენერბახჩე | | | | | | 4:2 |
| მანჩესტერი - სპარტა | | | | | | 4:1 |
| ლიონი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-6 | 10 |
| მანჩესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 12-5 | 8 |
| ფენერბახჩე | 4 | 1 | 0 | 3 | 6-13 | 3 |
| სპარტა | 4 | 0 | 1 | 3 | 2-7 | 1 |

# "გლადბახს" მშველელად ადვოკაატი მოევლინა

"ფეხბურთი არც თუ ისე რთული რამ არის"

*დიკ ადვოკაატი ევროპის საუკეთესო მწვრთნელთა წრეს განეკუთვნება. სხვადასხვა წლებში ის ჰოლანდიის ნაკრებს ედგა სათავეში, იყო "გლაზგო რეინჯერსის" მწვრთნელი, ახლა კი მან მიონხენგლადბახის "ბორუსიასთან" გააფორმა კონტრაქტი, რაც ბევრისათვის დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა. მართლაც, გასაკვირია: სახელოვანი ადვოკაატი ბუნდესლიგის აუტსაიდერს ჩაუდგა სათავეში. არადა, თავად მწვრთნელი დიდი ენთუზიაზმით მოეკიდა თავის ახალ სამსახურს. 57 წლის ადვოკაატი მომავალ შაბათს "მაინცის" წინააღმდეგ მატჩში იზეიმებს დებიუტს მიონხენგლადბახის "ბორუსიას" მწვრთნელის პოსტზე.*

**- თქვენ უამრავი წინადადება გქონდათ სხვადასხვა კლუბებიდან და ფეხბურთის ფედერაციებიდან. რატომ შეაჩერეთ არჩევანი "გლადბახზე"?**

- "გლადბახმა" სწორ დროს დამირეკა. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოგვარდა. ის პერსპექტივები, რომლებიც ამ კლუბში მაქვს, ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის.

**- მართალია, რომ შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ბერტი ფოგტსის შემცვლელად განგიხილავდათ?**

- "გლადბახში" უკეთესი პირობები მაქვს.

**- რატომ არ შეაჩერეთ არჩევანი რომელიმე უფრო სახელოვან კლუბზე, ან თუნდაც ჰოლანდიურ გუნდზე?**

- ჰოლანდიაში ამჟამად არ არსებობს კლუბი, რომელშიც მე მუშაობას შევძლებდი.

**- გაღიზიანებთ ის კრიტიკა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დაგატყდათ თავს, მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა?**

- კრიტიკა საჭიროა, როდესაც რაიმეს არასწორად აკეთებ. მაგრამ, პორტუგალიაში ჩვენ ფანტასტიკური სამუშაო გავწიეთ.

**- "გლადბახის" სახით, თქვენ ჩაიბარეთ გუნდი, რომელიც ამჟამად ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძვის. როგორ შეაფასებდით ამ სიტუაციას?**

- უნდა შევეცადოთ, რომ, რაც შეიძლება უფრო ჩქარა, რაც შეიძლება უფრო მეტი ქულა დავაგროვოთ. თუმცა, ბუნდესლიგაში ორი მოგებაც საკმარისია, რომ საუკეთესო შვიდ გუნდს შორის მოვხვდეთ. აი, ასეთი სიმჭიდროვეა აქ.

**- როგორ გინდათ, რომ "ბორუსიას" წარმატებები დაუბრუნოთ?**

- მნიშვნელოვანია, რომ გვქონდეს სისტემა, რომლის მიხედვითაც თითოეულ მოთამაშეს ეცოდინება, თუ რა უნდა გააკეთოს მოედანზე. ძალიან ბევრი კარგი იდეა მაქვს. ფეხბურთი არც თუ ისე რთული რამ არის.

**- "გლადბახისათვის" მეტისმეტად ძვირი სიამოვნება ხომ არ ხართ?**

- ფინანსური საკითხი არ მაღელვებს. ფული საკმარისად მაქვს.



დიკ ადვოკაატი: "ჰოლანდიაში ამჟამად არ არსებობს კლუბი, რომელშიც მე მუშაობას შევძლებდი".

# შოტლანდიურ "ჰართსში" ჯონ რობერტსონი გაამწესეს

გუშინ შოტლანდიური პრემიერლიგის გუნდის "ჰართსის" მთავარ მწვრთნელად ჯონ რობერტსონი დაასახელეს. გუნდს მალე ახალი მფლობელი ეყოლება. ლიტველი ბიზნესმენი ვლადიმირ რომანოვი "ჰართსის" მართვის სადავეებს ჩაიგდებს ხელში. დღეს შედგება 40 წლის რობერტსონის პირველი გამოცდა. უეფას თასზე "ჰართსი" ლევან კობიაშვილის "შალკე 04"-ს შეხვდება.

ოქტომბრის ბოლოს თითქმის მთელი ევროპული სპორტული პრესის ფურცლებზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ პოსტსაბჭოთა სივრციდან აღმოცენებული ბიზნესმენები კვლავ აგრძელებენ თავისი კაპიტალის ევროპულ ფეხბურთში დაბანდებას. ამჯერად, ლიტველი ბიზნესმენი ვლადიმირ რომანოვი აპირებდა ხელში ჩაეგდო შოტლანდიური კლუბი "ჰართსი" და ამ მიზნით, მან კლუბის აქციათა პაკეტი შეიძინა.

შემდეგ რომანოვმა პირობა დადო, რომ თუ ის კლუბის მფლობელი გახდებოდა "ჰართსის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ანატოლი ბიშოვეცს დანიშნავდა. თუმცა, იქვე მოხდა ამ ინფორმაციის კორექტირება. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ბიშოვეცი კლუბის მთავარი მწვრთნელი კი არა, არამედ მისი სპორტული დირექტორი გახდებოდა. თუმცა, ვიდრე ლიტველი ბიზნესმენი კლუბს სათავეში მოექცეოდა, ხოლო ბიშოვეცი სპორტული დირექტორის თანამდებობას დაიკავებდა, კლუბის ამჟამინდელმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მწვრთნელი შეეცვალა.

გუნდის ყოფილი მწვრთნელი კრეიგ ლევეინი ინგლისის მეორე დივიზიონის კლუბ "ლესტერ სიტის" ჩაუდგა სათავეში. მწვრთნელის პოსტზე კი დაინიშნა "ჰართსის" ყოფილი ფეხბურთელი, 40 წლის ჯონ რობერტსონი. თავისი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში რობერტსონმა "ჰართსისთვის" 214 გოლი გაიტანა, რაც კლუბის რეკორდია.

რობერტსონზე, როგორც მწვრთნელზე საუბარი ძნელია, რადგან მან საფეხბურთო კარიერა ახლახანს დაამთავრა და სამწვრთნელო საქმიანობაში თავი არ გამოუჩენია. მინდორზე კი, როგორც მოგახსენეთ, საკმაოდ ჭკვიანი და გამოცდილი ფეხბურთელის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ახლა სწორედ შედეგიანობა არ შეუშლის "ჰართსს" ქვეყნის ჩემპიონატის მატჩებსა და განსაკუთრებით უეფას თასის გათამაშებაში.

პირველ მატჩში უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე, "ჰართსი" ჰოლანდიის "ფეიენოორდთან" შეხვედრაში დიდი ანგარიშით - 0:3 დამარცხდა. დღევანდელ მატჩში კი "შალკეს" წინააღმდეგ გუნდი არა ლევეინის, არამედ რობერტსონის ხელმძღვანელობით გამოვა.

ალბათ, ახალბედა მწვრთნელისთვის უკეთეს გამოცდას კლუბი ვერც კი ინატრებდა. ჩავარდნის თავიდან აცილების მიზნით, "ჰართსი", უბრალოდ, ვალდებულია "შალკე" დაამარცხოს. გერმანული კლუბი კი ისეთი გუნდების კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის დამარცხება უაღრესად რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი.

კლუბს არანაკლებ რთულად აქვს საქმე შოტლანდიის ჩემპიონატშიც. გუნდი ამჟამად მეოთხე ადგილზეა და ლიდერ "სელტიკს" 12 ქულით ჩამორჩება.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** მიუნხენის "ბაიერნის" ყოფილმა მწვრთნელმა, ოტმარ ჰიტცფელდმა გერმანელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მადრიდის "რეალის" წინადადებაზე უარი თქვა. "დიდ სპორტში დაბრუნებას ჯერ არ ვაპირებ, ამიტომაც ბევრ წინადადებაზე ვთქვი უარი, მათ შორის მადრიდის "რეალის" მიპატიჟებაზე. დაველოდები გაზაფხულს და შემდეგ ვნახავ, იქნება თუ არა რაიმე საინტერესო. ამჟამად კი ფეხბურთისაგან დასვენება მსურს," - განაცხადა ჰიტცფელდმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის პრემიერ-ლიგის ბინადარმა "პორტსმუტმა" წარსულში სახელგანთქმულ ფეხბურთელ ჯორჯ ბესტს კლუბის დირექტორთა საბჭოში ადგილის დაკავება შესთავაზა. "პორტსმუტის" მეპატრონე მილან მანდარიჩი ლეგენდარულ ფეხბურთელს ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან იცნობს, როდესაც ეს უკანასკნელი "სან-ხოსეს" ღირსებას იცავდა 1980 წელს. მანდარიჩის თქმით, ბესტს კლუბის პრესტიჟის გაზრდა შეუძლია. "არასოდეს დამიმალავს, რომ ჩვენი კლუბის ხელმძღვანელებს შორის ჯორჯის ხილვა მსურს. ვფიქრობ, ზედმეტია ჩვენი პირადი მეგობრობის შესახებ საუბარი. ბესტს უაღრესად საჭირო კონტაქტები აქვს საფეხბურთო სამყაროში. უკვე დიდი ხანია, რაც მან თავისი პრობლემები გადალახა და ამჟამად შესწევს უნარი, რომ ჩვენს კლუბს დაეხმაროს," - აღნიშნა მანდარიჩმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** 14 ნოემბერს, ბუენოს-აირესში ცნობილი პარაგვაელი მეკარის, 39 წლის ლუის ჩილავერტის გამოსათხოვარი მატჩი გაიმართება, რომელშიც ჩილავერტის უკანასკნელი კლუბი "ველეს სარსფილდი" და მსოფლიო ნაკრები შეხვდებიან ერთმანეთს. მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების გუნდს არგენტინელი მწვრთნელი კარლოს ბილარდო ჩაუდგება სათავეში. ჩილავერტის გამოსათხოვარ მატჩში მონაწილეობას მიიღებენ წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელები: ჩილელი ივან ზამორანო, კოლუმბიელები კარლოს ვალდერამა და რენე იგიტა, ურუგვაელი ენცო ფრანჩესკოლი, ბოლივიელი მარკო ანტონიო ეჩევერია და სხვები.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გასულ ორშაბათს შოტლანდიის ეროვნული ნაკრების პოსტიდან დაითხოვილმა ბერტი ფოგტსმა განაცხადა, რომ ბრიტანეთში მოღვაწეობის პერიოდი მისთვის კოშმარული იყო. "შოტლანდიაში ვერავინ ხვდებოდა, თუ რის გაკეთებას ვაპირებდი. მომბეზრდა განტევების ვაცად ყოფნა იმ ცოდვებისათვის, რომლებიც შოტლანდიელებმა 15 წლის წინათ დაუშვეს. ვცდილობდი, რომ ამ ნანგრევებზე რაღაც ახალი ამეშენებინა, მაგრამ ევროპაში თქვენ ვერ იპოვნით შოტლანდიელ ფეხბურთელს, რომელიც ძლიერ კლუბში თამაშობს. საიდან უნდა მომეყვანა ვარსკვლავები? ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების უდიდესი ნაწილი წარსულით ცხოვრობს. მათ არ ესმით, რომ შოტლანდია აღარ წარმოადგენს საფეხბურთო ქვეყანას," - განაცხადა ფოგტსმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მოსკოვის "ცსკა"-ს და ლონდონის "ჩელსის" შორის ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდეგ, ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობამ უეფა-ში ოფიციალური საჩივარი გაგზავნა, სადაც აღნიშნულია, რომ "ჩელსის" 50-მა გულშემატკივარმა, რომელთაც მატჩზე დასასწრები ბილეთები ჰქონდათ, სტადიონზე შეღწევა მხოლოდ დიდი დაგვიანებით შეძლეს. ზოგიერთმა მათგანმა ამ მატჩში გატანილი ერთადერთი გოლის ხილვაც კი ვერ შეძლო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსის" მიერ გარიყული ადრიან მუტუს ბედი დღეს წყდება. 25 წლის რუმინელი ფორვარდის საკითხს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტი განიხილავს. შეგახსენებთ, რომ დოპინგ-ტესტების შედეგად, მუტუს ორგანიზმში კოკაინის კვალი აღმოაჩინეს. ამის გამო, ლონდონის "ჩელსიმ" თავისი ფეხბურთელის გუნდიდან განთავისუფლება გადაწყვიტა. თავად მუტუ დანაშაულს არ აღიარებს და ამტკიცებს, რომ ის არა კოკაინს, არამედ მამაკაცური პოტენციის ასამაღლებელ პრეპარატს იყენებდა. ასეა თუ ისე, საბოლოო ვერდიქტს ფეხბურთის ასოციაცია გამოიტანს. მუტუს 6 თვიდან 2 წლამდე დისკვალიფიკაცია ემუქრება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფრანგი მწვრთნელი ფილიპ ტრუსიე, შესაძლოა, უელსის ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში. სპეციალისტი, რომელიც სხვადასხვა დროს ნიგერიის, სამხრეთ აფრიკის და იაპონიის ნაკრებ გუნდებს წვრთნიდა, უელსის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანთან აპირებს შეხვედრას და მოლაპარაკებას. ტრუსიეს გარდა, უელსის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ჯონ ტოშაკის, ჟერარ ულიეს და დინ სანდერსის კანდიდატურებსაც განიხილავენ.

*კალათბურთი*

# I LOVE THIS GAME

## მეც მიყვარს ეს თამაში

სანდრო ნავერიანი



ჩემპიონის ტიტულის დაცვა "დეტროიტმა" "ჰიუსტონთან" გამარჯვებით დაიწყო.

ეს იყო გუშინ, ორ ნოემბერს.

ამ დღეს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 2004-2005 წლების რეგულარული სეზონი დაიწყო.

რა ხანია ველოდებოდი ამ დღეს. ჩემთან ერთად, ალბათ, ძალიან ბევრი კალათბურთის გულშემატკივარიც მოუთმენლად ელოდა მსოფლიოში ყველაზე ძლიერი საკალათბურთო ლიგის სტარტის აღებას.

რა თქმა უნდა, ვიღაცისთვის ეს ერთი ჩვეულებრივი დღეა, რომელიც ისევე გათენდა, როგორც ყველა დანარჩენი და ისევე დაღამდება, როგორც ყველა დანარჩენი; მაგრამ არის ხალხი, რომლებისთვისაც ამ დღეს გარკვეული მხიარულება, დაძაბულობა, ინტრიგა და ემოცია მოაქვს. სწორედ ასეთ ხალხს მინდა მივულოცო ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული სეზონის დაწყება.

გათამაშების პირველი დღე ყოველთვის მნიშვნელოვანია არა მარტო მონაწილე გუნდებისთვის და კალათბურთელებისთვის, არამედ გულშემატკივრისთვისაც, მაგრამ მომდევნო სათამაშო დღეებთან შედარებით ნაკლებად დატვირთულია. ჩვენ, ქართველები, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას მაღალი კლასის გამო ვადევნებთ თვალს, ამერიკელებისთვის კი არსებობს მხოლოდ ერთი-ფავორიტი გუნდი და სწორედ იმ გუნდის შეხვედრებს ადევნებს თვალყურს, დანარჩენი არ აინტერესებს. თუმცა, ახლა ამას არ აქვს მნიშვნელობა.

ვფიქრობ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული სეზონის დაწყებამდე საკმაოდ ვრცლად გავაშუქეთ ის, რაც სეზონის დაწყებამდე ხდებოდა და არა მგონია, ვინმეს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დარჩენოდა. სწორედ ამიტომ არ დავიწყებ იმის მოყოლას თუ რა ტრანსფერები განხორციელდა გაღებული სატრანსფერო ფანჯრის დროს და საერთოდ, რა ხდებოდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გარშემო და შიგნით ორ ნოემბრამდე. ასე რომ, მოდით, უბრალოდ, იმაზე ვილაპარაკებ რაც კონკრეტულად გუშინ ხდებოდა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული სეზონის სასტარტო დღე ნაკლებად დატვირთულია, ამას კი ის განაპირობებს, რომ ამ დღეს მხოლოდ სამი მატჩი ტარდება. "ბეჭდების მბრძანებელ" "დეტროით პისტონზით" დავიწყოთ, რომელიც "ჰიუსტონ როქეთსს" ხვდებოდა:

შეხვედრა ობარნ ჰილში, "პისტონზის" კალათბურთის სასახლეში "ზე ფალას ოვ ობარნ ჰილზში" გაიმართა. რა თქმა უნდა, ამ წყვილიდან ფავორიტად დეტროიტელები ითვლებოდნენ. შეიძლება ეს მოსაზრება თავიდან ამოგვეგდო მხოლოდ იმიტომ, რომ ჰიუსტონელთა რიგებში ტრეისი მაკგრეიდი ჩაირიცხა, მაგრამ "ჰიუსტონ როქეთსში" ამ დონის კალათბურთელი ერთია, "დეტროიტ პისტონზში"-ხუთი, ექვსი, შვიდი... შეხვედრა დეტროიტელთა გამარჯვებით (87:79) დასრულდა. პირველ მეოთხედში "პისტონზმა" თავის მეტოქეს ერთი ქულით აჯობა (19:18). შეიძლება ითქვას, პირველი და მეორე მეოთხედები თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და მეტიც, პირველი ნახევრის დასრულების შემდეგ, "ჰიუსტონ როქეთსი" "დეტროიტ პისტონზს" ერთ ქულას უგებდა (38:37). მეორე ნახევრის პირველი პერიოდი ისეთივე დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, როგორც წინები. მესამე მეოთხედის დასრულების შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო (59:59). აი, უკანასკნელ მეოთხედში კი, ჰიუსტონელებს აღარ ეყოთ ძალა და გამძლეობა და დეტროიტელ კალათბურთელებს საშუალება მისცეს წინ გასულიყვნენ რვა ქულით, რაც საბოლოოდ საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ შარშანდელ ტრიუმფატორებს გამარჯვება მოეპოვებინათ.

**დეტროიტი:** რიპ ჰამილტონი (15 ქულა, 8 გადაცემა, 4 მოხსნა), ჩონსი ბილაფსი (17 ქულა, 5 გადაცემა, 7 მოხსნა), რაშიდ უოლასი (24 ქულა, 2 ბლოქ-შოტი, 6 მოხსნა), ტაიშონ პრინცი (10 ქულა, 2 გადაცემა, 4 მოხსნა), ბენ უოლასი (15 ქულა, 4 გადაცემა, 10 მოხსნა).

**ჰიუსტონი:** ტრეისი მაკგრეიდი (18 ქულა, 1 გადაცემა, 2 მოხსნა), ჩარკლი უორდი (13 ქულა, 1 გადაცემა, 2 მოხსნა), ჯიმ ჯექსონი (1) ქულა, 1 გადაცემა, 7 მოხსნა), მორის ტეილორი (12 ქულა, 1 გადაცემა, 7 მოხსნა), იაო მინგი (7 ქულა, 1 ბლოქ-შოტი, 10 მოხსნა).

მეორე შეხვედრა ლოს ანჯელესში, "სთეფლზ ცენტრში" გაიმართა, სადაც ადგილობრივი "ლეიკერსი" კოლორადოს შტატის წარმომადგენლებს, "დენვერ ნაგეთსს" დაუპირისპირდა. შეხვედრა მასპინძლების სრული უპირატესობით წარიმართა. მათ პირველ და მეორე მეოთხედში იმდენი ქულა მოუგეს მოწინააღმდეგეს, რამდენიც სჭირდებოდათ. მიუხედავად მესამე და მეოთხე მეოთხედების წაგებისა, "ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა" "დენვერ ნაგეთსი" 11 ქულის სხვაობით დაამარცხა. კალიფორნიელთა რიგებში, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი საუკეთესო იყო კობი ბრაიანტი (25 ქულა, 7 გადაცემა, 4 მოხსნა). როგორც ჩანს, კობი ოპტიმალურ ფორმაშია, რაც რუდი ტომიანოვიჩს ძალიან ახარებს. კობისთან ერთად თავი გამოიჩინა კრის მიმმა, რომელმაც 23 ქულა მოაგროვა. "დენვერ ნაგეთსის" შემადგენლობაში არ უთამაშია ქართველ ნიკოლოზ ცქიტიშვილს, არ უთამაშია და საერთოდ, განაცხადშიაც კი არ ყოფილა, ალბათ, ტრავმა აქვს, ამის შესახებ ზუსტ ინფორმაციას არ ვფლობ და ამიტომაც ვერაფერს გეტყვით. რაც შეეხება დანარჩენ კალათბურთელებს, მათ შორის ყველაზე შედეგიანი კარმელო ენტონი იყო, რომელმაც 20 ქულა, 4 გადაცემა და ხუთი მოხსნა შესძინა თავის გუნდს. 13-13 ქულა მოაგროვეს კენიონ მარტინმა და ვოშონ ლენარდმა. საერთო ჯამში, კოლორადოელებმა კარგი დალაგებული თამაში აჩვენეს და ის, რომ "ლოს-ანჯელეს ლეიკერსთან" დამარცხდნენ არაფერ ცუდს არ უქადის ამ მეტად პერსპექტიულ გუნდს. "ლეიკერსმა" "ნაგეთსი" 89:78 დაამარცხა.

მესამე შეხვედრა დალასში, "ემერიქან ეარლაინზ ცენტრში" გაიმართა, სადაც ერთმანეთს "დალას მავერიქსი" და "საკრამენტო ქინგზი" დაუპირისპირდნენ. ეს შეხვედრა ჩატარებული სამი შეხვედრიდან ყველაზე შედეგიანი გამოდგა. დალასელმა "მოხეტიალეებმა" საკრამენტოელ "მეფეებს" 107:98 მოუგეს. ამ შეხვედრაში დაფიქსირდა პირველი 30 ქულიან ზღვარს გადაცილებული შედეგი, რომელიც გერმანელმა ლეგიონერმა დირკ ნოვიცკიმ მოაგროვა.

*მოკლედ*

# ბექჰემი ტომ კრუზის "გმირი" ყოფილა



ინგლისის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ვარსკვლავის დევიდ ბექჰემის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა შორის ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი ტომ კრუზიცაა.

კრუზს საკმაოდ თბილი და მეგობრული ურთიერთობა აქვს ბექჰემსა და მის მეუღლესთან. როგორც ამბობენ, კრუზი ბექჰემს აღმერთებს და თავის "გმირსაც" უწოდებს.

კვირას, "სანტიაგო ბერნაბეუზე" მადრიდის "რეალისა" და "ხეტაფეს" შეხვედრაზე კრუზი დევიდის მიწვევით მივიდა და VIP ლოჟაში თავად ფეხბურთელის, ვიქტორიასა და მათ ორ შვილთან- ბრუკლინსა და რომეოსთან ერთად გულშემატკივრობდა თავისი კუმირის გუნდს. მოგეხსენებათ, ბექჰემს, ჯერ კიდევ მოუშუშებელი ტრავმის გამო, მოედანზე გასვლა არ შეუძლია.

"დევიდმა და ვიქტორიამ რამდენიმეჯერ ისადილეს კრუზთან ერთად. ერთ-ერთი ასეთი სადილის დროს კრუზი ბექჰემებს გამოუტყდა, რომ ფეხბურთის დიდი მოყვარული იყო. კოლეჯში სწავლისას იგი გუნდშიც კი თამაშობდა. სპორტის ამ სახეობამ იმდენად გაიტაცა, რომ განიზრახა პროფესიონალი ფეხბურთელი გამხდარიყო. საუბედუროდ, ერთხელ კრუზმა მუხლის იმდენად სერიოზული ტრავმა მიიღო, რომ იძულებული გახდა ფეხბურთს სამუდამოდ დამშვიდობებოდა. კრუზმა ცოლქმართან აღიარა, რომ ჰოლივუდის მსახიობობას ფეხურთელობა ერჩივნა," - წერს გაზეთი "სანი" ერთ-ერთ სტატიაში.

# უილიამსს მწვრთნელი ჩემპიონის ტიტულს უწინასწარმეტყველებს

ბრიტანელი მოკრივის დენი უილიამსის მწვრთნელმა ჯიმ მაკდონელმა გაზეთ "სანთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ გერმანიაში ახლახან გამოსულმა ვლადიმირ კლიჩკოს ავტობიოგრაფიულმა წიგნმა მას მნიშვნელოვანი ცნობები მოაპოვებინა ამ მოკრივის შესახებ. მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ ეს დეტალები უილიამს კლიჩკოს დამარცხებაში დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ ბრიტანელი და უკრაინელი მოკრივეების შეხვედრა 11 დეკემბერს ლას ვეგასში გაიმართება.

მაკდონელის განცხადებით, წიგნში ძმები კლიჩკოების ვარჯიშის საინტერესო დეტალებია აღწერილი. "ამ წიგნმა საშუალება მომცა საფუძვლიანად გამეცნო კლიჩკო- უფროსი. ახლა მას იმაზე უკეთ ვიცნობ, ვიდრე ის იცნობს საკუთარ თავს. ვნახე და შევისწავლე მის მიერ ჩატარებული ყველა ბრძოლის ვიდეოჩანაწერი. ახლა კი დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ 11 დეკემბერს დენი უილიამსი სუპერ მძიმეწონით კატეგორიაში მსოფლიოს ახალი ჩემპიონი იქნება,"- განაცხადა მაკდონელმა.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

*TV-პროგრამა*

**ხუთშაბათი. 4 ნოემბერი**

**НТВ+ФУТБОЛ**

06:30 NBA TV. "UTAH JAZZ" - "LOS ANGELES LAKERS". პირდაპირი ტრანსლაცია
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ჩემპიონთა ლიგა. "დინამო" (უკრაინა) - "რეალი"
14:15 ჩემპიონთა ლიგა. "რომა" - "ბაიერი"
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 ჩემპიონთა ლიგა. "ოლიმპიაკოსი" - "მონაკო"
18:20 ჩემპიონთა ლიგა. "დეპორტივო" - "ლივერპული". შესვენებისას (19:10) - თავისუფალი დარტყმა
20:25 ჩემპიონთა ლიგა. მატჩების მიმოხილვა
22:25 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 საუიკენდო მატჩების ანონსი
22:35 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
23:05 "FUTBOL MUNDIAL"
23:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:35 თავისუფალი დარტყმა
00:50 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:45 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:45 02:45-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. "CHARLOTTE BOBCATS" - "WASHINGTON WIZARDS". პირდაპირი ტრანსლაცია
05:30 NBA TV - დღიური

**НТВ+СПОРТ**

10:00, 13:00, 16:15, 19:00, 21:30
10:20, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:40 ჩოგბურთი. "Masters Series"
13:40 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "NHK TROPHY". წყვილები. მოკლე პროგრამა. პირდაპირი ტრანსლაცია იაპონიიდან
15:15 "სპორტისიმო"
16:30 "კეგლის დროა"
17:00 "ვატერპოლო"
17:30 "ბილიარდის მეუფენი"
18:00 ჰოკეი ბურთით. მსოფლიო თასი შვედეთში. ფინალი
19:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
19:45 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
20:15 "მოტოვებული კვირა"
21:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
21:45 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 "ჰოკეი პლუს"
22:10 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "NHK TROPHY". წყვილები. მოკლე პროგრამა
23:40 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
00:15 ახალი ამბები
00:30 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
01:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
01:30 "ჰოკეი პლუს"

**EUROSPORT**

10:30 რალი-რეიდი. მსოფლიო თასი
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი კატალონიაში. მიმოხილვა
12:15 მოტოსპორტი - ტესტ დრაივი
12:30 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში". ტელეჟურნალი
13:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი
15:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
15:30 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები - 2004
16:30 სპიდვეი. მსოფლიო თასი ინგლისში
17:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი
19:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 მულტისპორტი
22:30 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
00:15 ახალი ამბები
00:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. სპეციალური მიმოხილვა
02:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. კვირის მატჩი

*ბოულინგი*

# თიბისი ბანკი ბოულინგშიც ლიდერობს

## ანუ მხურვალე შეხვედრა ბოულინგცენტრში



ბოულინგის თამაშის მთელი ფილოსოფია ფიზიკურ-ემოციურ განტვირთვას და სპორტული ფორმის შენარჩუნებას გულისხმობს. ამასთანავე, ასეთი გართობა მოთამაშეებში გუნდური პრინციპისა და კომუნიკაბელურობის უნარ-ჩვევების განვითარებასაც უწყობს ხელს. ამ თვისებების გაღვივება კი, მოგეხსენებათ, რარიგ ფასობს ბიზნესწრეებში. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ბოულინგი სპორტის დემოკრატიულ სახეობას მიეკუთვნება და სრულად შეესაბამება ასეთი თამაშის მოთხოვნებს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით ბოულინგური ასპარეზობები სულ უფრო მეტად ღებულობს კორპორაციული შეხვედრების სახეს. ამდენად, ბოულინგცენტრში სხვა და სხვა ფორმით გამართული ტურნირები თუ ჩემპიონატები მთლიანობაში საზოგადოების მორალური გაჯანსაღების ერთ-ერთ წინაპირობად გვევლინება.

სწორედ ასეთ მიზანს ემსახურებოდა ოქტომბრის ბოლოს თიბისი ბანკის მიერ ორგანიზებული გრანდიოზული ტურნირი. ღონისძიების ორგანიზატორის, ბანკის ადამიანთა რესურსების მართვის მენეჯერის ლაშა ჩხაიძის მონდომებით ასპარეზობაში გაერთიანდნენ როგორც სათავო ოფისის, ასევე, ფილიალების და რეგიონალური ოფისების წარმომადგენლები. მონაწილეთა რაოდენობა 150 იყო, რომელთა შორის, ქალბატონებიც მრავლად იყვნენ. შეჯიბრება გუნდურ ხასიათს ატარებდა, თუმცა საუკეთესო ბოულერის გამოსავლენად ინდივიდუალურ მოთამაშეთა ქულებიც ფიქსირდებოდა. ყოველი მოთამაშე მაქსიმალური ძალისხმევით ცდილობდა, ერთი მხრივ, გუნდის სასახელოდ და, მეორე მხრივ, საკუთარი რეიტინგის საჩვენებლად თავისი სპორტული შესაძლებლობების წარმოჩენას.

ტურნირი ორ დღეს გაგრძელდა და დიდი სპორტული აზარტით წარიმართა. ბანკის მესვეურებმა ასეთი დროსტარება დამსახურებულად მოუწყვეს თავის პერსონალს და ლამაზი ფურშეტითაც უმასპინძლეს. ზოგიერთ თანამშრომელს ოჯახის წევრებიც ახლდნენ საგულშემატკივროდ. ასე რომ, საერთო მხიარულებაში ისინიც ჩაერთვნენ, რაც საბოლოო ჯამში, ურთიერთდამეგობრობას და კოლეგებს შორის ჯანსაღი კლიმატის შექმნას ავითარებს. ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ისეთი სოლიდური ორგანიზაციისთვის, როგორიც თიბისი ბანკია.

ტურნირის მიმდინარეობისას კიდევ ერთხელ დადასტურდა რაოდენ სასურველია რეგულარული ვარჯიში, ვინაიდან უკეთესი შედეგები ბანკის იმ თანამშრომლებმა აჩვენეს, რომლებიც წინასაჩემპიონატო პერიოდში ბოულინგცენტრს ხშირად სტუმრობდნენ. კლუბის ადმინისტრაციამ, სპეციალურად ასეთი გავარჯიშებისთვის, ბანკირებს 15-პროცენტიანი ფასდაკლება დაუწესა. ამ პრივილეგიით ყველაზე აქტიურად საკრედიტო განყოფილების თანამშრომლებმა ისარგებლეს და მათმა მცდელობამ უშედეგოდ არ ჩაიარა. საუკეთესო ბოულერის წოდება მიენიჭა ვერის ფილიალის საკრედიტო მენეჯერს ნინო ყაჭეიშვილს. ხოლო მამაკაცებს შორის ასეთი ტიტული გიორგი პაპავამ მოიპოვა, რომელიც ამავდროულად გამარჯვებულ გუნდის სიგელითაც იწონებდა თავს. ამასთან ერთად, ბანკის ჩემპიონები გახდნენ კოტე მაჭავარიანი, თემო მინდორაშვილი და ლევან წაქაძე.

პირველი ადგილის პრიზიორს ბოულინგცენტრმა 20%-იანი ფასდაკლების ბარათი უსახსოვრა, მასვე გადაეცა ნემიროვის არაყი - "აბსოლუტი". მეორე და მესამე ადგილების პრიზიორებმა, შესაბამისად, 15 და 10%-იანი შეღავათებით სარგებლობის უფლება გადაინაწილეს. მათ დასაჩუქრებაზე ტრადიციულად იზრუნა ჯიემსი ჯგუფმა. საუკეთესო ბოულერები "ორიფლეიმის" სასაჩუქრე კალათებით და "გალუაზის" პრიზებით დაასაჩუქრა. ხოლო დანარჩენ ფინალისტებს, რომლებმაც ღირსეულად იბრძოლეს ჩემპიონის ტიტულისთვის, წასახილისებლად გერმანული ლუდი "პაულენარი" მიართვეს.

უსაჩუქროდ არც ღონისძიების ორგანიზატორი დარჩა. მას, როგორც ამ გულმხურვალე შეხვედრის ინიციატორს, ჯიემსი ჯგუფმა "ნემიროვის" არაყი უსახსოვრა.

1

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო კუპონის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი კუპონები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის კუპონები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამონაწერიც პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის კუპონის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „სარაჯიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "[illegible]" I სართული;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის კუპონი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**რობიზონ უზნაძე**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1339-ე მუხლით ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მემკვიდრეობის უფლება არ ეხება ქონების იმ ნაწილს, რომელიც მას მეუღლეთა თანასაკუთრებიდან ეკუთვნის. ჩემი ძმა - შოთა ქსოვრელი გარდაიცვალა 1999 წლის 9 იანვარს, ხოლო მისი მეუღლე - ლიდა ქსოვრელი - 2003 წლის 25 იანვარს, რომელთაც შვილები არ ჰყავდათ და ახლობელთაგან არავინ დარჩათ ჩემს გარდა.

გთხოვთ განმიმარტოთ, ჩემს რძალს, როგორც მამკვიდრებელს, ჰქონდა თუ არა უფლება ერთობლივი შრომით შექმნილი ქონება მთლიანად გაესხვისებინა ანდერძის სახით. მათი პატრონი მე ვიყავი. მათი ქონების რა პროცენტი მეკუთვნის მე.

ბატონო რობიზონ,

სამოქალაქო სამართლის 1339-ე მუხლის შინაარსი თქვენ არასწორად გაქვთ გაგებული. თანასაკუთრება ეს არის ის ქონება, რომელიც მეუღლეებმა შეიძინეს და დააგროვეს ერთობლივი ცხოვრების პერიოდში, ამ ქონების ნახევარი ეკუთვნის ცოლს, ხოლო მეორე ნახევარი - ქმარს. შესაბამისად, სამკვიდროს გახსნის დროს ცოცხლად დარჩენილი მეუღლე, რა თქმა უნდა, ვერ მიიღებს მემკვიდრეობით იმას, რაც ისედაც მის საკუთრებად ითვლება. ხოლო სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის საფუძველზე პირველი რიგის მემკვიდრეებად ითვლებინ შვილები, მშობლები და მეუღლე. აქედან გამომდინარე, კანონით მემკვიდრეობის საფუძველზე ქალბატონ ლიდას გადაეცა მეუღლის მთელი ქონება. ხოლო მამკვიდრებელი უფლებამოსილია, თავისი ქონება ანდერძით იმას დაუტოვოს, ვისაც თვითონ აირჩევს. (მუხლი 1344) სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მეორე რიგის მემკვიდრეები არიან გარდაცვლილის დები და ძმები (მუხლი 1336). სამოქალაქო კოდექსი მათ არ ანიჭებს სავალდებულო წილის უფლებას, ანუ ქონების გარკვეული ნაწილის მიღების უფლებას ანდერძის შინაარსის მიუხედავად. თუ თქვენმა რძალმა მთელი ქონება სხვა პირს უანდერძა, მაშინ თქვენ ვერაფერს მიიღებთ. თუ ანდერძს გარეთ დარჩა ქონების რაიმე ნაწილი, მაშინ მასზე გაიხსნება კანონით მემკვიდრეობა და თქვენ თქვენს წილს მიიღებთ.

**დავით ქვარცხავა**

გთხოვთ, განმიმარტოთ რა არის საჭირო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შ.პ.ს) შესაქმნელად. (რა საბუთებია საჭირო, სად უნდა დარეგისტრირდეს, რა თანხაა გადასახდელი). ასევე, რა არის საჭირო ერთი პირის საწარმოსათვის (ან კერძო მეწარმე).

ბატონო დავით,

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს სამეწარმეო იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწყობის საკითხები განისაზღვრება "მეწარმეთა შესახებ" კანონით.

შპს წარმოადგენს კაპიტალური სტილის იურიდიულ პირს. მისი შექმნა შეუძლია ერთ პირსაც, ხოლო დასაფუძნებლად საჭიროა საზოგადოებას ჰქონდეს სახელწოდება, იურიდიული მისამართი, დამფუძნებელთა სახელი და გვარი და კოორდინატები, საზოგადოების საქმიანობის საგანი, მონაცემები სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ, საწესდებო კაპიტალი, სულ მცირე 2000 ლარის ოდენობით, ყოველი დამფუძნებლის შენატანის ოდენობა და სახე (ფულადია იგი, თუ არაფულადი). საზოგადოებას აუცილებლად ესაჭიროება წესდება. დამფუძნებლები მოვალენი არიან, მოიწვიონ კრება, სადაც განისაზღვრება დირექტორების ვინაობა (თუ რამდენიმე დამფუძნებელია); ეს ყველა საბუთი პირმა უნდა წარადგინოს იმ რაიონულ სასამართლოში დასარეგისტრირებლად, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის იურიდიული პირის ადგილსამყოფელი.

რაც შეეხება, ინდივიდუალურ მეწარმეს, იგი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. იგი მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, მაშინ, როცა შპს-ს პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. ინდ. მეწარმის რეგისტრაციას ახდენს საგადასახადო ორგანო.

**მაია მიქელაძე**

გთხოვთ გამარკვიოთ - ვცხოვრობ ოჯახთან ერთად მამისეულ სახლში. მშობლები გარდამეცვალნენ, მსურს სახლის გადმოფორმება, ჩემი დები წილზე უარს ამბობენ, ანდერძი არ არსებობს, მამა 1996 წელს გარდაიცვალა ანუ სამკვიდროს გახსნიდან 8 წელია გასული, როგორ მოვიქცე?

ქალბატონო მაია,

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მემკვიდრეები უფლებამოსილნი არიან მიიღონ მემკვიდრეობა მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვსი თვის შემდეგ. გამომდინარე იქიდან, რომ თქვენ ფაქტობრივად შეუდექით სამკვიდროს ფლობას, იგულისხმება, რომ იგი მიღებული გაქვთ, ამიტომ სამკვიდროს მიღების გაშვებული ვადის აღდგენა აღარ დაგჭირდებათ. თქვენ უნდა მიბრძანდეთ ნოტარიუსთან, მიიტანოთ თქვენი პირადობის მოწმობა, მშობელთა გარდაცვალების მოწმობები, თქვენი დების წერილობითი განცხადებები სამკვიდროზე უარის თქმის შესახებ და მეზობელთა ჩვენებები, რომ ამ სახლში წლების განმავლობაში ცხოვრობთ და სამკვიდრო მიღებული გაქვთ. ნოტარიუსის მიერ დამტკიცებულ შესაბამის დოკუმენტს წარადგენთ საჯარო რეესტრში, სადაც საბოლოოდ დარეგისტრირდებით მესაკუთრედ.

**ციალა შავლაძე**

ვარ 78 წლის მოხუცი. ვცხოვრობ საკუთარ ბინაში მარტო, შვილი ამჟამად არ იმყოფება ჩემთან. მქონდა საკუთარი ბინა ჩემი და ჩემი მეუღლის დანაზოგით აშენებული, რომელიც ირიცხებოდა მამამთილის სახელზე მისივე თხოვნით; "ჩემს სიცოცხლეში იყოს ჩემს სახელზე, ჩემი სიკვდილის შემდეგ მაინც თქვენი იქნება, არავინ წაგართმევთო". გარდაიცვალა მამამთილი და ჩემი მეუღლეც. 6 თვის შემდეგ აღვიდგინე მემკვიდრეობა, რაზეც განაწყენდა მული და შუაზე გამიყო ჩემი ნაშრომი. მული გარდაიცვალა, მას დარჩა ქალიშვილი, რომელიც მედავება სახლის 0.5 ნაწილზე, გავიდა 6 წელი, მულისშვილი არავითარ ყურადღებას არ აქცევს მიკუთვნებულ ნაწილს, რომელიც თანდათან ზიანდება და აზიანებს ჩემს ნაწილსაც. გთხოვთ განმიმარტოთ როგორ მოვიქცე.

ქალბატონო ციალა,

გამომდინარე იქიდან, რომ თქვენი ბინა ირიცხებოდა თქვენი მამამთლის სახელზე, თქვენს მულს და შემდგომ მულისშვილს კანონიერად მიუღიათ ქონებიდან წილი. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მესაკუთრე ვალდებულია ისე ისარგებლოს და განკარგოს თავისი ქონება, რომ ამით ზიანი არ მოაყენოს სხვა პირს. ხოლო სარგებლობაში ასევე იგულისხმება ქონების სარგებლობისაგან თავის შეკავებაც. თანამესაკუთრენი ვალდებული არიან ერთობლივად გაწიონ ნივთის მოვლისა და შენახვის ხარჯები (მუხლი 173), ხოლო თუ თანამესაკუთრე ხარჯების გაღებისაგან თავს იკავებს, მეორე მესაკუთრე უფლებამოსილია მოითხოვოს ამ ხარჯების სასამართლოს გზით დაკისრება და ზიანის ანაზღაურება.

**ქრისტინე ცხვედიანი**

მოგესალმებით, მადლობას გიხდით იმისათვის, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით შესაძლებლობა გვეძლევა, მივიღოთ იურიდიული კონსულტაცია...

შინაგან ჯარებში კონტრაქტით ან შრომითი ხელშეკრულებით სამუშაოდ მიღებისას, რა განსხვავებაა კონტრაქტსა და შრომით ხელშეკრულებას შორის?

ქალბატონო ქრისტინე,

შრომის კანონთა კოდექსის მიხედვით კონტრაქტსა და შრომით ხელშეკრულებას შორის არანაირი განსხვავება არ არსებობს.

**კახა ბრეგვაძე**

ვარ 25 წლის. ჩემი მშობლები განქორწინებული არიან 15 წელია. სასამართლომ დედაჩემს არ მიაკუთვნა არაფერი, რადგან მამაჩემს არ ჰქონდა ქონებაზე უფლება. მამაჩემმა 7 წლის წინ შეიძინა ბინა. მეკუთვნის თუ არა წილი ბინიდან, როგორც ერთ-ერთ მემკვიდრეს? მამაჩემს ჰყავს ერთი ბიჭი მეორე ცოლისაგან, რომელთანაც არ ცხოვრობს უკვე 3 წელია.

ბატონო კახა,

სამოქალაქო სამართლის მიხედვით, მომავალი მემკვიდრეები სამკვიდროს ვერ მიიღებენ მანამ, სანამ მამკვიდრებელი ცოცხალია. ასევე ნიშანდობლივია, რომ განქორწინების შემდეგ მეუღლე კარგავს მემკვიდრეობის უფლებას ყოფილი მეუღლის ქონებაზე. (მუხლები 1336; 1340)

**თამარ მესხი**

დედა დროებით მშობლების ბინაში ცხოვრობდა, შემდეგ ბინა მიიღო თავის სახელზე, სადაც მუდმივად გადავიდა, ის მშობლების გარდაცვალებიდან ცამეტი წლის შემდეგ ისე გარდაიცვალა, მემკვიდრეობა არ გაუფორმებია, დროებით ცხოვრებას მშობლებთან ფლობას არ უთვლიან, რადგან არ იხდიან გადასახადს, არ იყო ჩაწერილი, რის გამოც ბებია-ბაბუას ბინიდან დედის წილს არ მაძლევენ სადაც დედაჩემის ძმა ცხოვრობს თანამყოფი მემკვიდრე ოჯახით. 1441-ე მუხლის საფუძველზე (სამოქალაქო კოდექსი) ეკუთვნის აწ უკვე თხუთმეტი წლის წინ გარდაცვლილ დედაჩემს მშობლების ბინიდან წილი, რომელსაც მე მივიღებ?

ქალბატონო თამარ,

თქვენ არასწორად გაქვთ გაგებული სამოქალაქო კოდექსის 1441-ე მუხლი. ამ მუხლში საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როდესაც რომელიმე რიგის ერთადერთი მემკვიდრე უარს ამბობს თავის წილ სამკვიდროზე. ამ შემთხვევაში, რადგანაც რეალურად არ არსებობს წინა რიგის მემკვიდრე, სამკვიდროს მიიღებენ შემდეგი რიგის მემკვიდრეები. (მუხლი 1336 და 1337); რაც შეეხება თქვენს შემთხვევას, გამომდინარე იქიდან, რომ დედათქვენმა არ მიიღო სამკვიდრო სიცოცხლეში, ამით მან რეალურად უარი თქვა მშობლების ქონებაზე. ამ შემთხვევაში გავრცელდება 1337-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება, რომლის საფუძველზეც შვილიშვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე.

**მარინა გაბრიჩიძე**

1989 წელს საბინაო ამხანაგობის ანგარიშზე შევიტანე ბანკში სამოცი ათასი მანეთი. (ხელშეკრულება არ გაფორმებულა, ქვითრები მაქვს). სიტყვიერი პირობით სახლი უნდა ჩაბარებულიყო ორ წელიწადში. ბინა უნდა ყოფილიყო მიყვანილი თეთრ რემონტამდე - ანუ გალესილი, ტიხრებით და კარ-ფანჯრით. სახლის საბოლოო მშენებლობა დღესაც არ დასრულებულა. ბინები მხოლოდ კარკასშია (არა აქვს ფანჯარა, კარები და არც დანარჩენი სხვა რამ. სადარბაზოში შემოყვანილია წყალი, კანალიზაცია, გაზი). ამხანაგობის ახლანდელი თავმჯდომარე (რომელმაც ყველა წესების გარეშე გაანაწილა, გაყიდა და ბანკში იპოთეკით დატვირთა ბინები), უარი მითხრა იმ ფართობისა და სართულის დასაკუთრებაზე, რაც წინასწარი პირობით იყო განსაზღვრული (სიტყვიერი) - იმ მოტივით, რომ ეს თანხა, ანუ სამოცი ათასი მანეთი მხოლოდ 70 კვ. მ-ს აანაზღაურებს. გთხოვთ, ამიხსნათ, ვინ უნდა შეაფასოს ამ ბინის 170 კვ.მ (ამჟამინდელ მდგომარეობაში) საფასური და რა თანხას შეესაბამება 1989 წელს შეტანილი 60 ათასი რუსული მანეთი დღევანდელი კურსის მიხედვით, ანუ რამდენი ათასი დოლარი იყო 1989 წელს 60 ათასი მანეთი დღევანდელი კურსის მიხედვით, რა კურსით იხელმძღვანელებს სასამართლო ჩემი სარჩელის აღძვრის შემთხვევაში.

ქალბატონო მარინა,

კურსის შესაბამისობის საკითხებს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელსაც შეგიძლიათ მიმართოთ წერილობითი განცხადებით. ბანკის მიერ გაცემული საბუთითვე იხელმძღვანელებს სასამართლოც. რაც შეეხება ბინის რეალურ ღირებულებას, თქვენ შეგიძლიათ დაიქირაოთ აუდიტი, რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენს ქონების შეფასება და ოფიციალური დასკვნის გაცემა.

**გიორგი დარახველიძე**

1996 წლის დასაწყისში ჩემმა ვაჟმა და ორმა სხვა პიროვნებამ შეისყიდეს სარდაფი, რომელიც გაასუფთავა, გაარემონტა და მასში ფუნქციონირება დაიწყო რესტორანმა, რომელსაც ჩემი შვილი ხელმძღვანელობდა, იმუშავა დაახლოებით ოთხი-ხუთი თვე. 1997 წლის იანვრიდან რესტორანმა შეწყვიტა მუშაობა და ჩემმა შვილმა მოითხოვა თავისი კუთვნილი წილი 5000 აშშ დოლარი, მაგრამ პირველ მარტს ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ჩემი შვილის ნათქვამიდან ვიცი, რომ საბუთები მის სახელზე იყო გაფორმებული, ამის მოწმეები არიან, მაგრამ სახლში არაფერი მოუტანია. ჩვენ რომ მოვითხოვეთ საბუთები, იმ ორმა პიროვნებამ (მეწილეებმა) საბუთები არ მოგვცეს და გვითხრეს, რომ ფულს დაგვიბრუნებდნენ. ეს დაპირება გრძელდება დღემდე, არც უარს გვეუბნებიან და არც ფულს გვაძლევენ. მოვიძიეთ ქალაქისა და რესპუბლიკის არქივებში, მაგრამ არავითარი საბუთი იქ არ არსებობს. გთხოვთ, მიპასუხოთ როგორ მოვიქცე და როგორ დავიბრუნო ჩემი შვილის კუთვნილი ფული.

ბატონო გიორგი,

სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება შეუძლებელია თვით მეწარმის რეგისტრაციის გარეშე. თუ თქვენი შვილი დარეგისტრირებული იყო ინდ.მეწარმედ, მაშინ მის შესახებ დოკუმენტაცია შეგიძლიათ მოიძიოთ საგადასახადო ორგანოში, ხოლო თუ თქვენი ვაჟი და მისი მეგობრები დარეგისტრირებულნი იყვნენ იურიდიული პირის სახით, მაშინ მათი რეგისტრაციის პირობები და წილები შეგიძლიათ მოიძიოთ იმ რაიონულ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს ის რესტორანი. (მეწარმეთა შესახებ კანონი მუხლი 2;) ამ დოკუმენტაციის მოძიების შემდეგ თქვენ შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ წილის მესაკუთრედ, როგორც თქვენი შვილის პირველი რიგის მემკვიდრე. (სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მუხლი 1336).

**ბადრი ჭანჭალეიშვილი**

1. შპს-ს საწესდებო კაპიტალი შევსებულია 2000 ლარიანი ქონებით. დაერიცხება თუ არა აღნიშნულ ქონებას და თუ დაერიცხება, მაშინ ცვეთა დარიცხული ქონების ღირებულება ნაკლები იქნება საწესდებო კაპიტალში ჩადებული ქონების თავდაპირველ ღირებულებაზე. ამდენად, კანონიერია თუ არა საწესდებო კაპიტალში ჩადებულ ქონებაზე ცვეთის დარიცხვა.

2. შესაძლებელია თუ არა, საწესდებო კაპიტალში ჩადებული ქონების რეალიზაცია საწესდებო კაპიტალის შემცირების გარეშე ან ფული, რომლითაც შევსებულია საწესდებო კაპიტალი, უნდა იყოს ხელუხლებელი რეზერვის სახით თუ არა.

ბატონო ბადრი,

შპს-სთვის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს წარმოშობისა და რეგისტრაციაში გატარების აუცილებელ წინაპირობას. ეს კაპიტალი უზრუნველყოფს საზოგადოების პასუხისმგებლობას წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე. შესაბამისად, ამ ოდენობის შემცირება დაშვებულ ზღვარს ქვემოთ არ დაიშვება, რადგანაც იგი შეიძლება გახდეს საზოგადოების ლიკვიდაციის საფუძველი. ამავე დროს სამეწარმეო კანონმდებლობა საშუალებას იძლევა პარტნიორმა თავისი შესატანი განახორციელოს როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი სახით. ამავე დროს დაშვებულია არაფულადი შენატანის ფულადით შეცვლა, მაგრამ ამით ზიანი არ უნდა მიადგეს ეკონომიკურ ურთიერთობებს. (მეწარმეთა შესახებ კანონი, მუხლი 3.) რაც შეეხება ნივთის ცვეთას, თუ იგი გამომდინარეობს ნივთის ნორმალური და დანიშნულებისამებრ მოხმარებიდან, მაშინ მისი ანაზღაურება არ ხდება. (სამოქალაქო სამართლის კოდექსი მუხლი 547), თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ საწესდებო კაპიტალის შემცირება დაუშვებელია, ანუ, თუ მოხდება ნივთის იმდენად გაცვეთა, რომ მისი ღირებულება შემცირდება, მაშინ საჭირო გახდება მისი ან ჩანაცვლება, ან ფულადი თანხით შეცვლა.

**სიმონ ცინცაძე**

რამდენად კონსტიტუციურია კანონი, აუკრძალოს საქართველოს მოქალაქეს პენსიისა და ხელფასის ერთად აღება, თუ მათი ჯამი არ აღემატება ადამიანის საარსებო მინიმუმს - 110 ლარს თვეში.

ბატონო სიმონ,

საჯარო სამსახურის შესახებ კანონით, საპენსიო ასაკად განისაზღვრება მამაკაცისათვის 65 წელი, ხოლო ქალისათვის 60 წელი (მუხლი 50), იმავე კანონის 101-ე მუხლში მითითებულია, რომ მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან საპენსიო ასაკის მიღწევის გამო. შესაბამისად, პირს, რომელიც ასაკის მიღწევის მიუხედავად მაინც მუშაობს, არ მიეცემა პენსია.

**ნინო ხაჭაპურიძე**

1974-92 წლების მანძილზე ვიხდიდი 100 კვ.მეტრი მიწის გადასახადს თბილისში. 1993 წლიდან გადასახადი არ გადამიხდია - ქვითარი არ მომსვლია. მეკუთვნოდა თუ არა 1993-97 წლებში მიწის რეფორმის პერიოდში გადახდა და გადაუხდელი გადასახადი - არა ჩემი მიზეზით - 1993 წლიდან დღემდე მიკარგავს მიწით მოსარგებლის უფლებას?

რა პროცედურებით შემიძლია აღნიშნული 100 კვ. მეტრი მიწის დაკანონება?

სასამართლო მოწვეული ექსპერტები თუკი თავის დასკვნას ყოველ გვერდზე არ დამიმოწმებენ - მე, როგორც დაზარალებულ მხარეს, შემიძლია თუ არა მათი აცილება?

ქალბატონო ნინო,

გადასახადის გადაუხდელობა არ შეიძლება გახდეს საკუთრების ჩამორთმევის საფუძველი. თუ ეს მიწა თქვენ რაიმე აქტის საფუძველზე გეკუთვნით (ნასყიდობა, ჩუქება, ანდერძი და სხვა) მაშინ შეგიძლიათ მიმართოთ საჯარო რეესტრს შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენით და მოითხოვოთ მესაკუთრედ დარეგისტრირება.

**გურამ კვიკვინია**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მაშინდელმა მესვეურებმა 2001 წლის დეკემბერში ლიკვიდაცია გაუკეთეს პროფორიენტაციისა და გადამზადების ცენტრს (დაინტერესდნენ მიწის ნაკვეთით, რომელზედაც ცენტრი მდებარეობდა), პროფორიენტაციის სამსახური კი შეიტანეს ახალი სახელმწიფო დასაქმების სამსახურში. იმის შემდეგ ვის არ მივმართეთ თხოვნით, ან კონკურსი მოეწყოთ, ან ისე მივეღეთ. ყოფილი პროფორიენტაციის განყოფილების გამგე ვიყავი, მაგრამ ამაოდ. ბატონი გიორგი წერეთლის მინისტრად მოსვლის დროს გაჩნდა იმედი, რომ მოახდენდა რეორგანიზაციას და აღადგენდა აღნიშნულ სამსახურს. მოვიდა ბატ. ლ.ჭიპაშვილი და ყველაფერი ისევ უცვლელად დატოვა. სამართლებრივად მაქვს თუ არა რაიმე შანსი აღვიდგინო თავი ან მოვითხოვო გაცდენილი წლების ანაზღაურება.

ბატონო გურამ,

თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ ნამუშევარი წლების ხელფასი. გაცდენილი წლების თანხობრივ ანაზღაურებას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. შრომის კანონთა კოდექსის 422 მუხლი ითვალისწინებს, რომ საწარმოდან, დაწესებულებიდან და ორგანიზაციიდან მათი ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, მუშაკთა რიცხოვნობის შტატების შემცირების გამო განთავისუფლებულ მუშაკებს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტისას მიეცემათ შემდეგი სახის შეღავათები და დახმარებები:

1. გასასვლელი თანხა ერთი თვის საშუალო ხელფასის ოდენობით,
2. უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი შრომით მოწყობამდე, მაგრამ დათხოვნის დღიდან არა უმეტეს ორი თვის განმავლობაში, გასასვლელი დახმარების მიცემის გაუთვალისწინებლად;
3. უნარჩუნდებათ უწყვეტი სტაჟი, თუ დათხოვნის შემდეგ წყვეტილი მუშაობის ხანგრძლივობა სამ თვეს არ აღემატება.

**გივი ხარაიშვილი**

გთხოვთ, განმიმარტოთ, დღეს მოქმედი სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, რა ვადით განისაზღვრება ბინაში შესახლებაზე გაცემული ორდერის მოქმედება? მაგალითად იმ შემთხვევაში, თუ ორდერის მიმღები პირი არ განახორციელებს ორდერით მინიჭებული უფლება-ვალდებულებებს და 8-9 წლის განმავლობაში არ შესახლდება ორდერით მასზე განკუთვნილ ბინაში და ცხოვრებას განაგრძობს იმ ბინაში, რომელშიც ცხოვრობდა ორდერის მიღებამდე. აქვს თუ არა კანონიერი უფლება მოითხოვოს 8-9 წლის წინათ გაცემული ორდერით მიცემული შესახლების უფლება ორდერით განკუთვნილ ბინაზე, მაშინ როცა ამ ბინაში მთელი 10 წლის განმავლობაში ცხოვრობს სხვა ოჯახი და მას ამ პირის მიმართ რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამს. დღეისათვის ძალადაკარგულია თუ არა ზემოაღნიშნული ბინის ორდერი.

როგორ არეგულირებდა დღეს გაუქმებული საბინაო კოდექსი და მთავრობის შესაბამისი დადგენილებები ორდერის მოქმედების ვადას. ე. ი. რა ვადაში უნდა შესახლებულიყო პირი, რომელზეც გაცემული იყო ორდერი.

ბატონო გივი,

სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით, საერთო ხანდაზმულობის ვადა არის ათი წელი. (სამოქალაქო სამართლის კოდექსი 128.3); ამავე დროს ყველა ორდერში მითითებული უნდა ყოფილიყო მისით სარგებლობის გარკვეული ვადა. რაც შეეხება წინა პერიოდის კანონმდებლობას, ჩვენ კონსულტაციას ვიძლევით მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

**შოთა გამყრელიძე**

1965-1970 წლებში ვმუშაობდი საქართველოს ნებაყოფლობით სახანძრო საზოგადოების საბჭოში და მასთან არსებულ საწარმოო კომბინატში. აღნიშნული საზოგადოება და საწარმოო კომბინატი შედიოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. თუ არ ვცდები, 80-იან წლებში აღნიშნული საზოგადოების არქივი, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაწესებულებაში ინახებოდა, სრულიად დაიწვა და მთელი დოკუმენტაცია განადგურდა. შრომის წიგნაკი, რომელშიც ასახული იყო აღნიშნულ საზოგადოებაში მუშაობის შრომითი სტაჟი, დავკარგე. ასლად აღებულ შრომის წიგნაკში ვერ ჰპოვა ასახვა აღნიშნულ საზოგადოებაში მუშაობის სტაჟმა. გთხოვთ განმიმარტოთ:

პენსიაში გასვლის დროს თუ აღვადგინე "დაკარგული" შრომის სტაჟი, რა სახის შრომით სტაჟში ჩამეთვლება ამ სტრუქტურაში მუშაობა - სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობად, ძალოვან სტრუქტურებში მუშაობად, თუ საერთო შრომის მუშაობის სტაჟად? თუ შეიძლება დაადგინეთ, ზემოაღნიშნული საზოგადოება და საწარმო კომბინატი ნამდვილად შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შედიოდა თუ არა?

ბატონო შოთა,

თუკი თქვენ გსურთ, თქვენს შრომის წიგნაკში აისახოს საქართველოს ნებაყოფლობით სახანძრო საზოგადოების საბჭოში და მასთან არსებულ საწარმოო კომბინატში თქვენი მუშაობის შესახებ, უნდა მიმართოთ სასამართლოს და უდავო წარმოების წესით მოითხოვოთ განადგურებული საბუთის აღდგენა და შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება შრომის წიგნაკში. საქართველოს კანონი სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ შემდეგნაირად განსაზღვრავს საპენსიო უზრუნველყოფის მქონე პირთა ჩამონათვალს:

ამ კანონით დადგენილი პირობებით, ნორმებითა და წესებით საპენსიო უზრუნველყოფას ექვემდებარებიან სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილი საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე შემდეგი პირები:

ა) ოფიცრები, ზევადიან, ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურში ხელშეკრულებით "კონტრაქტით" მიღებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს სამხედრო ძალებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში:

ოფიცრები, მათ შორის სამხედრო პროკურატურის, ყოფილი სამხედრო ტრიბუნალის, სამხედრო სასამართლოს ოფიცრები, ზევადიან, ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურში ხელშეკრულებით "კონტრაქტით" მიღებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობდნენ ყოფილ სსრ კავშირის და და მოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებში, შინაგან, სასაზღვრო, სარკინი-

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

"24 საათის" მკითხველისთვის

გზო, სამთავრობო კავშირგაბმულობის, სამოქალაქო თავდაცვის, სამხედრო-სამშენებლო ჯარებში, სახელმწიფო უშიშროების, საგარეო დაზვერვის, სამხედრო იუსტიციის ორგანოებში, სხვა კანონიერ სამხედრო ფორმირებებში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ-სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებში და მათი ოჯახის წევრები - თუ ამ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი სხვაგვარად არ არის დადგენილი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით;

რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში, ყოფილი სსრ კავშირის და საქართველოს სსრ-ს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლელი სახელმწიფოების შინაგან საქმეთა ორგანოებში, თუ ამ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი სხვაგვარად არ არის დადგენილი საქართველოსა და ყოფილ სსრ კავშირში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკებსა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლელ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებით (შეთანხმებით);

პარტიზანები, მოხალისეები, პარტიზანული და მოხალისეთა რაზმების მეთაურები, რომელთა თანამდებობები შეესაბამებოდა ოფიცერთა თანამდებობებს;

მეორე მსოფლიო ომში და სხვა შეიარაღებულ კონფლიქტებში დაღუპულ (უგზო-უკვლოდ დაკარგულ) ან იქ მიღებული ჭრილობის, დასახიჩრების, კონტუზიისა და სხვა დაავადების შედეგად გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრები;

გარდაცვლილ სამხედრო პენსიონერთა ოჯახის წევრები;

სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკები და მათი ოჯახის წევრები საქართველოსა და ამ სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულების (შეთანხმების) საფუძველზე;

ბ) სამხედრო სამსახურის დროს დაინვალიდებული ვადანი სამხედრო სამსახურის მოსამსახურეები, თადარიგიდან სამხედრო ან სპეციალურ შეკრებებზე გაწვეული პირები (გარდა ოფიცრებისა) და მათი ოჯახის წევრები მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში;

გ) მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საკონცენტრაციო ბანაკებსა და გეტოებში იძულებით პატიმრობაში მყოფი მეომრები და სხვა პირები, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ დამტყვევებელი მხარის სასარგებლოდ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში.

დ) მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საკონცენტრაციო ბანაკებსა და გეტოებში იძულებით პატიმრობაში მყოფი ყოფილი არასრულწლოვანი პატიმრები.

საქართველოს კანონი სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ (მუხლი 1)

**ნიკოლოზ ჭკვიანიშვილი**

1995 წლის 15 აგვისტოს სს "აგრომრეწვბანკის" (ახლანდელი სამართალმემკვიდრე "სახალხო ბანკი") წარვადგინე გლდანის ფილიალის ექვსი ცალი საპრივატიზაციო ბარათი (ე.წ. ვაუჩერი), რაზედაც მათგან მივიღე ქვითარი, რომელიც დამოწმებულია ბეჭდით. აღნიშნული ვაუჩერებით უნდა შემეძინა წარდგენილ თითოეულ საპრივატიზაციო ბარათზე არანაკლებ 45 აქციისა, ანუ ჯამში 270 ცალი აქცია. მას შემდგომ ბანკს არაერთხელ მივმართე, რაზედაც ვერ მივიღე ოფიციალური პასუხი. აგრეთვე მივმართე იმჟამინდელ ქონების მართვის სამინისტროს. მათგან მივიღე პასუხად, რომ "ვინაიდან N6 საბარათო აუქციონის ჩატარების 25.08.1995 წლის (რომლის შესახებაც ჩემთვის არავის უცნობებია), N06/29 ოქმით აუქციონის კურსი დაფიქსირდა 36 ცალი აქცია ერთ საპრივატიზაციო ბარათზე, არ იქნა დაკმაყოფილებული აღნიშნული განაცხადი და ამდენად შეტანილი საპრივატიზაციო ბარათები დადგენილი წესით თქვენ მიერ უნდა ყოფილიყო გატანილი. ამასთან გაცნობებთ, რომ საპრივატიზებო ბარათებს 1996 წლის 1 ივლისს გაუვიდა მოქმედების ვადა და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 სექტემბრის N1047-ე ბრძანებულებით გამოუყენებელი და დაფარული საპრივატიზებო ბარათები დაექვემდებარა განადგურებას." ამასთან ქვითარს, რომელიც ჩაბარებული საპრივატიზებო ბარათების სისწორეს ადასტურებს, წერია, რომ: განმცხადებელი იღებს უპირობო ვალდებულებას, რომ განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მის მიერ წარდგენილ ყველა საპრივატიზაციო ბარათით, დაფაროს მითითებული საწარმოს აქციათა ღირებულება, აუქციონით განსაზღვრული კურსით. განმცხადებელი თანახმაა: თუ განაცხადი ხელშეკრულება არ იქნება დაკმაყოფილებული, გამყიდველმა უკან დაუბრუნოს საპრივატიზაციო ბარათების იგივე რაოდენობა, რომლითაც შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული ნუმერაცია ჩაბარებულ საპრივატიზაციო ბარათებთან შედარებით; გამარჯვების შემთხვევაში აქციონერს უფლებები მიენიჭოს, მის მიერ შეძენილი აქციების რეგისტრაციისა და განაცხად-ხელშეკრულებაში აღნიშნული საწარმოს აქციონერთა რეესტრში ჩაწერის მომენტიდან.

გთხოვთ, მომცეთ წერილობითი განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ დავიბრუნო ან ავანაზღაურებინო საპრივატიზაციო ბარათების ღირებულება, სს "აგრომრეწვბანკს", რომელიც "სახალხო ბანკად" გარდაქმნამდე განიცდიდა ფინანსურ პრობლემებს და ამასთან მათ მიერ გამოყენებულ იქნა ჩემზე კუთვნილი საპრივატიზაციო ბარათები.

ბატონო ნიკოლოზ,

პირველ რიგში გასარკვევია, "სახალხო ბანკი" ითვლება თუ არა სს "აგრომრეწვბანკის" სამართალმემკვიდრედ, ანუ თავის თავზე იღებს თუ არა "აგრომრეწვბანკის" მიერ აღებულ ვალდებულებებს "სახალხო ბანკი". თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია მეწარმეთა შესახებ კანონით დადგენილი გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა. მე-15 მუხლის თანახმად, პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადა არის ხუთი წელი მათი წარმოშობიდან, ლიკვიდაციიდან ან პარტნიორის გასვლიდან. (კანონი მეწარმეთა შესახებ მუხლი 15.1), ხოლო სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ხანდაზმულობის ვადის დაწყებად ითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 130)

**ანდრო ლომიძე**

გაზეთ "24 საათის" 2004 წლის 14 ოქტომბრის 244-ე ნომერში თქვენ მიერ განმარტებულია საჯარო სამსახურის ცნება. განმარტებიდან გამომდინარე, ვმუშაობ რა კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილებაში ძეგლთა დაცვის უფროს ინსპექტორად, უნდა ვითვლებოდე საჯარო მოსამსახურედ, მაგრამ რაიონის საფინანსო განყოფილება უარს მეუბნება, ვისარგებლო 45 კალენდარული დღის ხანგრძლივობის შვებულებით.

გთხოვთ, განმიმარტოთ, რამდენად სწორია ჩემი მოთხოვნა თუნდაც იმ ფონზე, რომ განათლების განყოფილების ყველა მუშაკი, გარდა მთავარი ბუღალტრისა, იმავე საფინანსო განყოფილების თანხმობით, 45-დღიანი შვებულებით სარგებლობს.

ბატონო ანდრო,

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 41-ე მუხლი ადგენს, რომ მოსამსახურეთათვის დგინდება ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით, თუ კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის უფრო ხანგრძლივი პერიოდი.

სამსახურის არანაკლებ 3-წლიანი სტაჟის მქონე მოსამსახურეს მესამე და ყოველ შემდგომ წელზე ეძლევა თითოდღიანი დამატებითი შვებულება, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა. დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების პერიოდში მოსამსახურეს ამგვარი დამატებითი შვებულება შეიძლება შეუმცირდეს ან საერთოდ აღარ მიეცეს. მოსამსახურეს, რომელსაც აქვს სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობის 10 წელზე მეტი სტაჟი, მიეცემა დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება 15 კალენდარული დღის ოდენობით.

**კარლო გეგია**

2001 წლის 1 მარტიდან ფინანსთა სამინისტრომ შეგვიწყვიტა დაფინანსება, ხოლო სამსახური ბრძანებით არ გააუქმეს. სამსახურის გაუქმებაზე ხელი უნდა მოეწერა პრეზიდენტს, რაც არ მოხდა. დაფინანსების შეწყვეტის დღიდან ჩვენმა სამსახურმა დაიწყო წერილების წერა თხოვნით, როგორმე გაეუქმებინათ სამსახური (ყველა ასლი არსებობს). მივწერეთ ფინანსთა მინისტრს, პარლამენტს, სახელმწიფო მინისტრს და ბოლოს საქართველოს პრეზიდენტს. 2004 წლამდე სამსახურის გაუქმების შესახებ ბრძანება არ დაიწერა. მე ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. 2004 წელს ბატონმა ზ. ჟვანიამ დაავალა ბრძანების პროექტის მომზადება. 2004 წლის 14 სექტემბერს დაიწერა ბრძანება პრეზიდენტის ხელის მოწერით. დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ ფინანსთა სამინისტრომ გამოგვიყო 1998, 1999 და 2000 წლის გაყინული ხელფასის დასაფინანსებლად თანხა. დარჩა მოსაცემი 2001 წლის მარტიდან 2004 წლის 14 სექტემბრამდე გასაცემი თანხა, ვინაიდან სამსახურის ლიკვიდაციის ბრძანება დაიწერა 2004 წლის 14 სექტემბერს.

გთხოვთ, განმიმარტოთ, მერგება თუ არა ჩემი კუთვნილი ხელფასი და მიგვითითეთ გზები მისი მიღებისათვის.

ბატონო კარლო,

გამომდინარე იქიდან, რომ თქვენი დაწესებულების ლიკვიდაციის ბრძანება დაიწერა 2004 წლის 14 სექტემბერს, შესაბამისად სახელმწიფო ვალდებულია ამ პერიოდამდე გადაგიხადოთ ხელფასი. თუ თქვენ მიიჩნევთ, რომ დალოდება არ ღირს, შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოთ თქვენი ხელფასი. თქვენ უნდა გადაიხადოთ სახელმწიფო ბაჟის სახით მოთხოვნილი ხელფასის, ანუ დავის საგნის ღირებულების 2.5 %,

**ლინერი ელიაშვილი**

ვცხოვრობ ქ. გორში გორკის ქN5/32-ში მყავს მეუღლე და 5 შვილი, მეუღლე 1998 წლიდან მუშაობდა გორის რ-ნ სოფელ ნიქოზში - სამხედრო ნაწილში (ოფიცერი-აფხაზეთი ომის ვეტერანი). მეც ვმუშაობდი ამავე სამხ.ნაწილში-მედდად, ნიქოზში ვცხოვრობდით ქირით. იქ ცხოვრების პერიოდში შეგვეძინა მე-4-5 ბავშვი. ტყუპი გოგონები, რომლებიც დაიბადნენ ქ. ცხინვალის სამშობიარო სახლში (პრობლემის გარეშე). ბავშვები დაიბადნენ დღენაკლულები, ც.ნ. ს-ის დაზიანებით. ტყუპის ცალი 1-ლი ჯგ. ინვალიდია (ცერებრული დამბლა). ბავშვები დაიბადნენ 2003 წლის 25 დეკემბერს და დღემდე არც ერთს არ აქვს დაბადების მოწმობა. მივაკითხე ქ. გორის მმაჩის ბიუროს განყოფილებას ცხინვალის სამშობიარო ფურცლით-მიმართვით. მმაჩის ბიურომ უარი მითხრა მოწმობის აღებაზე, რადგან ისინი არ ითვლებიან საქართველოს მოქალაქეებად. მიმითითეს მიმემართა სასამართლოსთვის. იმის გამო, რომ ბავშვებს არ აქვთ მოწმობა, ინვალიდი ბავშვი არ იღებს პენსიას, დახმარებას. გთხოვთ, განმიმარტოთ რამდენად სწორია პასუხი მმაჩის ბიუროსგან. როგორ მოვიქცე მე - 5 შვილის დედა?

ქალბატონო ლინერი,

საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს მოქალაქის შვილი საქართველოს მოქალაქედ ითვლება დაბადების ადგილის მიუხედავად. (ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, მუხლი 11). თუკი თქვენ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ბავშვების დაბადების მოწმობების გაცემაზე მაინც გეტყვით უარს, თქვენ უნდა მიმართოთ სასამართლოში და ადმინისტრაციული წარმოების გზით მოთხოვოთ სარო-ს გასცეს დაბადების მოწმობები.

**ქეთევან ძლიერაშვილი**

1993 წლის 31 მარტს, სახელმწიფო დაზღვევის კომპანიაში 50 ათას მანეთში დავაზღვიე შვილი (ბავშვი), 16-წლის ვადით, ანუ 2009 წლის მარტამდე. აღნიშნული თანხა უფრო მეტიც, კერძოდ 54, 6 ათასი მანეთი გადახდილი მაქვს მაშინვე. ეს იყო ეგრეთწოდებული სიცოცხლის დაზღვევა, რომლის ხელშეკრულებაც ითვალისწინებს მთლიანი თანხის აღებას ვადის გასვლის შემდგომ, კურსი საერთოდ უცნობია, ხოლო კომპანია პასუხს ვერ მცემს. აგრეთვე ხელშეკრულება ითვალისწინებს კომპანიის მიერ ჯანმრთელობისთვის საჭირო სხვადასხვა გადაუდებელი ქმედების შესრულებას კომპანიის მიერ.

გთხოვთ, განმარტებას და კონსულტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ მსურს გავწყვიტო ხელშეკრულება კომპანიასთან და ავინაზღაურო ჩემ მიერ 1993 წელს გადახდილი თანხა, ან მათ მიერ რა შემთხვევაშია სავალდებულო ბავშვის ოპერაციის საზღაურის გადახდა?

ქალბატონო ქეთევან,

სამოქალაქო კანონმდებლობით, დაზღვევის ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ. თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 806-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ თუ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია ხუთ წელზე მეტი ვადით, მაშინ თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ამის თაობაზე გაფრთხილებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ. ხელშეკრულების მოშლა კი გულისხმობს მხარეთა ვალდებულებას დაუბრუნონ ერთმანეთს ყველაფერი ის, რაც ხელშეკრულების დადების შედეგად მიიღეს.

## TV პროგრამა

4 ნოემბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.05** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "კოსმოსური სპეცრაზმი-3" **15.25** ჩემპიონთა ლიგა. "დეპორტივო"-"ლივერპული" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელელიპუცები" **18.20** "სპაიდერ მენი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** "ვის უნდა 50 ათასი" **23.00** დოკ. ფილმი "ბველაზე მდიდრული სახლები" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "რეიტინგი ჩ". მთ. რ-ში: ჩარლი შინი (18)ყ **02.25** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი "გადაადგილების საშუალებანი" **10.05** "იმღერე რამე" **10.35** მხ. ფილმი "ხსოვნა" მე-2ს. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.00** მიამბეთ თქვენზე **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** "იცხოვრეთ იოდდეფიციტის გარეშე" **14.40** "ფოლკლორის ფესტივალი" **15.20** პოლიტიკური მკვლელობები **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **16.30** "მრავალჟამიერ"- შვიდკაცა **17.00** მულტსერიალი "გადაადგილების საშუალებანი" **17.30** დოკ. ფილმი "ევროპის ახალი სახე" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "თავგადასავლები კარიბის ზღვაზე" **19.00** "განათლების პროექტი საქართველოში" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "ცხელი ზაფხული" 1-ლი ს. **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "მოკვეთილი" (გ)

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.10** (შვეიცარია), **02.40** (აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურიზმი. **11.05** ზიგზაგ კაფე. **12.15** ეს იყო ომი. ტელესერიალი. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ფრანს-ევროპ ექსპრესი.**18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **22.05** გადაცემა: ულტრა**24.30** სკანდალის გარეშე. მხ. ფილმი. რეჟისორი ბენუა ჟაკო. 1999. **04.20** თქვენ სოფლელი ხართ? ტელესერიალი.

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **11.35** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **12.30** შემეცნ. გასართობი პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** "ჰოლივუდი დღეს" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "საქმრო ლაურასთვის" (გ) (ლოლიტა ტორესი)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** სერიალი "ყავა და ლუდი" **12.20, 14.50, 02.25** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.55** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "გლობალური მუქარა" (გ) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.45, 22.00, 01.45** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.25** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.50** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **23.20** მხ. ფილმი "როუზების ოჯახი" (12) (კ. ბუკე) **00.50** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.20** სათავგადასავლო ფილმი "ითამაშე როგორც ბექჰემი" **11.10** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 23.30** საინფორმაციო გამოშვება **11.45** ისტორიული ფილმი "ჰენრი მ" **13.55** დოკ. ფილმი **14.45** ბოევიკი "ზღვარი" **16.15** მულტფილმი **17.45** მუსიკა **18.00** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **18.15** თრილერი "მუქი წყლები" **19.35** დოკ. ფილმი **21.00** მელოდრამა "სასტიკი რომანსი" **00.00** ფანტასტიკა "ბლეიდი შშ"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"МОСКОВСКАЯ САГА". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.30** "Звезды эфира".Владимир Шнейдеров. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Утиные истории". **13.50** Сериал **"СОБАЧЬЕ ДЕЛО". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"СТИЛЕТ-2". 17.00** "Пять вечеров". Четверг. **18.20** "Пан или пропал". **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30** Время. **22.40** "Человек и закон" **23.50** "Фабрика звезд". **00.10** "Формула власти". Премьер-министр Малайзии. **00.40** "Гении и злодеи". Святослав Рерих. **01.10** Сериал **"ИСЧЕЗНОВЕНИЕ". 02.40** Стив Борден в боевике **"БЕШЕНАЯ СКОРОСТЬ". 04.30** Сериал **"УБОЙНЫЙ ОТДЕЛ".**

## სკანვორდი



**წინა სკანვორდის პასუხი:**

კიგრი თონე ყუა დუბლიორი ტრიუმვირატი კიტოვანი აჩმა დანი რიმინი ომერტა ჩია ტვიმრა ტილი მინესოტა ეიმელი მიშანა ლოენგრინი პროვიზორი მაღალი მილნი არაბი ალაო რიკოშეტი ინგმარ აზარტი ბია სარი ენგრი რონე ნაი ლილა ქარსალა იტალია როშა ილიკო კაასი ალი ორინოკო ავი ლუკა ნერუ ელი ლაილაი ესაკია










# ელტონ ჯონი თხოვდება

ორი დღის წინ ბრიტანელმა პოპ-მომღერალმა ელტონ ჯონმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში თავის კანადელ მეგობართან - დევიდ ფირნიშთან დაქორწინებას აპირებს.

მომღერალმა გერმანულ ჟურნალ Gala-სთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ "ასეთი ბედნიერი ჯერ არასდროს ყოფილა". "ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვითქვამს ქორწინების ზუსტი თარიღი, თუმცა, რასაკვირველია, ცერემონია სახალხო არ იქნება. ამ კავშირის წყალობით, მინდა ჩემი ცხოვრება მთლიანად დევიდს მივუძღვნა", - ამბობს ელტონ ჯონი.

# ბრიუსი შერონის პარტნიორი ხდება

ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი ბრიუს უილისი უახლოეს მომავალში ერთდროულად ორ ფილმში გადაღებას აპირებს. ერთ-ერთ ახალ პროექტში, უილსს გადასაღებ მოედანზე პარტნიორობას შერონ სტოუნი და ჯასტინ ტიმბერლეიკი გაუწევენ, მეორეში კი - ბენ კინგსლი და მორგან ფრიმენი.

პოლ მაკგუიგანის განქსტერული დრამა Lucky Slevin - ახალგაზრდა მამაკაცზეა, რომელსაც მაფიის ბოსად მიიღებენ, უილისი ბენ კინგსლთან და მორგან ფრიმენთან ერთად მეორეხარისხოვან როლს ითამაშებს.

დრამაში Alpha Dog ბრიუს უილისს ელის მთავარი როლი. იგი ერთი უბედური ბიჭის, ჯონის მამას განასახიერებს, რომელიც ბედის უკუღმართობამ გზას ააცილა. ერთ-ერთ განსაკუთრებულ საეჭვო ვითარებაში მამა მის დაცვას ცდილობს. ნიკ კასავეტისის ამ პროექტში კი უილისს პარტნიორობას შერონ სტოუნი, ჯასტინ ტიმბერლეიკი და დომინიკ სუზინი გაუწევენ.










# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.